



ინფორმაცია საქართველოში  
კონსტიტუციური  
კანონიერების თაობაზე

2017

საქართველოს  
საკონსტიტუციო  
სასამართლო

შესავალი 3

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა .....	8
I. განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე მიღებული აქტები .....	8
i. კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დასაბუთებულობის მოთხოვნა .....	8
ii. კონსტიტუციური სარჩელის წარდგენა უფლებამოსილი სუბიექტის მიერ .....	17
iii. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობა .....	25
iv. კონსტიტუციურ სარჩელში ან კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ .....	29
v. სუბსიდიურობა .....	31
II. გადაწყვეტილების დამძლევი ნორმები .....	32
i. პლენუმი.....	34
ii. პირველი კოლეგია .....	41
iii. მეორე კოლეგია.....	47
III. გადაწყვეტილებები.....	51
i. პლენუმის გადაწყვეტილებები .....	52
ii. პირველი კოლეგიის გადაწყვეტილებები .....	72
iii. მეორე კოლეგიის გადაწყვეტილებები.....	90
IV. საქმის შეწყვეტა.....	102
i. საქმის შეწყვეტა სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძვლით .....	103
ii. საქმის შეწყვეტა სადავო აქტის გაუქმების ან ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძვლით.....	103
iii. საქმის შეწყვეტა მოსარჩელის გარდაცვალების გამო .....	107
2. საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა აქტივობები .....	109
3. კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი მიმართულებები .....	117
4. სასამართლოს საქმიანობის სტატისტიკური მიმოხილვა.....	128

საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობის, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, შესაბამისად ადამიანის ფუნდამენტური უფლებების აღიარებასა და დაცვაზე ორიენტირებული, დემოკრატიული სახელმწიფოს ყოველდღიურ ცხოვრებაში მას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. ხელისუფლების განხორციელებისას ადამიანის ძირითად უფლებებში ჩარევა და მათი შეზღუდვა ხშირ შემთხვევაში აუცდენელი, გარდაუვალი მოცემულობაა, თუმცა ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კონსტიტუციით დადგენილი ფორმითა და სათანადო სტანდარტების შესაბამისად. ხელისუფლების თითოეული შტოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის პატივისცემა და დაცვა წარმოადგენს ვალდებულებას, რომლის ჯეროვანი შესრულებაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის დემოკრატიული, სწორი ღირებულებებით განვითარებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იცავს კონსტიტუციურ ღირებულებათა სისტემას, განმარტავს კონსტიტუციის პრინციპებსა და დებულებებს, რათა მუდმივად ცვალებადი და განვითარებადი სამართლებრივი პროცესები მოექცეს კონსტიტუციურ წესრიგში და დაცული იყოს ადამიანის უფლებები.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის განმარტების დინამიკური პროცესი სხვადასხვა სამართლებრივი გამოწვევებით ხასიათდება, წლიდან წლამდე ვითარდება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, ხდება ფუნდამენტური უფლებების შინაარსისა და ფარგლების ახლებური გააზრება და მნიშვნელოვანი კონსტიტუციური სტანდარტების დადგენა, რათა შესაძლებელი იყოს ადამიანის უფლებების ყოველმხრივი და შეუქცევადი დაცვა. კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა მოითხოვს ხელისუფლების ყველა შტოს კოორდინირებულ მოქმედებას. კოორდინირებული მუშაობის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს ხელისუფლების შტოებს შორის მუდმივი კომუნიკაცია მათი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა და არსებული გამოწვევების შესახებ.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს წარუდგენს ინფორმაციას საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების შესახებ.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წელს განხორციელებული საქმიანობის შეჯამებას, საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით განხორციელებულ აქტივობებს, წლის განმავლობაში მიღებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტების მიმოხილვასა და ანალიზს. მასში ასევე ასახულია საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში გამოვლენილი კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი მიმართულებები. წინამდებარე დოკუმენტი მასში ასახული ინფორმაციიდან გამომდინარე, პრაქტიკული მნიშვნელობის იქნება არა მხოლოდ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებისათვის, არამედ მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მასმედიის საშუალებებს, აკადემიურ წრეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სტუდენტებსა და კონსტიტუციური სამართლით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

გასული 2017 წელი მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, როგორც მისი ძირითადი საქმიანობის, კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე განხორციელებული აქტივობების გამო. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელების რაოდენობა, რაც, გარკვეულწილად, მიანიშნებს კონსტიტუციური მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ცნობიერებისა და ნდობის ამაღლებაზე. გასული წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოში დარეგისტრირდა 423 კონსტიტუციური სარჩელი და წარდგინება, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლების განმავლობაში დარეგისტრირებულ რაოდენობას. სარჩელების რაოდენობის ზრდის ტენდენციის პარალელურად, განსაკუთრებით აქტუალურია, საკონსტიტუციო სასამართლომ შეძლოს დროული და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება.

2017 წელს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა საკუთარი საქმიანობის ოპტიმიზაცია და ადაპტაცია კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების მზარდ საზოგადოებრივ მოთხოვნასთან. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა პირდაპირ არის დაკავშირებული მის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების დროულობასა და ეფექტურობასთან. ამავდროულად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული და განსაზღვრავდეს ძირითადი უფლებების დაცვის მნიშვნელოვან სტანდარტებს. 2017 წლის

განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლომ 115 კონსტიტუციურ სარჩელზე დაასრულა წარმოება. დასრულებული საქმეების და მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობის მიხედვით, 2017 წელი უპრეცედენტოა, თუმცა წლის დასასრულს საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაში კვლავ რჩება 471 კონსტიტუციური სარჩელი, რომელთა სწრაფი და კვალიფიციური გადაწყვეტა სასამართლოს წინაშე არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. კონსტიტუციური მართლმსაჯულების როლისა და ფუნქციის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორიენტირს წარმოადგენს მაქსიმალურად სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება, რაც დადებითად აისახება ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხზე.

საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება, არამედ მის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების სათანადო და ადეკვატური აღქმა საზოგადოების მხრიდან. ამ კუთხით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხილვა და სამართლებრივი ანალიზი საჯარო ლექციების, დისკუსიებისა თუ სხვა ფორმატში. საკონსტიტუციო სასამართლო აქტიურად იყო ჩართული მსგავსი ტიპის აქტივობებში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა უშუალოდ მონაწილეობისა თუ სხვა ფორმებით. მსგავსი ტიპის განხილვები თუ დისკუსიები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოების ფართო წრეების ინფორმირებას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, ასევე მსგავსი აქტივობების ფარგლებში ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული გადაწყვეტებისა თუ სტანდარტების განმარტება, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს გადაწყვეტილების აღქმას საზოგადოებისა და ხელისუფლების მხრიდან. არანაკლებ მნიშვნელოვანია, მსგავსი ფორმატის ფარგლებში, სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმართ კრიტიკული მოსაზრებებისა და შენიშვნების გაჟღერებაც, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს კონსტიტუციური მართლმსაჯულების განვითარებას.

დადებითად უნდა აღინიშნოს გასული წლის განმავლობაში განხორციელებული საერთაშორისო აქტივობები, მათ შორის ბათუმში გამართული ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების XVII კონგრესი თემაზე „საკონსტიტუციო სასამართლოების როლი კონსტიტუციური პრინციპების დაცვასა და გამოყენებაში“. აღნიშნულ კონგრესს მასპინძლობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის თავმჯდომარე ქვეყანა. კონგრესში მონაწილეობდნენ 40-ზე მეტი ქვეყნის საკონსტიტუციო

სასამართლოებისა და რელევანტური ინსტიტუტების დელეგატები, მოწვეული იყვნენ საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. აღნიშნული კონგრესი წარმოადგენდა მნიშვნელოვან მოვლენას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, რამდენადაც კონგრესის ფარგლებში შედგა ნაყოფიერი თანამშრომლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოების წარმომადგენლებს შორის, კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობადობა და როლი საერთაშორისო ასპარეზზე.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წელს განხორციელებული საქმიანობის შეჯამებასა და ანალიზს, მასში ასახულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, წლის განმავლობაში გამოკვეთილი მნიშვნელოვანი ასპექტები, რომელთა შესახებაც მნიშვნელოვანია, ინფორმირებული იყოს საზოგადოება და ხელისუფლება. კონსტიტუციური წესრიგის დაცვისათვის აუცილებელია ხელისუფლების ყველა შტოს შეთანხმებული და კოორდინირებული მუშაობა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მსგავსი სახით ინფორმაციის მიწოდება და საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის დეტალურად გაცნობა ხელს შეუწყობს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ნაყოფიერ თანამშრომლობას საერთო ამოცანის - საქართველოს კონსტიტუციის უპირობოდ დაცვის შესრულებაში.

დოკუმენტი მოიცავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის პრაქტიკის მიმოხილვას (I თავი). მასში ასახულია განმწესრიგებელ სხდომის ეტაპზე მიღებულ აქტებთან დაკავშირებით წლის განმავლობაში გამოვლენილი ტენდენციები, დეტალურად არის მიმოხილული კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დასაბუთებულობის მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხები და მათი არსებითად განსახილველად არმიღების საფუძვლები. მიმოხილვა ასევე შეიცავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტების, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიებისა და პლენუმის მიერ მიღებული პრეცედენტული გადაწყვეტილებებისა და დამძლევ ნორმებზე მიღებული განჩინებების ანალიზს. საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი აქტების განხილვისას ყურადღებაა გამახვილებული სასამართლოს პრაქტიკაში განხორციელებულ მნიშვნელოვან განმარტებებსა და პრაქტიკაში მიმდინარე ცვლილებებზე. აგრეთვე განხილულია საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები და

აღნიშნული საფუძვლებით გასული წლის განმავლობაში შეწყვეტილი კონსტიტუციური სარჩელები/წარდგინებები.

წინამდებარე დოკუმენტი ასევე შეიცავს ინფორმაციას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გასული წლის განმავლობაში განხორციელებული საერთაშორისო აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ (II თავი). ამ კუთხით მიმოხილული იქნება სასამართლოს აქტივობა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებსა და დისკუსიებში, ბათუმში გამართული ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების XVII კონგრესი და სხვა საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული ღონისძიებები.

რამდენადაც წინამდებარე დოკუმენტს გააჩნია პრაქტიკული დანიშნულება და მასში მოცემულია ინფორმაცია კონსტიტუციური კანონიერების დაცვის შესახებ, საკონსტიტუციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცების იმ მნიშვნელოვანი მიმართულებებზე, რომლებიც გამოიკვეთა 2017 წელს (III თავი). დოკუმენტის ამ ნაწილში განხილულია სხვადასხვა საკითხი, რომლებიც უკავშირდება როგორც კონსტიტუციური სარჩელების დასაბუთების პრობლემატურ ასპექტებს, ისე მოპასუხე მხარის - შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ განსახორციელებელ ქმედებებს.

დოკუმენტი ასევე შეიცავს სტატისტიკურ მონაცემებს საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრირებული სარჩელების, განხილული დავების, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხვა კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებთან მიმართებით (IV თავი).



## 1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა

### I. განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე მიღებული აქტები

საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხს, რომელიც, გარკვეულწილად, განსაზღვრავს სასამართლოს მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების ეფექტურობასა და დროულობას. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელის არსებითად განხილვა დაკავშირებულია შეზღუდულ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან, რომელთა მხოლოდ ოპტიმალური გამოყენებითაა შესაძლებელი საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატისა და როლის სრულყოფილად განხორციელება. ბოლო პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელით მიმმართველთა რაოდენობა, მსგავსი ტენდენციის პირობებში კი აუცილებელია თავიდან იქნეს აცილებული უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი სარჩელებისაგან სასამართლოს გადატვირთულობა. ამის მნიშვნელოვან გარანტიას კი წარმოადგენს კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებისათვის დადგენილი კრიტერიუმები. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ არსებულ კანონმდებლობასა და სასამართლოს პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ის პროცესუალური და მატერიალური მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი, რათა მოხდეს მისი არსებითად განხილვა.

#### i. კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დასაბუთებულობის მოთხოვნა

კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების წინაპირობებიდან მნიშვნელოვანია, გამოიყოს სარჩელის დასაბუთებულობის მოთხოვნა, რომელიც რამდენიმე კრიტერიუმისაგან შედგება. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი დასაბუთებული უნდა იყოს. მოსარჩელემ კონსტიტუციურ სარჩელში უნდა მოიყვანოს ის მტკიცებულებანი, რომლებიც, მისი აზრით, ადასტურებენ სარჩელის საფუძვლიანობას. თითქმის ანალოგიურია „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის



მოთხოვნა. სარჩელის დაუსაბუთებლობა შედეგად იწვევს მის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს, სარჩელის დაუსაბუთებლად ცნობა ხდება, ძირითადად, ორი საფუძვლით: ა) მასში მოცემული დასაბუთება შინაარსობრივად არ შეეხება სადავო ნორმას, ბ) დასაბუთებული არ არის შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებას შორის, რომელთან დაკავშირებითაც არის მოთხოვნილი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა.

#### ა) სარჩელში მოცემული დასაბუთება შინაარსობრივად არ შეეხება სადავო ნორმას

კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად არ მიღება, ხსენებული საფუძვლით, ხდება მაშინ, როდესაც მოსარჩელის მიერ სადავო ნორმის შინაარსი არასწორადაა აღქმული და იგი რეალურად არ არის განმარტებადი და გამოყენებადი იმ შინაარსით, რომელსაც მოსარჩელე პრობლემატურად მიიჩნევს. ასეთ შეთხვევაში შეუძლებელია, მოსარჩელემ სადავო ნორმის რეალური შინაარსის არაკონსტიტუციურობა დაასაბუთოს, ამიტომ სარჩელის დაუსაბუთებლად ცნობა ხდება.

#### ა.ა) არ არსებობს მიმართება სადავო ნორმასა და მოსარჩელის არგუმენტაციას შორის

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსარჩელეთა მხრიდან სადავო ნორმების შინაარსის არასწორი აღქმა აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ქვემოთ განხილული იქნება კონკრეტული კონსტიტუციური სარჩელები, რომელთა არსებითად განსახილველად არ მიღებაც მოხდა სწორედ ხსენებული საფუძვლით.

N870 კონსტიტუციური სარჩელით<sup>1</sup> მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობას და მიუთითებდნენ, რომ სადავო ნორმის საფუძველზე, იურიდიული დახმარების საბჭოს შექმნა, დაედგინა ადვოკატის საქმიანობის ხარისხის შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც

---

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №1/4/870 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - იმედა ქარქაშაძე, მევლუდ ჯანჯღავა, ხათუნა ჩხაიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

უგულებელყოფდნენ ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებულ კონფიდენციალურ ურთიერთობას და ადვოკატს აკისრებდა ვალდებულებას, გაეცა ინფორმაცია საკუთარი დაცვის სტრატეგიისა და მოპოვებული მტკიცებულებების შესახებ. მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ ყოველივე ხსენებული ზღუდავდა ადვოკატის საქმიანობის თავისუფლებასა და სხვა ძირითად უფლებებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმა ადგენდა მხოლოდ იურიდიული დახმარების საბჭოს ზოგად უფლებამოსილებას, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის წარდგინებით დაემტკიცებინა იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული კონსულტაციისა და დახმარების შეფასების წესი და კრიტერიუმები, თუმცა სადავო ნორმა არ განსაზღვრავდა, თუ რა კონკრეტული კრიტერიუმებით უნდა მომხდარიყო ადვოკატის საქმიანობის შეფასება. მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია მიემართებოდა არა სადავო ნორმას, არამედ იმ საკანონმდებლო რეგულაციას, რომელიც ადგენდა ადვოკატის საქმიანობის შეფასების კონკრეტულ კრიტერიუმებს. რამდენადაც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია არ მიემართებოდა სადავო ნორმას და გასაჩივრებული არ ყოფილა ის ნორმები, რომლებიც იწვევდნენ მოსარჩელის უფლების შეზღუდვას, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

### **ა.ბ) სადავო ნორმას არ გააჩნია გასაჩივრებული ნორმატიული შინაარსი**

N739-ე კონსტიტუციური სარჩელით<sup>2</sup> მოსარჩელე სადავოდ ხდიდა, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით დასჯად ქმედებად ითვლებოდა კერძო საუბრის ან კერძო კომუნიკაციის უნებართვო ჩაწერა/მიყურადება, თუმცა საქმეზე სადავოდ გამხდარი ამავე მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტი აღნიშნული ქმედების ჩამდენ პირს ათავისუფლებდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი მოპოვებულ ინფორმაციას წარუდგენდა საგამოძიებო ორგანოებს. მოსარჩელე ასაჩივრებდა სადავო ნორმის იმ ნორმატიულ შინაარსს, რომელიც უშვებდა კონსტიტუციის დარღვევით მოპოვებული ჩანაწერის სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმა ადგენდა კონკრეტული დანაშაულის ჩადენისას პირის

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/17/739 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ერასტი ჯაკობია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საფუძველს და შემხებლობა არ ჰქონდა კანონის დარღვევით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობის საკითხთან. რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმას არ გააჩნდა მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული ნორმატიული შინაარსი, აღნიშნული საფუძველით მას უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის აღნიშნული ნაწილის არსებითად განსახილველად მიღებაზე.

#### **ა.გ) სადავოდ გამხდარ ნორმას არ გააჩნია მზღლუდავი ხასიათი**

სადავო ნორმის შინაარსისა და მისგან მომდინარე შეზღუდვის არასწორ აღქმაზე მიუთითებს იმგვარი ნორმის გასაჩივრება, რომელსაც არ გააჩნია მოსარჩელეთა მიერ დასახელებული უფლების მზღლუდავი ხასიათი. ხშირ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ ხდება ისეთი სადავო ნორმის გასაჩივრება, რომელიც აღმჭურველი ხასიათისაა და არ გააჩნია უფლების შეზღუდვის ეფექტი.

N1232 კონსტიტუციური სარჩელით<sup>3</sup> მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმას, რომლის თანახმადაც, საერთო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან თავისუფლდებიან ის ფიზიკური პირები, რომელთა დავის საგანსაც წარმოადგენს შრომითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ხელფასის გადახდევინება ან სხვა მოთხოვნა შრომის ანაზღაურების თაობაზე. მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ არაკონსტიტუციური იყო სადავო ნორმის ის შინაარსი, რომელიც პირს ავალდებულებდა, გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი სამსახურებრივ დავაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისას და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ დავებზე. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის შინაარსიდან გამომდინარე მიუთითა, რომ იგი ითვალისწინებს მხოლოდ პირთა გარკვეული კატეგორიის გათავისუფლებას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან და არ შეიცავს რაიმე ვალდებულებას იმის შესახებ, თუ ვინ და რა სარჩელებზე უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდის ზოგადი წესიდან გამონაკლისი და ატარებდა აღმჭურველ ხასიათს. აღნიშნული არგუმენტაციიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

---

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 12 ივლისის №1/11/1232 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ივანე პეტრიაშვილი და ელენე მახარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, ანალოგიური საფუძვლით, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული N824-ე კონსტიტუციური სარჩელი<sup>4</sup>, რომლითაც მოსარჩელე ასაჩივრებდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-10 ნაწილის სიტყვების „ძებნილი ბრალდებულის უცხოეთში დაკავების შემთხვევაში საქართველოში გამოძიების ადგილზე ჩამოყვანიდან არა უგვიანეს 48 საათისა იგი უნდა წარედგინოს შესაბამის სასამართლოს“ კონსტიტუციურობას. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმა ითვალისწინებდა მხოლოდ გამოძიების ეტაპზე ექსტრადირებული პირების სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, შესაბამისად, უშვებდა შესაძლებლობას, სასამართლოსათვის არ წარედგინათ ის პირები, რომელთა ექსტრადირებაც მოხდა გამოძიების ეტაპის შემდეგ. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმა საერთოდ არ შეიცავდა რაიმე წინაპირობას, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პირი სასამართლოს არ წარედგინებოდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამა თუ იმ ნორმის გარკვეულ ურთიერთობებზე არ გავრცელება თვისთავად არ განაპირობებს რაიმე უფლების შეზღუდვას და სადავო ნორმას გააჩნია უფლება აღმჭურველი შინაარსი იმ პირების მიმართ, რომლებზეც იგი ვრცელდება. აღნიშნული არგუმენტაციის გათვალისწინებით, სარჩელი არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.

ბ) არ არსებობს შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებას შორის, რომელთან დაკავშირებითაც არის მოთხოვნილი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა

კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების განსახილველად მიღების კიდეც ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს სადავო ნორმის სწორი მიმართება კონსტიტუციით გარანტირებულ ძირითად უფლებასთან. კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებები შინაარსითა და რეგულირების სფეროთი, როგორც წესი, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამგვარი კონსტიტუციური წესრიგი ქმნის საჭიროებას, მოხდეს კონკრეტული უფლების შინაარსის, მისი ფარგლების, უფლებაში ჩარევის სტანდარტებისა და საფუძვლების სწორი განმარტება. აღნიშნული კი ძალიან გართულებდა იმ ვითარებაში, თუ არ მოხდება შეზღუდვის/უფლებაში ჩარევის შეფასება კონსტიტუციის იმ მუხლთან, რომლითაც დაცულია კონკრეტული ძირითადი უფლების შინაარსი.

---

<sup>4</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №1/23/824 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი დგებუაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსარჩელე მიუთითებს კონკრეტული ნორმიდან მომდინარე პრობლემაზე და მიიჩნევს, რომ დაირღვა კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, თუმცა არასწორად ესმის ამა თუ იმ ძირითადი უფლების შინაარსი, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა არ მიემართება იმ კონსტიტუციურ ნორმას, რომელთან მიმართებითაც არის იგი დაყენებული. მოსარჩელის უფლებების სრულყოფილად რეალიზაციისათვის, ისევე როგორც კონსტიტუციური წესრიგის დაცვისათვის აუცილებელია, მოხდეს იმ ძირითადი უფლების სწორად იდენტიფიცირება, რომლის რეალურ შეზღუდვასაც იწვევს სადავო ნორმა. ამ კუთხით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსარჩელის მიერ სადავო ნორმის შინაარსისა და მისგან მომდინარე შეზღუდვის ზუსტად წარმოჩენას და სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნის კონსტიტუციის რელევანტურ მუხლთან დაყენებას, რათა მოხდეს უფლების შეზღუდვის სწორი, კონსტიტუციით დადგენილი სტანდარტით შეფასება.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით განიმარტა სხვადასხვა უფლებით დაცული სფერო, მაინც ხშირია შემთხვევები, როდესაც სადავო ნორმა და მოსარჩელის არგუმენტაცია არ მიემართება სარჩელში მითითებულ ძირითად უფლებებს.

N759 კონსტიტუციური სარჩელით<sup>5</sup> მოსარჩელე მხარე აპელირებდა იმ გარემოებაზე, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოში ასარჩევად მოეთხოვებოდათ უნივერსიტეტის თვითმმართველობის წევრობა, რაც მათი განმარტებით, ზღუდავდა გაერთიანების თავისუფლებას (კონსტიტუციის 26-ე მუხლი), კანონის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპსა (კონსტიტუციის მე-14 მუხლი) და სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას (კონსტიტუციის 29-ე მუხლი).

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერ სტუდენტს ჰქონდა უფლება, თავისუფალი ნების გამოვლენით, მიეღო მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში და გამხდარიყო მისი წევრი ან პირიქით, უარი ეთქვა მის საქმიანობაში მონაწილეობაზე. რამდენადაც სადავო ნორმები არ ახდენდა მოსარჩელეთა სტუდენტურ თვითმმართველობაში გაერთიანების იძულებას და გაერთიანების ნეგატიური ასპექტის შეზღუდვას, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმებს არ ჰქონდა მიმართება გაერთიანების კონსტიტუციურ უფლებასთან.

---

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/18/759 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - თორნიკე გერლიანი, თამარ ონიანი, ელისაბედ შენგელია და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, კონსტიტუციის 29-ე მუხლით გარანტირებულია სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და საქმიანობის უფლება. შესაბამისად, აღნიშნულ მუხლში ჩარევისათვის აუცილებელია, თავად თანამდებობა წარმოადგენდეს „სახელმწიფო თანამდებობას“ კონსტიტუციის მიზნებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიკვლია ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს საქმიანობა, მისი ფუნქციები და დაადგინა, რომ აღნიშნული სამსახურები წარმოადგენენ უნივერსიტეტის შიდა ორგანოებს, რომელებიც იღებენ გარკვეულ გადაწყვეტილებებს ამ დაწესებულების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუმცა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო და ფაკულტეტის საბჭო მათი ფუნქციიდან და საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, არ ახორციელებენ საჯარო უფლებამოსილებას. შესაბამისად, აღნიშნულ საბჭოებში საქმიანობა არ მიეკუთვნება სახელმწიფო სამსახურს და, ამდენად, სადავო ნორმებს არ ჰქონდა შინაარსობრივი მიმართება კონსტიტუციის 29-ე მუხლთან.

დამატებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმებს ასევე არ ჰქონდა მიმართება კანონის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებასთან, რამდენადაც თითოეულ სტუდენტს, რომელსაც სურს არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს წევრად, წაეყენება იდენტური მოთხოვნა. შესაბამისად, სადავო ნორმით დადგენილი რეგულაცია ნეიტრალური შინაარსისაა და არ იწვევს თანასწორ პირთა დიფერენცირებას. ხსენებული არგუმენტაციის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმებს არ ჰქონდა შინაარსობრივი მიმართება მოსარჩელეთა მიერ დასახელებულ ძირითად უფლებებთან, რაც გახდა სარჩელის განსახილველად არ მიღების საფუძველი.

მიმდინარე წელს ასევე გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის თანახმადაც, მოსარჩელები სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებას ითხოვდნენ იმ უფლებასთან მიმართებით, რომელიც სადავო ნორმიდან მომდინარე შეზღუდვის გვერდით ეფექტს წარმოადგენდა. ამ მხრივ აღსანიშნავია N872-ე კონსტიტუციური სარჩელი<sup>6</sup>, რომლის თანახმადაც, მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით (ადამიანის ფიზიკური თავისუფლების ხელშეუხებლობის

<sup>6</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/21/872 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - სოფიკო ვერძეული, გურამ იმნაძე და გიორგი გვიმრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.



უფლება). ხსენებული სადავო ნორმები ითვალისწინებდა სპეციალური საპოლიციო კონტროლის დაწყების საფუძვლებს, მიზნებს, კონტროლის განხორციელების ფარგლებსა და შემოწმების მექანიზმებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სპეციალური საპოლიციო კონტროლი გულისხმობს პირის, ნივთის ან სატრანსპორტო საშუალების ზედაპირულ შემოწმებასა და დათვალიერებას. შესაბამისად, სადავო ნორმა ქმნის პირის პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვის საფუძვლებს. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ, მართალია, ზედაპირულ შემოწმებასა და დათვალიერებას წინ უძღვის პირის შეჩერება, მისი ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა, თუმცა, ამ შემთხვევაში შეზღუდვა მიმართულია პირადი ცხოვრების უფლებისაკენ, ხოლო შეჩერება მის გვერდით ეფექტს წარმოადგენს. ამდენად, დადგენილი რეგულირების კონსტიტუციურობა შემოწმებადად მიიჩნია იმ უფლებასთან (პირადი ცხოვრების უფლება), რომლის უშუალო შეზღუდვისკენაც იყო ნორმა მიმართული და არა იმ უფლებასთან (ფიზიკური თავისუფლების ხელშეუხებლობა), რომელიც წარმოადგენდა შეზღუდვის აუცდენელ, გვერდით ეფექტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელეთა მოთხოვნა სადავო ნორმების კონსტიტუციის მე-18 მუხლთან არაკონსტიტუციურად ცნობის ნაწილში.

#### გ) მთლიანი საკანონმდებლო აქტის გასაჩივრება როგორც დასაბუთებულობის ხარისხზე უარყოფითი გავლენის მქონე გარემოება

როგორც უკვე აღინიშნა, მოსარჩელის მიერ საკუთარი პრობლემის მკაფიო იდენტიფიცირება და შესაბამის კონსტიტუციური მუხლთან გასაჩივრება წარმოადგენს სარჩელის სამომავლო პერსპექტიულობის მნიშვნელოვან წინაპირობას. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე სადავოდ ხდის მთლიან საკანონმდებლო აქტს, მოსარჩელისათვის რთულია, საკმარისი სიცხადით წარმოაჩინოს საკუთარი პრობლემა და წარმოადგინოს დასაბუთება თითოეულ მუხლთან მიმართებით. ნორმატიული აქტი, რიგ შემთხვევებში, შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა სახის რეგულაციებს: იგი შეიძლება ადგენდეს კონკრეტულ შეზღუდვას, აკრძალვას ან შეიცავდეს უფლებააღმჭურველ შინაარსს, ასევე შეიძლება საკანონმდებლო აქტში იყოს პროცედურული ან სხვა ხასიათის მოწესრიგება, რომელსაც არ გააჩნდეს რაიმე უფლების მზღლუდავი ეფექტი. მსგავსი სახის, დივერსიფიცირებული ხასიათის ნორმატიული აქტების მთლიანად გასაჩივრების შემთხვევებში მოსარჩელეებს უჭირთ საკუთარი სასარჩელო მოთხოვნის წარმოჩენა, ისევე როგორც სადავო ნორმასა და კონსტიტუციის სათანადო დებულებას შორის



მიმართების წარმოჩენა. აღნიშნული ტენდენცია ხელს უშლის მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის სათანადო სიცხადით დასაბუთებას, დასაბუთების ნაკლებობა კი, საბოლოო ჯამში, იწვევს სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმას.

ხსენებული ტენდენციის მაგალითია N782-ე და N783-ე კონსტიტუციური სარჩელები<sup>7</sup>, რომელთა ფარგლებშიც სადავო იყო „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 24 თებერვლის №662-III დადგენილებისა და „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში აფხაზეთიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრების შეყვანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 14 ივნისის №759-III დადგენილების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის რიგ ნორმებთან მიმართებით. აღნიშნული სარჩელები არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად მათი დაუსაბუთებლობის გამო.

ამ კუთხით, აღსანიშნავია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2017 წელს წარმოდგენილი კონსტიტუციური სარჩელები. N697 კონსტიტუციური სარჩელით<sup>8</sup> საქართველოს სახალხო დამცველი სადავოდ ხდის იმ საკანონმდებლო რეგულაციებს, რომლებიც განსაზღვრავს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის გამოვლენის წესს. მოსარჩელე ასაჩივრებს, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №725 ბრძანებით დამტკიცებული „ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით პირის გამოსაკვლევად წარდგენის ინსტრუქციისა“ და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის №1244-№278/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დადგენის წესის“ რიგი დებულებების კონსტიტუციურობას. მოსარჩელე მიუთითებს, რომ სადავო ნორმები ბუნდოვანი შინაარსის არის, რაც ქმნის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან თვითნებობისა და უფლებამოსილებების გადამეტების მომეტებულ საფრთხეს. N697

<sup>7</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 8 ოქტომბრის №2/12/782,783 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით ზაქარაია და ხათუნა გადელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №1/11/697 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“.

კონსტიტუციურ სარჩელში გასაჩივრებული იყო, მათ შორის ისეთი ნორმების კონსტიტუციურობაც, რომლებთან დაკავშირებითაც მოსარჩელეს საერთოდ არ ჰქონდა წარმოდგენილი არგუმენტაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არსებითად განსახილველად არ იქნა მიღებული სადავოდ გამხდარი დებულებების ნაწილი.

ასევე უნდა აღინიშნოს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი N1231 კონსტიტუციური სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე სადავოდ ხდიდა მთლიანად „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის კონსტიტუციურობას და მიუთითებდა, რომ ფარული საგამომიებო მოქმედებებისა და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელებისას სატელეფონო და ინტერნეტკომუნიკაციაზე პირდაპირი წვდომა, ისევე, როგორც მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირებისა და შენახვის შესაძლებლობა, არ უნდა ჰქონდეს ამგვარი მონაცემების შეგროვებაზე პროფესიულად დაინტერესებულ საგამომიებო ორგანოს. განმწესრიგებელ სხდომაზე სახალხო დამცველის წარმომადგენელმა შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა სადავო კანონის რიგ ნორმებთან მიმართებით, თუმცა, რამდენადაც სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი სარჩელი არ შეიცავდა არგუმენტაციას ყველა გასაჩივრებულ ნორმასთან მიმართებით, ხოლო ნორმათა ნაწილს არ გააჩნდა უფლების მზღლუდავი ხასიათი, საკონსტიტუციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის აღნიშნული ნაწილი არ მიიღო არსებითად განსახილველად დაუსაბუთებლობის მოტივით.

ii. კონსტიტუციური სარჩელის წარდგენა უფლებამოსილი სუბიექტის მიერ

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ადგენს კონსტიტუციური სარჩელის უფლებამოსილი სუბიექტის მიერ შემოტანის ვალდებულებას. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს კონსტიტუციურ დავაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წრეს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვადასხვა კომპეტენციებთან მიმართებით.

2017 წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენჯერმე მოუწია კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმა სწორედ დასახელებული საფუძვლით. ქვემოთ დეტალურად არის განხილული ის გარემოებები და სამართლებრივი არგუმენტაცია, რომლებზე დაყრდნობითაც სასამართლომ უარი თქვა კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღებაზე.

ა) პირი არ ექცევა სადავო ნორმის მოქმედების სფეროში

იმისათვის, რომ ფიზიკური და იურიდიული პირი ჩაითვალოს კონსტიტუციური სარჩელის წარდგენაზე უფლებამოსილ სუბიექტად, მას ევალება, დაასაბუთოს, რომ სადავო ნორმის მოქმედება მასზე ვრცელდება ან არსებობს ნორმის მოქმედების გავრცელების რეალური ალბათობა.

საქმეზე „საქართველოს მოქალაქე აპოლონ გადელია თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ“, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ნორმას, რომელიც არეგულირებს იურიდიული პირების მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მისაღებში სარჩელის ჩაბარების წესს. კერძოდ, გასაჩივრებული ნორმა ადგენს იურიდიული პირების წარმომადგენლების მიერ რიგის ნომრის აღებისა და სარჩელის/სარჩელების წარდგენის პროცედურას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ იურიდიული პირის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ფიზიკური პირიც, ნორმა შეეხება უშუალოდ იურიდიული პირის სარჩელებს, შესაბამისად, იურიდიული პირის უფლებებს<sup>9</sup>. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე იყო ფიზიკური პირი, რომელიც არ ექცევა სადავო ნორმის მოქმედების ქვეშ. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ დასახელებული კონსტიტუციური სარჩელი არ იყო შემოტანილი უფლებამოსილი პირის მიერ და არ მიიღო არსებითად განსახილველად.

საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად მსგავსი საფუძვლით არ მიიჩნია უფლებამოსილ სუბიექტად მოსარჩელე საქმეზე „აიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც მოსარჩელე იურიდიული პირი ასაჩივრებდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმას, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმის მოქმედება არ ვრცელდება იურიდიული პირების მიმართ, სწორედ ამიტომ მოსარჩელე აღნიშნულ კონსტიტუციურ დავაზე ვერ ჩაითვლება უფლებამოსილ სუბიექტად<sup>10</sup>.

<sup>9</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №2/9/873 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე აპოლონ გადელია თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ“, II-2.

<sup>10</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 ივლისის №2/13/734 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „აიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მოსარჩელის მიმართ ნორმის შესაძლო ფორმალური მოქმედებისა, ეს საკმარისი არ არის პირის უფლებამოსილ სუბიექტად მიჩნევისათვის. მას ევალება დასაბუთება, რომ სადავო ნორმა მის უფლებრივ მდგომარეობაზე გავლენას იქონიებს განჭვრეტად მომავალში. მხოლოდ ჰიპოთეტური ვარაუდი, რომ მოსარჩელე ოდესმე შესაძლოა, სადავო ნორმის მოქმედების ქვეშ მოექცეს, არ არის საკმარისი მის უფლებამოსილ სუბიექტად აღიარებისთვის.

საქმეზე „სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, მოსარჩელე, სხვა ნორმებთან ერთად, სადავოდ ხდიდა ნორმას, რომელიც ადგენს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს - მის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას.

სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში სასამართლომ მოსარჩელე არ მიიჩნია უფლებამოსილ სუბიექტად, რადგან ზედმეტად აბსტრაქტულად ჩათვალა საფრთხე იმისა, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქემ შეიძლება მოიპოვოს საქართველოს მოქალაქეობა, შემდგომ დაკარგოს იგი და ამის გამო მოეხსნას მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი<sup>11</sup>.

ასევე არსებითად მსგავსი საფუძველით არ მიიჩნია სასამართლომ სათანადო სუბიექტად მოსარჩელე საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ივანე პეტრიაშვილი და ირაკლი ულუმბელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა იმ ნორმის კონსტიტუციურობა, რომელიც არეგულირებს მოსამსახურის სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში აღდგენის საფუძველებს. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოსარჩელე ივანე პეტრიაშვილი არ არის და არ ყოფილა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოხელე. სასამართლომ განმარტა, რომ „მხოლოდ იმის ვარაუდი, რომ მოსარჩელე ოდესმე დასაქმდება სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში და შემდეგ უკანონოდ გათავისუფლდება, არ აკმაყოფილებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დამკვიდრებულ სტანდარტს“<sup>12</sup>. შესაბამისად, მოსარჩელე ივანე

<sup>11</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის №2/15/927 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-4.

<sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2/16/1218 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ივანე პეტრიაშვილი და ირაკლი ულუმბელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

პეტრიაშვილი არ იქნა მიჩნეული კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ სუბიექტად.

### ბ) Actio Popularis

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის „Actio Popularis“ კომპეტენციას. კანონმდებლობით სხვა პირთა უფლებების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა გათვალისწინებულია მხოლოდ სპეციალური სუბიექტებისათვის<sup>13</sup>. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება მინიჭებული აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია დაირღვეს უშუალოდ მათი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები<sup>14</sup>.

საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კოლუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა რეგულირებას, რომელიც აღმასრულებელს სააღსრულებო მოქმედებათა განხორციელებისას უფლებას აძლევს, შევიდეს მოვალის ბინაში, დაათვალიეროს ყველა სათავსი და მოვალის ქონება, ასევე ადგენს აღმასრულებლის ვალდებულებას, განხორციელებული დათვალიერება გააფორმოს ოქმით.

კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოსარჩელე იყო სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ აღმასრულებელი. იგი მიუთითებდა, რომ სადავო ნორმით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული იმ პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები, რომელთა საცხოვრებელ ადგილზეც ხორციელდება სააღსრულებო მოქმედებები.

საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელე არ ცნო კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ პირად, რადგან მას არ მიუთითებია სადავო ნორმიდან მომდინარე იმ პრობლემაზე, რომელიც უშუალოდ მას შეეხება და მისი მიზანი იყო სხვა პირთა უფლებების დაცვა, რისი უფლებაც მას საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობით არ აქვს მინიჭებული<sup>15</sup>.

<sup>13</sup> იხ. მაგ.: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>14</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>15</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №2/1/741 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კოლუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

### გ) მოსარჩელე არ არის კონსტიტუციური უფლების სუბიექტი

მოსარჩელე ფიზიკური და იურიდიული პირი უფლებამოსილია წარადგინოს კონსტიტუციური სარჩელი იმ შემთხვევაში, თუ იგი ასევე არის იმ კონსტიტუციური უფლების სუბიექტი, რომლის დარღვევაზეც დავობს. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებების სუბიექტები განსხვავდებიან ამა თუ იმ უფლების შინაარსისა და კონსტიტუციურსამართლებრივი დატვირთვის გათვალისწინებით. ხშირად, კონსტიტუციური უფლების სუბიექტობასთან დაკავშირებით კითხვები ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე იურიდიული პირია. საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად, კონსტიტუციური უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება იურიდიულ პირებზეც. სასამართლოს მხრიდან მსჯელობის საგანი არაერთხელ გამხდარა ამა თუ იმ უფლების იურიდიულ პირებზე გავრცელების საკითხი. ასეთ შემთხვევებში, სასამართლო კონკრეტული კონსტიტუციური უფლების სპეციფიკიდან გამომდინარე წყვეტს ზემოაღნიშნულ საკითხს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი სტანდარტი ჩამოყალიბდა საქმეზე „ააიპ „ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი“ და საქართველოს მოქალაქეები - მარინე მიზანდარი, გიორგი ჩიტიძე და ანა ჯიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დასახელებულ საქმეზე მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომელიც გამორიცხავს რელიგიური ორგანიზაციების მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრებას მათ მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან გაფორმებული ძეგლის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულების ან სამინისტროს მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის პირობების დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე გამორიცხავს რელიგიურ ორგანიზაციებზე იმ რეგულირების გავრცელებას, რომელიც კრძალავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სხვადასხვა სახის კულტურული ფასეულობის გასხვისებასა და გარკვეული კატეგორიის კულტურულ ფასეულობათა ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემას სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე.

მოსარჩელეთა მითითებით, სადავო ნორმა ეწინააღმდეგება კულტურული გარემოთი სარგებლობისა (კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი) და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის (კონსტიტუციის 34-ე მუხლი) კონსტიტუციურ უფლებებს. კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელედ, ფიზიკურ პირებთან ერთად, ასევე დასახელებული იყო იურიდიული პირი - ააიპ „ლურჯი

ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი“. თუმცა სარჩელში არ იყო წარმოდგენილი დასაბუთება იმის შესახებ, თუ რატომ უნდა გავრცელდეს აღნიშნული უფლებები იურიდიულ პირებზე.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულობის ზოგად მოთხოვნაზე და აღნიშნა, რომ „მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ იგი წარმოადგენს მითითებული კონსტიტუციური დებულების სუბიექტს“<sup>16</sup>. ამასთან, „მოსარჩელე იურიდიულ პირს ყველა შემთხვევაში არ მოეთხოვება იმის დასაბუთება, რომ ესა თუ ის უფლება იურიდიულ პირებზეც ვრცელდება“, არამედ იგი „... ვალდებულია დაასაბუთოს სუბიექტობა ისეთ უფლებებთან მიმართებით, რომელთა იურიდიულ პირებზე გავრცელების საკითხი არ არის თავისთავად ცხადი ან/და ცალსახად განსაზღვრული სასამართლო პრაქტიკით“<sup>17</sup>.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ იურიდიულ პირებზე კულტურული გარემოთი სარგებლობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლებების გავრცელების საკითხი არ მიიჩნია თავისთავად ცხად მოცემულობად. ამასთან, აღნიშნული საკითხი არც სასამართლოს პრაქტიკით არის გადაწყვეტილი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მოსარჩელე იურიდიული პირი ააიპ „ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი“ არ ცნო კონსტიტუციური სარჩელის წარდგენაზე უფლებამოსილ სუბიექტად.

ზემოთ ხსენებული განმარტებიდან გამომდინარე, იურიდიულ პირებს მოუწევთ, გარკვეულ შემთხვევებში, საფუძვლიანად დაასაბუთონ, რომ მათზე ვრცელდება ის კონსტიტუციური უფლებები, რომელთა დარღვევაზეც ისინი მიუთითებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლომ შესაძლოა, იურიდიული პირი არაუფლებამოსილ სუბიექტად ცნოს, თუკი არ იარსებებს შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა და კონკრეტული კონსტიტუციური უფლების იურიდიულ პირებზე გავრცელების საკითხი არ არის ცალსახა და საჭიროებს შესაბამის დასაბუთებას.

---

<sup>16</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/17/1216 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ააიპ „ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი“ და საქართველოს მოქალაქეები - მარინე მიხანდარი, გიორგი ჩიტაძე და ანა ჯიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

<sup>17</sup> იქვე, II-3.



დ) მოსარჩელის უფლებამოსილება, მიმართოს სასამართლოს შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში

კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს სხვადასხვა კომპეტენციების ფარგლებში, კონსტიტუციურ დავაზე უფლებამოსილ პირთა წრე განსხვავებულია. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც მოსარჩელების სუბიექტობასთან მიმართებით არსებობს, უკავშირდება სწორედ აღნიშნულ საკითხს. კერძოდ, მოსარჩელები ხშირად საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ იმ კომპეტენციის ფარგლებში, რომელზე დავის უფლებამოსილებაც მათ კანონით მინიჭებული არ აქვთ.

ხსენებულ საკითხს შეეხებოდა საქმე „საქართველოს მოქალაქეები გოჩა თევდორაძე, ვაჟა ოთარაშვილი, ფრიდონ ინჯია და კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეზე მოსარჩელები ეჭვქვეშ აყენებდნენ პარლამენტის წევრების უფლებამოსილების ცნობის შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილების კონსტიტუციურობას. მოსარჩელები რეგისტრირებული იყვნენ საარჩევნო ბლოკის „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - გაერთიანებული ოპოზიცია“ საარჩევნო სიაში. ისინი მოითხოვდნენ, არაკონსტიტუციურად ყოფილიყო ცნობილი საქართველოს პარლამენტის დადგენილების ის დანაწესი, რომელიც შეეხება გია ბენაშვილის, ენძელა მაჭავარიანის, აზერ სულეიმანოვის და გიორგი წერეთლის საქართველოს პარლამენტის წევრებად უფლებამოსილების ცნობას, რათა შემდგომში თავად მოსარჩელებს შეძლებოდათ აღნიშნული პირების ნაცვლად მოეპოვებინათ პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ საკითხზე სასამართლოში დავის უფლებამოსილებით კანონმდებლობა აღჭურავს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, აგრეთვე იმ მოქალაქეს, ვისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილებაც არ ცნო ან ვადამდე შეწყვიტა საქართველოს პარლამენტმა<sup>18</sup>.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელები არ ყოფილან არჩეული 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში პარლამენტის წევრებად. შესაბამისად, „ისინი არ არიან „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“

<sup>18</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №2/8/859 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გოჩა თევდორაძე, ვაჟა ოთარაშვილი, ფრიდონ ინჯია და კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი სუბიექტები, იდავონ საქართველოს პარლამენტის დადგენილების კონსტიტუციურობის თაობაზე<sup>19</sup>.

ამავე კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელები ასევე ითხოვდნენ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმებას. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც მიუთითა კანონმდებლობით დადგენილ უფლებამოსილ სუბიექტთა ვიწრო წრეზე. კერძოდ, არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს სახალხო დამცველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები არც ამ კომპეტენციის ფარგლებში იყვნენ კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილი სუბიექტები<sup>20</sup>.

შედეგად, სასამართლომ აღნიშნული კონსტიტუციური სარჩელის ავტორები არც ერთი მოთხოვნის ფარგლებში არ მიიჩნია კონსტიტუციურ დავაზე უფლებამოსილების მქონე სუბიექტებად და არ მიიღო სარჩელი არსებითად განსახილველად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კვლავ გავრცელებულ პრობლემად რჩება ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მათი კომპეტენციის არასწორი აღქმა კონსტიტუციის დებულებებთან დაკავშირებით. კერძოდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ფიზიკური და იურიდიული პირები ითხოვენ ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულებებთან მიმართებით, რომლებიც არ არის განთავსებული საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის დებულებებთან მიმართებით<sup>21</sup>.

---

<sup>19</sup> იქვე, II-6.

<sup>20</sup> იქვე, II-8.

<sup>21</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის №1/7/727 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი სეხნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის №3/6/808 განჩინება საქმეზე

### iii. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობა

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ მასში მითითებული არც ერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტი, ისევე, როგორც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლი ჩამოთვლის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯად საქმეებს.

საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი მხრივ, ხელისუფლების შტოთა დაბალანსების, ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის ქმედითობას უზრუნველყოფს, ხოლო, მეორე მხრივ, კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ხელისუფლების გაუმართლებელი ჩარევისაგან იცავს. ამ ფუნქციის წარმატებით შესრულება თანაბრად შეუძლებელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების როგორც სრულად გამოუყენებლობის, ასევე მისი გადამეტების შემთხვევაში. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი „სახელმწიფო ხელისუფლების ... მოქმედებას მკაცრ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს“.<sup>22</sup> შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ ჯერზე თავად უნდა დარჩეს კონსტიტუციის ფარგლებში, რადგან მისი საქმიანობის საფუძველი და კომპეტენციის ზღვარი კონსტიტუციაა.

წინამდებარე საფუძველთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს საკუთარი პრაქტიკით ჩამოყალიბებული აქვს კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის გარკვეული სტანდარტები. 2017 წლის განმავლობაში ზემოთხსენებული საფუძველით საკონსტიტუციო სასამართლომ რამდენჯერმე თქვა უარი კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე. განჩინებები ძირითადად შეეხებოდა ისეთ შემთხვევებს როდესაც

---

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ და „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 12 ივლისის №1/10/1228 განჩინება საქმეზე „შპს „ბელლა კოსტა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>22</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-18.

გასაჩივრებული აქტი არ იყო ნორმატიული ხასიათის ან მოსარჩელე სადავოდ არ ხდიდა მოქმედი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას.

ა) ნორმატიული ბუნების არქონე აქტის კონსტიტუციურობის საკითხი

იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, აუცილებელია, აქტი იყოს ნორმატიული ბუნების. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს პირის სარჩელის საფუძველზე ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით. ამასთან, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ „საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი“.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის ნორმატიული აქტის შინაარსი არ ამოიწურება ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული დეფინიციით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, ფორმით ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი შესაძლოა იყოს ნორმატიულ ბუნების. „... ნორმის ნორმატიული ხასიათი ვლინდება ადამიანთა ქცევის სავალდებულო რეგულირებაში და განსაზღვრავს ამ ქცევათა მოქმედების ფარგლებს. შესაბამისად, სამართლებრივი დებულება მაშინ არის ნორმატიული ხასიათის მატარებელი, თუ იგი ადგენს ქცევის სავალდებულო წესს, რომელიც კონკრეტული პირის ან პირთა წრის მიმართ ადგენს აკრძალვებს ან პირიქით, ნებას რთავს გარკვეულ ქმედებებთან დაკავშირებით. სამართლებრივი ნორმის სავალდებულო ხასიათი ემსახურება სწორედ ამ ფუნქციების განხორციელებას და მიზნად ისახავს ახალი სამართლებრივი წესრიგის დადგენას მისი მეშვეობით“<sup>23</sup>.

მიმდინარე წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ საქმეებზე გამოიკვეთა მოსარჩელე მხარის მიერ სადავო ნორმის ნორმატიული ბუნების არასწორი შეფასების მაგალითები.

<sup>23</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

N697 კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარე ითხოვდა, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის №1244-№278/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დადგენის წესის“ სათაურის და მე-6 მუხლის სათაურის სიტყვების „ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე“ არაკონსტიტუციურად ცნობას. საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 7 აპრილის №1/11/697 საოქმო ჩანაწერით სასარჩელო მოთხოვნის მოცემული ნაწილი არ მიიღო არსებითად განსახილველად. ვინაიდან არც სადავო ნორმატიული აქტის სათაური და არც მისი მე-6 მუხლის სათაურის გასაჩივრებული სიტყვები არ ადგენს ქცევის წესს და, შესაბამისად, არ იწვევს უფლების დარღვევის საფრთხეს. საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, სადავოდ გამხდარი სათაურებით არ იყო რეგლამენტირებული ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დადგენის რაიმე კონკრეტული წესი, ასევე არ იყო განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომელიც უფლებამოსილია, ჩაატაროს კლინიკური ან/და ლაბორატორიული გამოკვლევა. შესაბამისად, სადავო ნორმები არ ადგენდა ქცევის ზოგად წესს.

თვისობრივად იმავე პრობლემის მატარებელი იყო N782 და N783 ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელები. მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 24 თებერვლის №662-III დადგენილების (შემდგომში - №662-III დადგენილება), „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში აფხაზეთიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრების შეყვანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 14 ივნისის №759-III დადგენილების (შემდგომში - №759-III დადგენილება) კონსტიტუციურობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ №662-III დადგენილების პრეამბულა, პირველი და მე-4 მუხლები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1991 წლის ოქტომბერში არჩეულ დეპუტატთა თანდართული სია და №759-III დადგენილება არ ადგენენ პირთა განუსაზღვრელი წრისკენ მიმართულ ქცევის ზოგადსავალდებულო, მრავალჯერადი გამოყენების წესს. სადავო დებულებები მიმართულია კონკრეტულ პირთა წრის მიმართ. კერძოდ, №662-III დადგენილება უშუალოდ განსაზღვრავს იმ პირთა კონკრეტულ წრეს, რომელთა

უფლებამოსილების ცნობაც ხდება აღნიშნული დადგენილებით. ასევე, №759-III დადგენილება მიმართულია კონკრეტულ პირთა წრის, კერძოდ, აფხაზეთიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრების მიმართ. შესაბამისად, ხსენებული სადავო ნორმები არ წარმოადგენენ ნორმატიულ აქტს საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის და მათი კონსტიტუციურობის შეფასება არ წარმოადგენდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯად საქმეს<sup>24</sup>.

### ბ) მოქმედი ნორმატიული აქტი

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციური უფლების შემზღუდვასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება საქმე, როდესაც ამის შესაძლებლობას მოქმედი საკანონმდებლო აქტი ითვალისწინებს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, იმსჯელოს და შეაფასოს კონსტიტუციური უფლების დარღვევის რისკი უფლების შემზღუდველი ნორმის არსებობის შემთხვევაში, როდესაც უფლებების განხორციელებისას ადამიანის თავისუფალი მოქმედების ფარგლების შემცირება ნორმატიული აქტით არის განპირობებული. ამდენად, მოსარჩელე ვალდებულია, მიუთითოს იმ მოქმედ ნორმატიულ აქტზე, რომელიც, მისი აზრით, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. მხოლოდ მოქმედი ნორმა შეიძლება წარმოშობდეს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის რისკს.

ზემოთ ხსენებულ საფუძველზე დაყრდნობით, მიმდინარე წელს საკონსტიტუციო სასამართლომ განსახილველად არ მიიღო ერთი კონსტიტუციური სარჩელი. N791 კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ არის გამხდარი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2015 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონის (4625-III) პირველი მუხლი. აღნიშნული ნორმით მოხდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის გაუქმება<sup>25</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, იგი დამოუკიდებლად არ აფასებს ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს კანონს. „საკონსტიტუციო სასამართლოს შინაარსობრივი მსჯელობის

<sup>24</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის N2/12/782, 783 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით ზაქარაია და ხათუნა გადელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>25</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 თებერვლის №1/1/ 791 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ნოდია, ა.ა.ი.პ. „საქართველოს ბანკების ასოციაცია“ და ა.ა.ი.პ. „საქართველოს ბიზნესის ასოციაცია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.



საგანი შეიძლება იყოს არა ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის ესა თუ ის ნორმა, არამედ ძირითადი (კოდიფიცირებული) კანონის იმ ნორმის მოქმედი რედაქცია, რომელიც ჩამოყალიბდა განხორციელებული ცვლილების შედეგად<sup>26</sup>. გამონაკლისი შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც „ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონში მოცემული რაიმე რეგულირების გადატანა (ინტეგრირება) არ ხდება სხვა (ძირითად) ნორმატიულ აქტში და იგი არსებობას აგრძელებს დამოუკიდებლად... ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონი დამოუკიდებელი შეფასების საგანი შეიძლება იყოს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან ფორმალური კუთხით შესაბამისობის საკითხს“<sup>27</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიუთითა, რომ იმ ცვლილებების შესახებ კანონის კონსტიტუციურობაზე მსჯელობა, რომლის საფუძველზეც ძირითადი კანონიდან რაიმე ნორმის ამოღება ხდება, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას არ წარმოადგენს.

iv. კონსტიტუციურ სარჩელში ან კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ „მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა ემსახურება პროცესის ეკონომიურობას და საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით, არ განიხილოს ისეთი საკითხები, რომლებიც ერთხელ უკვე გადაწყვეტილია. ამავე დროს, დასახელებული ნორმა უშვებს სასამართლო პრაქტიკის გადახედვის შესაძლებლობას „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21<sup>1</sup>

<sup>26</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

<sup>27</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.



მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „თუ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან“. მიმდინარე წელს აღნიშნული საფუძვლით არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად ორი კონსტიტუციური სარჩელი.

N823 კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარე მოითხოვდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის დადგენილი 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადის არაკონსტიტუციურად ცნობას, მაშინ როდესაც არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შემდეგი საფუძვლები: 1. თუ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია; 2. თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ N823 კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად. სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმის კონსტიტუციურობა უკვე იყო სასამართლოს მსჯელობის საგანი საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის №1/3/161 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და სასამართლოს მიერ ცნობილი იქნა კონსტიტუციურად<sup>28</sup>.

არსობრივად იმავე პრობლემის მქონე იყო N1217 კონსტიტუციური სარჩელი. მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის 7<sup>4</sup> მუხლის სიტყვების „2012 წლის 1 იანვრიდან კერძო სამართლის იურიდიული პირი კარგავს მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ ... მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებას“ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 21-ე მუხლებთან მიმართებით.

---

<sup>28</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის N1/2/823 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ქეთევან დოლიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა არ მიიღო არსებითად განსახილველად, ვინაიდან მისი კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 21-ე მუხლებთან მიმართებით ერთხელ უკვე შეფასებული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522,553 გადაწყვეტილებაში საქმეზე „სპს „გრიმა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ ნორმა კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/3/522,553 გადაწყვეტილებაში გამოხატული სამართლებრივო პოზიცია და მიუთითა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, არ არსებობდა საქმის პლენუმისათვის გადაცემის საფუძველი<sup>29</sup>.

#### v. სუბსიდიურობა

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება არსებითად განსახილველად არ მიიღება, თუ „სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მალლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის“.

აღნიშნული საფუძველით არ იქნა მიღებული N604 კონსტიტუციურ სარჩელში დაყენებული სასარჩელო მოთხოვნის გარკვეული ნაწილი. დასახელებულ კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარის მიერ სადავოდ იყო გამხდარი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის N98 ბრძანების თანდართული წესისა და „საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული დიპლომატიური პასპორტის,

<sup>29</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივნისის №1/9/1217 განჩინება საქმეზე „სს „საქსათბობმშენი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული სამსახურებრივი პასპორტის, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის ბიომეტრიული სამგზავრო პასპორტისა და ლტოლვილის ბიომეტრიული სამგზავრო დოკუმენტის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 5 ოქტომბრის N194 ბრძანების N1 დანართის რიგი ნორმების კონსტიტუციურობა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ბრძანებები წარმოადგენდა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში მიიღებოდა არსებითად განსახილველად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდებოდა, რომ აღნიშნული აქტების კონსტიტუციურობაზე სრულყოფილი მსჯელობა შესაძლებელია ზემდგომი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასების გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის პრობლემის გამომწვევი ნორმის იდენტურ რეგულაციას იმეორებდა ზემდგომი ნორმატიული აქტი - „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც გასაჩივრებული არ იყო აღნიშნული ზემდგომი აქტის ნორმა, შეუძლებელი იყო სადავო ნორმის კონსტიტუციურობის სრულფასოვანი შემოწმება, რის გამოც, კონსტიტუციური სარჩელი სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში, არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად<sup>30</sup>.

## II. გადაწყვეტილების დამძლველი ნორმები

საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლს და ამ გზით უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობის, ხელისუფლების დანაწილების პრინციპისა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვასა და რეალიზებას. საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციების ეფექტურად განხორციელების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სასამართლოს აღჭურვა იმგვარი საპროცესო მექანიზმებით, რომლებიც შესაძლებელს გახდის მოქნილი, სწრაფი და დროული კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებას.

<sup>30</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 22 ივნისის №2/10/604 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თენგიზი ლატარია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.

საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს, რომლის გადაწყვეტილებაც შესასრულებლად სავალდებულოა ხელისუფლების ყველა შტოსთვის. გარკვეული თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თვითაღსრულებადია, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა იურიდიულ ძალას კარგავს დამატებითი საიმპლემენტაციო ღონისძიებების გარეშე. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სრულყოფილი აღსრულება ასევე გულისხმობს მასში ასახული სამართლებრივი სტანდარტების რეალურ განხორციელებას და ასახვას კანონმდებლობაში. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლების ნებისმიერი შტო ვალდებულია, პრაქტიკულად განახორციელოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით განმარტებული ამა თუ იმ დებულების კონსტიტუციური მოთხოვნები. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება რიგ შემთხვევებში შეიძლება დამოკიდებული იყოს ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის შემუშავებაზე, რომელმაც ახლებურად უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობები. კანონშემოქმედებით პროცესში სამართლებრივი ურთიერთობის ხელახალი, კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად დარეგულირებისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც შეიცავს როგორც ზოგადად კონსტიტუციის, ისე მისი ცალკეული ნორმებისა და პრინციპების ავტორიტეტულ განმარტებას.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. მიუხედავად აღნიშნული ჩანაწერისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც აქტის გამომცემი ორგანო სრულად არ/ვერ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახულ სტანდარტებს და სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირება არ ხდება სასამართლოს მიერ განმარტებული კონსტიტუციური დებულებების მოთხოვნების შესაბამისად ან, მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სადავო ნორმა, კანონმდებლობაში კვლავ რჩება ანალოგიური შინაარსის შემცველი ქცევის წესი, რომელიც ქმნის ანალოგიურ სამართლებრივ პრობლემას. მიზანშეწონილია, სამართალშემოქმედმა, იქნება ის საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების შტოს წარმომადგენელი, მიიღოს აქტიური ზომები მიმდინარე კანონმდებლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების მსგავსი შინაარსის ნორმების იდენტიფიცირებისა და გასწორებისათვის.

ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება, გამარტივებული წესით, არსებითი განხილვის გარეშე ძალადაკარგულად ცნოს მისი გადაწყვეტილების დამძლველი ნორმა. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტის თანახმად: „თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, ... მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტი წარმოადგენს სასამართლო პროცესის ეკონომიურობისა და მართლმსაჯულების ეფექტურობის პრინციპის გამოხატულებას. აღნიშნული ნორმა სასამართლოს ანიჭებს შესაძლებლობას, მის მიერ ერთხელ უკვე შეფასებული და არაკონსტიტუციურად ცნობილი ქცევის წესი ძალადაკარგულად ცნოს გამარტივებული პროცედურით, არსებითად განხილვის გარეშე. მოცემული ნორმით საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი მხრივ, კონტროლს უწევს საკუთარი გადაწყვეტილებების სრულყოფილი აღსრულების პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის ადამიანის უფლებათა დარღვევისაგან დაცვის პრევენციულ მექანიზმს. ქვემოთ განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისა და კოლეგიების მიერ 2017 წელს მიღებული განჩინებები საკონსტიტუციო სასამართლოს დამძლველი ნორმების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

## i. პლენუმი

### **ბოლნისის რაიონული სასამართლოს №855 კონსტიტუციური წარდგინება**

2017 წლის 15 თებერვალს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო განჩინება ბოლნისის რაიონული სასამართლოს №855 კონსტიტუციურ წარდგინებაზე. აღნიშნულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება - ნედლი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენისა და შენახვის გამო საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

№855 კონსტიტუციური წარდგინების ავტორი მიუთითებდა, რომ სადავო ნორმა იძლეოდა სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას 100 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება - ნედლი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შექმნა-შენახვის გამო. კონსტიტუციურ წარდგინებაში ყურადღება იყო გამახვილებული იმ გარემოებაზე, რომ კანონმდებელი ერთმანეთთან აიგივებდა საშიშროებას, რომელიც მომდინარეობდა კონკრეტული ოდენობის „გამომშრალი მარიხუანისგან“ და მასზე ორჯერ მეტი ოდენობის „ნედლი მარიხუანისგან“. აღნიშნულ გარემოებაზე მიუთითებდა კანონმდებლობით დადგენილი ოდენობები, რომლის თანახმადაც, „ნედლი მარიხუანის“ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებული იყო „გამომშრალი მარიხუანის“ ორმაგ ოდენობაზე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონსტიტუციური წარდგინების ავტორი მიუთითებდა, რომ სადავო ნორმა შესაძლოა ჩათვლილიყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილების დამძლევ ნორმად.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი N2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნებისთვის შექმნის და შენახვის გამო.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სხვაობა სადავო და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N1/4/592 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების შინაარსს შორის გამოიხატებოდა მარიხუანის როგორც ნარკოტიკული საშუალების მდგომარეობაში (გამომშრალი ან ნედლი) და მოცულობაში. კერძოდ, სადავო ნორმა აწესებდა სასჯელს 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის შექმნისა და შენახვისათვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ №592 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვისას მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა, რომ ნედლ

მარიხუანას არ ახასიათებს ნარკოტიკული თრობის მიზნებისათვის რელევანტური რაიმე ისეთი თვისება, რომელიც არ გააჩნია მას გამომშრალ მდგომარეობაში.

საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა, რამდენად შეიძლება 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის შეძენა/შენახვიდან მომდინარე საფრთხე აღემატებოდეს 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა/შენახვიდან მომდინარე საფრთხეს. სასამართლომ დაადგინა, რომ განსხვავება, რომელიც გამომშრალი და ნედლი მარიხუანის კანონით დადგენილ ოდენობებს შორის არსებობს, ნაკარნახევი იყო იმ ფაქტით, რომ ნედლ მარიხუანაში წყლის შემცველობა იყო უფრო მეტი, რაც ზრდიდა მცენარის მასას თავად ნარკოტიკული თრობის უნარის ზრდის გარეშე. სწორედ აღნიშნულით აიხსნა კანონმდებლის მიდგომა, რომლის თანახმად, რაოდენობრივი მაჩვენებლები გრამებში, რომლითაც განისაზღვრებოდა აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა, თითოეულ შემთხვევაში ნედლ მარიხუანასთან მიმართებით ორჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე გამომშრალ მარიხუანასთან მიმართებით.

შესაბამისად, აშკარა გახდა, რომ მასის გათვალისწინებით, მარიხუანის შეძენა/შენახვიდან მომდინარე საფრთხეების განსაზღვრისას კანონმდებელმა იდენტური საფრთხის მატარებლად მიიჩნია 50 გრამამდე მშრალი და 100 გრამამდე ნედლი მარიხუანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ კანონმდებელი 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის შეძენა/შენახვას, 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვასთან შედარებით, ნაკლები საფრთხის შემცველად მიიჩნევდა, რის საფუძველზეც, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული ნედლი მარიხუანის მოცულობა, ნარკოტიკული თრობის ეფექტის თვალსაზრისით, არ იყო 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის მოცულობაზე მეტი. ნედლი მარიხუანა, რომლის ოდენობაც არ აღემატებოდა 100 გრამს, ვერ იქნებოდა მიჩნეული იმ ოდენობად, რომელიც თავისთავად ქმნიდა მისი გასაღების საფრთხეს.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება - ნედლი მარიხუანის (100 გრამამდე) პირადი მოხმარების მიზნით შეძენისა და შენახვისთვის, მიჩნეულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592



გადაწყვეტილების („საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დამძლევადა და გამოცხადდა ძალადაკარგულად საქმის არსებითად განხილვის გარეშე.

**„საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“**

2017 წლის 29 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტის საფუძველზე სადავო ნორმების არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

მოსარჩელები არაკონსტიტუციურად მიიჩნევენ ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განსახორციელებლად საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის ქონას, აგრეთვე, სააგენტოსათვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირებისა და შენახვის უფლებამოსილების მინიჭებას. მათი მტკიცებით, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელებისას სატელეფონო და ინტერნეტკომუნიკაციაზე პირდაპირი წვდომა, ისევე, როგორც მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირებისა და შენახვის შესაძლებლობა, არ უნდა ჰქონდეს ამგვარი მონაცემების შეგროვებაზე პროფესიულად დაინტერესებულ ორგანოს. სააგენტოს ინსტიტუციური მოწყობის, დაკომპლექტების წესისა და ფუნქციების გათვალისწინებით, მოსარჩელები მას სწორედ ასეთ, პროფესიულად დაინტერესებულ უწყებად მიიჩნევენ. მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის მიხედვით, ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობის საგამოძიებო ორგანოს მიერ ფლობა სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის თვითკმარი მიზეზია. მიუხედავად ამისა, ისინი ასევე მიუთითებენ სააგენტოს საქმიანობაზე გარე კონტროლის მექანიზმების არაეფექტურობაზე.

მოსარჩელეთა მტკიცებით, სადავო ნორმები შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილებით. შესაბამისად, ისინი ითხოვენ სადავო ნორმების არსებითად განხილვის გარეშე, განმწესრიგებელ სხდომაზე ძალადაკარგულად ცნობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2017 წლის 29 დეკემბრის საოქმო ჩანაწერში განმარტა N1/1/625,640 გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტები და მიუთითა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა ერთობლივად განაპირობა უფლებამოსილი ორგანოსათვის საგამოძიებო ფუნქციის ქონამ, მის მიერ ტექნიკური შესაძლებლობის გასაიდუმლოებული არქიტექტურის შექმნამ და, ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ხელთ არსებული კონტროლის მექანიზმების არაეფექტურობამ. სასამართლოს განმარტებით, გამოძიებაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ ტექნიკური შესაძლებლობის ფლობა, თავისთავად, უფლების დარღვევას არ იწვევს და არც ამ შესაძლებლობის სხვა ორგანოსთვის მიცემა იქნება თავისთავად საკმარისი პირადი ცხოვრების უფლების სათანადოდ დაცვის გარანტიების შესაქმნელად. ორივე შემთხვევაში კანონმდებელი ვალდებულია, შექმნას სათანადო დაცვის მექანიზმები, რათა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა მოხდეს მხოლოდ კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მოქმედი და 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი რეგულაციის ფარგლებში ერთმანეთს შეადარა ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვებაზე უფლებამოსილი ორგანოს ბუნება, მის მიერ ინფრასტრუქტურის შექმნის შესაძლებლობა და ამ პროცესზე განხორციელებული კონტროლის ეფექტურობა, რათა გამოერკვია, წარმოადგენდა თუ არა სადავო ნორმები 2016 წლის 14 აპრილის N1/1/625,640 გადაწყვეტილების დამძლევი ნორმებს.

უფლებამოსილ ორგანოსთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ შეამოწმა სააგენტოსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის არსებული ურთიერთკავშირი და განმარტა, რომ, მართალია, ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობა გააჩნია სააგენტოს, რომელიც არის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემაჯავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირი, თუმცა იგი, გარკვეულწილად, წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ავტონომიურ ერთეულს, რომელიც მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, უშუალოდ სააგენტოს უფროსის მეშვეობით იღებს გადაწყვეტილებებს. ამ თვალსაზრისით, სააგენტო თვისობრივად განსხვავდება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N1/1/625,640 გადაწყვეტილების მიღებისას ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვებაზე უფლებამოსილი ორგანოსაგან - ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტისაგან.

საოქმო ჩანაწერში აღნიშნულია, რომ სამსახურის დეპარტამენტისგან განსხვავებით, სააგენტოს უფროსის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად არ იღებს სამსახურის უფროსი. ამასთანავე, არის საკითხები, რომლებზედაც უშუალოდ სააგენტო, მისი უფროსი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს. მაგალითად, სააგენტოში საკადრო საკითხების გადაწყვეტა მეტწილად სააგენტოს უფროსზეა მინდობილი. ამასთან, შეცვლილია ვითარება იმ ნორმატიული აქტების მიღების ნაწილში, რომელიც უკავშირდება ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვებასა და შემდგომი ღონისძიებების განხორციელებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N1/1/625,640 გადაწყვეტილების მიღებისას ინფორმაციის რეალურ დროში მიწოდების ტექნიკური შესაძლებლობის არქიტექტურა და შესაბამისი ინტერფეისები განისაზღვრებოდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სათანადო აქტით. ხოლო მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების საკითხთან დაკავშირებით, ნებისმიერ ნორმატიულ აქტს გამოსცემს სააგენტოს უფროსი, რომლის შეცვლისა და გაუქმების უფლებამოსილებაც მხოლოდ მას გააჩნია.

ინფრასტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური საშუალებები იქმნება სააგენტოს მიერ. ამასთან, მართალია, აღნიშნული პროცესი კვლავ საიდუმლოა, თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი კანონით აღიჭურვა ამ ტექნიკური ინფრასტრუქტურის სრული და ყოვლისმომცველი შემოწმების განხორციელების უფლებამოსილებით. ეფექტური გარე კონტროლის არარსებობა წარმოადგენდა ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მნიშვნელოვან არგუმენტს. შესაბამისად, ეს ცვლილება საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია არსებითი მნიშვნელობის ცვლილებად, რაც გამორიცხავდა სადავო ნორმების გამარტივებული წესით, არსებითი განხილვის გარეშე ძალადაკარგულად ცნობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ღონისძიებებსა და ინტერნეტკომუნიკაციის მოპოვებაზე არსებული გარე კონტროლის მექანიზმები და მიუთითა, რომ ორივე სახის ფარული საგამომიებო მოქმედების შემთხვევაში გაზრდილია გარე კონტროლის ეფექტურობა.

სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს N1/1/625,640 გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედი ნორმებისაგან განსხვავებით, კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს ჩანაწერს, რომელიც შექმნიდა ალტერნატიული ტექნიკური საშუალებების განთავსების ისეთსავე რისკებს, როგორც ეს გადაწყვეტილების მიღებისას არსებობდა. კერძოდ, განსაზღვრულია, რომ სტაციონარული ტექნიკური საშუალებების განთავსება ხდება მხოლოდ მართლზომიერი გადაჭერის სისტემის და „მასთან დაკავშირებული“ ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის განთავსების გზით. კანონმდებლობაში აღარ არის ზოგადი მითითება „სხვა აპარატურასა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე“, სადაც არაკონსტიტუციურად ცნობილი რეგულაციის ფარგლებში სასამართლომ დაინახა კიდევ მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემისათვის გვერდის ავლის შესაძლებლობა. ამასთან, განისაზღვრა ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების თითოეული ტექნიკური შესაძლებლობის განთავსების წესი და რიგითობა. გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი კანონმდებლობით აღიჭურვა ინსპექტირებისას განსახორციელებელი მოქმედებების ჩამონათვალით. აღნიშნული გარემოებები კი მნიშვნელოვნად ცვლის შესაფასებელ მოცემულობას და საჭიროებს საქმის არსებითი განხილვის ფორმატში შეფასებას.

ინტერნეტკომუნიკაციის მოპოვებასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კანონით ინსპექტირების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გაწერა წარმოადგენდა გაუმჯობესებულ გარე კონტროლის მექანიზმს. ამავე არგუმენტს დაეყრდნო სასამართლო გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის სისტემაზე განხორციელებული კონტროლის მექანიზმების ცვლილებასთან დაკავშირებით მსჯელობისას. ამდენად, ხსენებული სისტემისა და მისი კონტროლის სპეციფიკაციები არ წარმოადგენს არსებითად იმავეს, რაც ერთხელ უკვე იქნა არაკონსტიტუციურად ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N1/1/625,640 გადაწყვეტილებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირებისა და შენახვის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმები და განმარტა, რომ N1/1/625,640 გადაწყვეტილებით კოპირებული მონაცემების შენახვის 2-წლიანი ვადა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, მათ შორის, უფლებაში ჩარევის ინტენსივობის გამო. სადავოდ გამხდარი რეგულირების ფარგლებში კი კოპირებული მონაცემების შენახვის ვადა განახევრებულია და მონაცემების შენახვა დასაშვებია არა უმეტეს 12 თვის ვადით. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვადებს შორის სხვაობა საკმაოდ თვალსაჩინოა და საჭიროებს სისტემის არსებითი განხილვის ფორმატში შეფასებას. მაიდენტიფიცირებელი მონაცემების

კოპირებისას და შენახვისას „ალტერნატიული ბანკების“ შექმნასთან დაკავშირებით კი სასამართლომ მიუთითა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ ამ პროცესის ინსპექტირების საკანონმდებლო მექანიზმების არსებობა წარმოადგენს „ალტერნატიული ბანკების“ შექმნის პრევენციის საშუალებას, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N1/1/625,640 გადაწყვეტილების მიღებისას არ არსებობდა. აღნიშნული მექანიზმის ეფექტურობის შემოწმებაც ასევე საჭიროებს არსებითი განხილვის ფორმატში შეფასებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელების შუამდგომლობა, სადავო ნორმების გამარტივებული წესით, არსებითი განხილვის გარეშე ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე. შედეგად, სასარჩელო მოთხოვნა იმ ნაწილში, რომელიც იწვევდა მოსარჩელეთა უფლების შეზღუდვას, მიღებულ იქნა განსახილველად მისი არსებითი განხილვის ფორმატში შეფასების მიზნით.

გადაწყვეტილებას თან ერთვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების გიორგი კვერენჩხილაძის, ირინე იმერლიშვილის და მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი.

## ii. პირველი კოლეგია

### **„საქართველოს მოქალაქეები - გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №878)**

2017 წლის 13 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქეების გოჩა გაბოძისა და ლევან ბერიანიძის (კონსტიტუციური სარჩელი №878) მოთხოვნა და ძალადაკარგულად ცნო „სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბერის №241/ნ ბრძანების №1 დანართის 24-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც კრძალავდა მამაკაცთან სქესობრივ კავშირის მქონე მამაკაცის (შემდეგში მსმ ჯგუფი) მიერ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობას.

მოსარჩელე მხარის არგუმენტაციით, სადავო ნორმის საფუძველზე, სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის უფლება მუდმივად, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეკრძალებოდათ იმ მამაკაცებს, რომლებსაც ერთხელ მაინც ჰქონდათ სქესობრივი კავშირი მამაკაცთან, იმის მიუხედავად, შეიცავდა თუ არა აღნიშნული

კავშირი სისხლის გზით გადამდები დაავადებების შეძენის მაღალ რისკს. მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ მსგავსი ტიპის აკრძალვა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 (კანონის წინაშე თანასწორობა) და მე-16 მუხლებს (თავისუფალი განვითარების უფლება).

მოსარჩელე მხარის არგუმენტაციით, სადავო ნორმას ჰქონდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იდენტური შინაარსი და მოითხოვდნენ მის ძალადაკარგულად ცნობას გამარტივებული წესით, საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

მოპასუხე მხარის განმარტებით, სადავო ნორმების მიზანს წარმოადგენდა რეციპიენტთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა. მოპასუხე მხარემ ასევე განაცხადა, რომ, რამდენადაც ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს (მამაკაცებს) შორის სქესობრივი კავშირის დამყარებისას სისხლის გზით გადამდები დაავადების შეძენის რისკი განუზომლად მაღალია და, ამასთანავე, საქართველოში არსებული სისხლის შემოწმების მეთოდი ვერ უზრუნველყოფს ამ დაავადებათა სრულად გამოვლენას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ყველაზე გონივრულ გადაწყვეტას წარმოადგენს სარისკო ჯგუფს მიკუთვნებული პირებისათვის დონაციის უფლების განუსაზღვრელი ვადით შეზღუდვა.

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმების ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდა სისხლისა და მისი კომპონენტების რეციპიენტთა ჯანმრთელობის დაცვა და სისხლის დონაციის პროცესის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, კანონმდებელი აბსოლუტურ და ბლანკეტურ აკრძალვას ადგენდა იმ მამაკაცების მიმართ, რომლებსაც ჰქონიათ სქესობრივი კონტაქტი მამაკაცთან. სასამართლოს არგუმენტაციით, რამდენადაც გარკვეული პერიოდის შემდეგ სისხლის გზით გადამდები დაავადებების სრულად იდენტიფიკაცია შესაძლებელია სისხლის შემოწმების გზით, საკანონმდებლო რეგულაციით შესაძლოა, განისაზღვროს ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სისხლის სკრინინგით ვერ გამოვლინდება ყველა ინფექცია და დონაციის უფლების შეზღუდვა დასაშვებია, გავრცელდეს მხოლოდ ამ პერიოდზე. შესაბამისად, სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის ბლანკეტურად, განუსაზღვრელი ვადით შეზღუდვა სარისკო ქცევის მქონე მსმ ჯგუფს მიკუთვნებული პირებისათვის არათანაზომიერად იქნა მიჩნეული.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ N878 კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარ ნორმას გააჩნდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად



ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსი და იწვევდა ანალოგიურ სამართლებრივ შედეგს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა გააუქმა გამარტივებული წესით, არსებითი განხილვის გარეშე.

**„საქართველოს მოქალაქეები - ემზარ პაქსაძე და თამარ სადრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები №1219 და №1236)**

2017 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ემზარ პაქსაძე და თამარ სადრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები №1219 და №1236), და საქმის არსებითი განხილვის გარეშე ძალადაკარგულად ცნო სადავო აქტის ნაწილი.

მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებს, რომლებიც სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებელ სასამართლო პროცესის მონაწილეს ართმევდა მისი დაჯარიმების შესახებ მოსამართლის განკარგულების გასაჩივრების უფლებას.

მოსარჩელეთა პოზიციით, პირის შესაძლებლობა, გაასაჩივროს მის უფლებასთან შემხებლობაში მყოფი აქტი, დაცულია სამართლიანი სასამართლოს უფლებით (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი). მოსარჩელეთა მტკიცებით, სადავო ნორმებით განსაზღვრული განკარგულების გასაჩივრების უფლების არარსებობა მოსამართლეს საშუალებას აძლევს, ძალაუფლება გამოიყენოს თვითნებურად, ვინაიდან არ არსებობს მექანიზმი, რომელიც სადავო ნორმით რეგულირებულ საკითხზე მისი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას უზრუნველყოფს.

მოსარჩელე მხარის არგუმენტაციით, სადავო ნორმას ჰქონდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილებით („საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იდენტური შინაარსი და მოითხოვდნენ მის ძალადაკარგულად ცნობას გამარტივებული წესით, საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

მოპასუხე მხარის პოზიციით, სადავო რეგულაციების ლეგიტიმურ მიზანს მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელება და სასამართლო პროცესის ეკონომიურობის დაცვა წარმოადგენდა. მისი განმარტებით, მოწესრიგება მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებს მიემართება. აქედან გამომდინარე, განკარგულების გამოტანისას იმდენად შემცირებულია სასამართლოს შეცდომისა თუ თვითნებობის

რისკი, რომ მის გასაჩივრებას არ გააჩნია მიზანი და, ამასთან, გასაჩივრების შეუძლებლობა ამცირებს პროცესის მონაწილის თვითნებობის რისკს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტები და მიუთითა, რომ ხსენებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, როდესაც სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა უკავშირდება გარკვეული დისციპლინური გადაცდომისათვის, სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, მოსამართლის მხრიდან თვითნებობისა და შეცდომის პრევენციისა თუ შემდგომი აღმოფხვრის მიზნით, აუცილებელია, პირს, რომელსაც პასუხისმგებლობა დაეკისრა, გააჩნდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით დაცული მინიმალური საპროცესო გარანტიები, რაც, მათ შორის, გასაჩივრების უფლებასაც გულისხმობს.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმასა და №1219 და №1236 კონსტიტუციურ სარჩელებში სადავოდ გამხდარ ნორმებს შორის არსებულ სხვაობაზე და მიუთითა, რომ, მართალია, 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა განეკუთვნება სამოქალაქო პროცესის ფარგლებში გამოსაყენებელ წესს, თუმცა განსახილველ საქმეში არსებული სამართლებრივი პრობლემის განხილვის მიზნებისათვის ხსენებული განსხვავება უმნიშვნელოა. სადავო რეგულირება არ უკავშირდება გამორჩეულად სისხლის სამართლის პროცესისთვის დამახასიათებელ ასპექტებს. სასამართლო პროცესის სათანადო წარმართვა, მხარეთა პოზიციების მოწესრიგებულ, ნორმალურ პირობებში ჩამოყალიბება და სასამართლო განხილვის მაქსიმალური ეფექტურობა მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეთა განხილვის პროცესში. ამავე დროს, სასამართლოს მიმართ ჩადენილი გადაცდომის გამო პირის მიმართ პასუხისმგებლობის დამდგენი აქტის ბუნება არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი სამართალწარმოების ფარგლებში განხორციელდა იგი. შესაბამისად, თანაბრად არსებობს მისი გასაჩივრების ინტერესი როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში. ამდენად, სასამართლოს განმარტებით, არ გამოიკვეთა რაიმე ახალი გარემოება, რაც საჭიროს გახდიდა საკითხის არსებითი განხილვის ფორმატში შეფასებას.

ხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ №1219 და №1236 კონსტიტუციურ სარჩელებში სადავოდ გამხდარი ნორმები, პირის დაჯარიმებისას გამოტანილი განკარგულების გასაჩივრების

დაუშვებლობის ნაწილში, იმეორებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ერთხელ უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები, სასარჩელო მოთხოვნის შესაბამის ნაწილში ძალადაკარგულად ცნო გამარტივებული წესით, საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

**„ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და ა(ა)იპ „ერთობა 2013“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1241)**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 13 ოქტომბერს მიიღო განჩინება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და ა(ა)იპ „ერთობა 2013“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1241). სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა, საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობასა და სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ რეგულაციებს, რომელთა თანახმად, 2015, 2016 და 2017 წლის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შრომის პირობების ინსპექტირების შედეგად მომზადებული ანგარიშები/დასკვნები და რეკომენდაციები წარმოადგენს არასაჯარო ინფორმაციას. მოსარჩელე მხარეთა მითითებით, სადავო ნორმები ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ფორმალურ კრიტერიუმს საჯარო ინფორმაციაზე წვდომის უფლების შეზღუდვის კანონით დადგენის აუცილებლობის თაობაზე, ვინაიდან სადავო რეგულირება განსაზღვრულია არა კანონით, არამედ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. ამასთან, იმგვარად, რომ არ მომხდარა საკანონმდებლო ორგანოს მიერ აღნიშნული საკითხის მოწესრიგების თაობაზე უფლებამოსილების საქართველოს მთავრობისათვის დელეგირება.

მოსარჩელე მხარის მტკიცებით, სადავო ნორმები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილების („საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“) დამძლველი ნორმებია და მოითხოვდნენ მის ძალადაკარგულად ცნობას გამარტივებული წესით, საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, განმარტა, რომ შრომის პირობების ინსპექტირების შედეგად მომზადებული დოკუმენტაცია წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულებაში დაცულ საჯარო ინფორმაციას საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მიზნებისთვის. შრომის პირობების ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა შესაბამისი ასიგნებები. იმავედროულად, 2016 და 2017 წლების შრომის პირობების სახელმწიფო პროგრამები მის განხორციელებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს, რომელიც უშუალოდ წარმოადგენს სამინისტროს სისტემაში არსებულ და მის ფარგლებში მოქმედ ორგანოს. ამასთან, შრომის პირობების მონიტორინგის 2015 წლის პროგრამა ხორციელდებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ინიციატივით. სასამართლოს განმარტებით, შრომის პირობების ინსპექტირების განმახორციელებელი დეპარტამენტი ისევე, როგორც 2015 წელს მოქმედი სამუშაო ჯგუფი, არის სახელმწიფოს მიერ შექმნილი და მისი დაფინანსებით მოქმედი საჯარო დაწესებულება, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო სამართლებრივ ფუნქციებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ისინი წარმოადგენენ „სახელმწიფო დაწესებულებას“ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის. შესაბამისად, იქ თავმოყრილი ნებისმიერი ფორმის ინფორმაციის სრული სპექტრი შეიძლება იქნეს განხილული როგორც „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია“.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტები და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა განპირობებული იყო საჯარო ინფორმაციაზე წვდომის ფორმალური კრიტერიუმის დარღვევით. კერძოდ, საჯარო ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა იზღუდებოდა არა კანონით, არამედ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, ამასთან, იმგვარად, რომ არ ხდებოდა ამ უფლებამოსილების მთავრობაზე დელეგირება კანონით. განსახილველ შემთხვევაშიც, არაკონსტიტუციურად ცნობილი რეგულირების მსგავსად, საჯარო ინფორმაციის გაცნობის უფლება იზღუდებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილების ფორმით მიღებული

ნორმატიული აქტით, რომელიც არ არის კანონი და წარმოადგენს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს. ამასთან, არ მომხდარა კანონმდებლის მხრიდან საქართველოს მთავრობისთვის შრომის პირობების ინსპექტირების შედეგად შექმნილი საჯარო ინფორმაციის გაცნობის უფლების შეზღუდვის დელეგირება. მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვა, შინაარსობრივი თვალსაზრისით, იწვევს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმისაგან სრულიად განსხვავებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლების შეზღუდვას, სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციასთან ფორმალური შესაბამისობის დადგენისთვის არ აქვს მნიშვნელობა თავად ამ ინფორმაციის მატერიალურ შინაარსს.

ხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ №1241 კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ გამხდარი ნორმები წარმოადგენს იმავე შინაარსის ნორმებს, რაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილებით საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ და, შესაბამისად, ისინი ძალადაკარგულად გამოცხადდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

### iii. მეორე კოლეგია

**„ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1214)**

2017 წლის 16 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო განჩინება საქმეზე „ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1214).

აღნიშნულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა.ბ“, „ბ.ბ“ და „გ.ბ“ ქვეპუნქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით; ბ) „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის სიტყვების: „ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია - 150 ლარი“, „თ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის სიტყვების: „ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია - 150 ლარი“, „ი“ ქვეპუნქტის

სიტყვების: „ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია - 300 ლარი“, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“, „ბ.ბ“ და „გ.ბ“ ქვეპუნქტების, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

სადავო ნორმების თანახმად, სასამართლოში რიგი სამართლებრივი პროცედურების განხორციელებისთვის იურიდიული პირებისთვის დადგენილი იყო სახელმწიფო ბაჟის გაზრდილი ოდენობა ფიზიკურ პირებთან შედარებით. ამავდროულად, განსხვავებული იყო ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური ოდენობები.

მოსარჩელე მხარის განმარტებით, გასაჩივრებული ნორმა ახდენდა დისკრიმინაციას პირის სამართლებრივი სტატუსის საფუძველზე. ზოგადად, სახელმწიფო ბაჟის დაწესების მიზანია, არ დაუშვას უსაფუძვლო სარჩელების ზრდა, ხელი შეუწყოს მხარეთა ვალდებულების შესრულებასა და მორიგებას. შესაბამისად, აღნიშნული მიზნების მიმართ თანაბარი ინტერესი გააჩნდათ როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს. ამგვარად, მოსარჩელე მხარისათვის ბუნდოვანი იყო ის გარემოება და მოტივი, თუ რა მიზნით იქნა დაწესებული დიფერენცირებული მოთხოვნები იურიდიული პირებისათვის. ამასთანავე, არ არსებობდა დიფერენცირების ლეგიტიმური მიზანი, თუ რატომ უნდა გადაეხადათ იურიდიულ პირებს სახელმწიფო ბაჟის თუნდაც მცირედით გაზრდილი ოდენობა ფიზიკურ პირებთან შედარებით, როდესაც ისინი სარგებლობენ მსგავსი სასამართლო სერვისებით.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სადავო ნორმები წარმოადგენდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბერის №2/6/623 გადაწყვეტილების, საქმეზე „შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ დამძლევი რეგულაციას და ითხოვდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე სადავო ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განსხვავებული მიდგომა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ მათ აქვთ სხვადასხვა სამართლებრივი სტატუსი და ქონებრივი მდგომარეობა, რაც გამოიხატება იურიდიული პირებისათვის სავალდებულოდ განსაზღვრული კაპიტალის არსებობაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 29 დეკემბრის №2/6/623 გადაწყვეტილებით, საქმეზე „შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“

საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდა იურიდიული პირებისთვის სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ფიზიკურ პირებთან შედარებით უფრო მაღალი ოდენობით დაკისრებას.

ამავე გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის დაწესების ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნია სასამართლოში დაუსაბუთებელი და უმიზნო სარჩელების შეტანის ალბათობის შემცირება. ამავდროულად, აღნიშნა, რომ დაუსაბუთებელი სარჩელებისგან თავის არიდების მიზნით დადგენილი სახელმწიფო ბაჟი თანაბრად ეფექტურია როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების მიმართ. ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ბაჟთან მიმართებით დაუშვებელია გაუმართლებელი დიფერენცირებული მოპყრობა იურიდიული პირის სტატუსის საფუძველზე.

მოცემული კონსტიტუციური დავის ფარგლებში სადავო ნორმები, რომლებიც შეეხებოდა სამოქალაქო საქმეზე განსახორციელებელი რიგი პროცედურებისათვის სახელმწიფო ბაჟის ოდენობას, სიტყვასიტყვით იმეორებდა ძალადაკარგული ნორმების შინაარსს, გააჩნდა იგივე რეგულირების სფერო და ფარგლები. ფორმალურ განსხვავებას წარმოადგენდა მხოლოდ ის ფაქტი, რომ სადავო ნორმები სხვა აქტით იყო დადგენილი, რაც საქმის გადაწყვეტისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიჩნია არსებითად განმასხვავებელ ფაქტორად.

საკონსტიტუციო სასამართლოში მომართვისათვის ბაჟის განსხვავებული ოდენობის დამდგენ ნორმებთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, სამოქალაქო და საკონსტიტუციო სამართალწარმოებებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, თუმცა მოცემულ შემთხვევაში იდენტურია სახელმწიფო ბაჟის დაწესების მიზნები და დანიშნულება. შესაბამისად, განსხვავებული სამართალწარმოებების არსებობა ვერ ჩაითვლება იმგვარ არსებით განსხვავებად, რის გამოც აუცილებელი იქნებოდა სადავო ნორმის კონსტიტუციურობის საქმის არსებითი განხილვის ფორმატში დამატებით შესწავლა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმები მიჩნეულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბერის №2/6/623 გადაწყვეტილების დამძლევი ნორმებად და ცნობილ იქნა ძალადაკარგულად.



„საქართველოს მოქალაქეები - ივანე პეტრიაშვილი და ირაკლი ულუმბელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1218).

2017 წლის 16 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ივანე პეტრიაშვილი და ირაკლი ულუმბელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1218).

აღნიშნულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით.

სადავო ნორმა ადგენდა სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევაში მოსამსახურის უფლებამოსილებას, მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა და თანამდებობრივი სარგო, თუმცა ამავდროულად განსაზღვრავდა, რომ იძულებით გაცდენილი პერიოდისთვის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობრივი სარგოს 3 თვის ოდენობას.

მოსარჩელების მტკიცებით, მართალია, უკანონოდ გათავისუფლებულ პირს აქვს სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, თუმცა სადავო ნორმები ვერ უზრუნველყოფს პენიტენციური სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირისთვის ზიანის სამართლიან და სრულ ანაზღაურებას. ამავდროულად, ნორმას არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი და განაცდურის სრულად ანაზღაურებაზე უარის თქმა არ შეიძლება დაეფუძნოს სახელმწიფოს ფინანსური რესურსების დაზოგვის მოტივს.

კონსტიტუციური სარჩელის ავტორები მიუთითებდნენ, რომ სადავო ნორმას ჰქონდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსი და მოითხოვდნენ მის ძალადაკარგულად ცნობას გამარტივებული წესით, საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

მოპასუხე მხარემ აღნიშნა, რომ სადავო ნორმები შინაარსობრივად მსგავსია ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით გაუქმებული ნორმისა, თუმცა დამატებით აღნიშნა, რომ 2017 წლის პირველი ივლისიდან ამოქმედდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც განსხვავებულად მოაწესრიგებდა სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისათვის იძულებითი მოცდენის გამო მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციის გადახდის წესს და მოსამართლეს ექნებოდა

შესაძლებლობა, სრულად აენაზღაურებინა მოხელისთვის მიყენებული ზიანი და არ შეიზღუდებოდა სადავო ნორმით დაწესებული კომპენსაციის ზედა ზღვრის ოდენობით.

№2/3/630 გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისათვის კომპენსაციის სახით იძულებით გაცდენილი პერიოდისათვის შრომითი ანაზღაურების მიცემას არა უმეტეს 3 თვის ოდენობით. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმა ზღუდავდა საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირებისათვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების კონსტიტუციურ პრინციპს და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტს.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ №1218 კონსტიტუციური სარჩელის სადავო ნორმა ანალოგიურად ზღუდავდა სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ სრულად მოხდეს სახელმწიფო ორგანოების უკანონო ქმედებებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება. აღნიშნული ვალდებულება თანაბრად მოქმედებს ნებისმიერი საჯარო მოხელის მიმართ, ვინც სახელმწიფო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლდა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახური არის საჯარო სამსახურის ერთ-ერთი სპეციფიკური სახე, ხოლო საჯარო სამსახურის თავისებურებები და სპეციფიკა გავლენას არ ახდენს იმ კონსტიტუციური პრინციპზე, რომლის თანახმადაც, პირს სრულად უნდა აუნაზღაურდეს სახელმწიფო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებით მიყენებული ზარალი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა მიჩნეულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილების დამძლევი ნორმად და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

### III. გადაწყვეტილებები

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების რაოდენობისა და მოცულობის თვალსაზრისით 2017 წელი უპრეცედენტოა. ამ წელს

სასამართლოს გადაწყვეტილებები შეეხო საქართველოს კონსტიტუციის განმარტებისა და გამოყენების მრავალ ასპექტს. განიმარტა და დადგინა ახალი კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტები. 2017 წელს ასევე ძალიან მაღალი იყო საზოგადოების ინტერესი სასამართლოს საქმიანობისადმი, რაც გამოიხატა როგორც სასამართლოს სხდომების, ასევე მისი გადაწყვეტილებების გარშემო არსებულ მუდმივ დისკუსიაში. ამდენად, ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერების და სასამართლოს მიერ დადგენილი ახალი კონსტიტუციური სტანდარტების სრულყოფილი გააზრებისათვის უმნიშვნელოვანესია თავად სასამართლოს გადაწყვეტილების გაანალიზება.

### i. პლენუმის გადაწყვეტილებები

#### „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N600).

2017 წლის 17 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მოსარჩელე სადავოდ ხდიდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, აგრეთვე 143-ე მუხლის მე-8 პუნქტის და 167-ე მუხლის პირველი პუნქტის სიტყვებს საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან და 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით<sup>31</sup>. სადავო ნორმების თანახმად, პირი ვერ მიიღებდა მონაწილეობას საკრებულოს წევრის, მერის/გამგებლის თანამდებობის დასაკავებლად ჩასატარებელ არჩევნებში, თუ არჩევნების დანიშვნამდე ბოლო ორი წლის განმავლობაში მუდმივად არ ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე.

<sup>31</sup> დავის საგანი სრულად: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 134-ე მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „და საქართველოში მუდმივად უცხოვრია ... მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც“, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვების „რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია ... მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც“, 143-ე მუხლის მე-8 პუნქტის სიტყვების „საქართველოში ... მათ შორის, ბოლო 2 წლის განმავლობაში მისი მუდმივად ცხოვრების ფაქტი და“ და ამავე კოდექსის 167-ე მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან და 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

მოსარჩელე მხარის აზრით, კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის დაცულ სფეროში ექცევა პირის უფლება, არჩევნებში გამარჯვებისთვის საკმარისი ხმების მიღების შემთხვევაში დაიკავოს შესაბამისი არჩევითი თანამდებობა. თუმცა გამარჯვების ეტაპამდე მისაღწევად პირს ესაჭიროება კენჭისყრაში მონაწილეობა, რისი კონსტიტუციური უფლებაც აქვს ყველას, კონსტიტუციით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. იმავედროულად, მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში ექცევა როგორც დანიშნითი, ისე არჩევითი თანამდებობები.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, დააწესოს ბინადრობის ცენზი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პასიური საარჩევნო უფლების რეალიზების მიზნით, ვინაიდან ასეთ ცენზს საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. თუმცა, თუ კანონმდებელს ეს უფლებამოსილება ექნებოდა, მოსარჩელის განმარტებით, ქვეყანაში მუდმივად ცხოვრებისთვის განსაზღვრული ორწლიანი ვადა არის დაუსაბუთებელი და აუხსნელი. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, სადავო ნორმები არ განასხვავებდა საზღვარგარეთ დროებით და მუდმივად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს. ამასთან, გაურკვეველი იყო, თუ რას გულისხმობდა საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრება და ეს კრიტერიუმი ვერ აკმაყოფილებდა განჭვრეტადობის მოთხოვნებს.

მოპასუხე მხარემ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთა განმარტებით, საარჩევნო ცენზის დაწესებით სახელმწიფო ასრულებს მის პოზიტიურ ვალდებულებას და ბინადრობის ცენზის შემოღებით არჩევნებს კონსტიტუციურ ფარგლებში აქცევს. მოპასუხის აზრით, ბინადრობის ცენზი წარმოადგენს იმ მყარ გარანტიას, რომელიც თვითმმართველობის ერთეულის საკრებულოს წევრის, მერის/გამგებლის მჭიდრო კავშირს უზრუნველყოფს სახელმწიფოსთან. მოპასუხემ აგრეთვე აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრად, მერად/გამგებლად არჩევის პასიური საარჩევნო უფლება არ ექცევა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულ სფეროში და იგი უნდა შეფასდეს მხოლოდ კონსტიტუციის 28-ე მუხლთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველესად, იმსჯელა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე და 29-ე მუხლებით დაცული სფეროების გამიჯვნის თაობაზე. სასამართლოს განმარტებით, თუ არჩევნების ჩატარება, როგორც თანამდებობის დაკავების ფორმა, დადგენილია საქართველოს კონსტიტუციით, შესაბამისი

თანამდებობის დაკავების უფლება დაცულია კონსტიტუციის 28-ე მუხლით, ხოლო, თუ თანამდებობის დაკავებისთვის არჩევნები არ წარმოადგენს კონსტიტუციის მოთხოვნას და იგი განსაზღვრულია მიმდინარე კანონმდებლობით, ამ თანამდებობის დაკავების კონსტიტუციურობის საკითხი უნდა შეფასდეს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებასთან მიმართებით. ამგვარი განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაძლია მის მიერ საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეციანი, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, მერების/გამგებლების სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება, მათ შორის, დანახულ იქნა კონსტიტუციის 28-ე მუხლით დაცულ სფეროში.

საკრებულოს წევრობის კანდიდატისთვის დადგენილი მოთხოვნების კონსტიტუციურობის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არჩევითი თანამდებობის დასაკავებლად ცენზის/მოთხოვნის დაწესება არ არის შეუთავსებელი დემოკრატიულ მმართველობასთან. იმავდროულად, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებულ არჩევნებზე დაუშვებელია კონსტიტუციით გათვალისწინებელი მოთხოვნის დაწესება და ამ უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი ვერ იქნება საუკეთესო კანდიდატის ან/და ასარჩევ თანამდებობასთან ობიექტურად ყველაზე მეტად შესაფერისი კანდიდატის შერჩევის უზრუნველყოფა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გამონაკლისი შეიძლება დაწესდეს მაშინ, როდესაც კანონით დადგენილი მოთხოვნის მიზანია იმ საფრთხეების პრევენცია, რომლებიც გამომდინარეობს ამა თუ იმ პირის თანამდებობაზე არჩევიდან. საკრებულოს არჩევნები გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით, თუმცა კონსტიტუცია არ ადგენს სადავო ნორმებით განსაზღვრულ სპეციალურ მოთხოვნებს/ცენზებს საკრებულოს წევრთან მიმართებით. ამასთან, მოპასუხე მხარეს არ მიუთითებია რაიმე საფრთხეზე, რომლის პრევენციასაც სადავო ნორმები ემსახურება და ეს არც სადავო რეგულირების არსიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით გარანტირებულ საარჩევნო უფლებას.

მერობის/გამგებლობის კანდიდატისთვის წარდგენილი მოთხოვნების კონსტიტუციურობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო ნორმები კანდიდატს უდგენდა არა

კონკრეტული თვითმმართველი ერთეულის, არამედ ზოგადად საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრების მოთხოვნას. სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული დებულებებით დადგენილი ცენზი ვერ იქნება პირის სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის გარანტია, ამ გარემოების განმსაზღვრელი უპირობო ან უალტერნატივო საშუალება. პირის მიერ სადავო ნორმებით განსაზღვრული ცენზის დაკმაყოფილება თავისთავად ვერ უზრუნველყოფს პირის ჩართულობას სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასთან, შეზღუდვა არ არის მიმართული კონკრეტული თვითმმართველი ერთეულის საჭიროებების ცოდნისკენ. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციით დაცულ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას.

გადაწყვეტილებას თან ერთვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი

**„საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N717).**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 7 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N717).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით N717 კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელები ითხოვდნენ სააკველაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების მომწესრიგებელი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას.

მოსარჩელეთა არგუმენტაციით, კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნას, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით გარანტირებულ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას. ამასთანავე, მოსამართლეობის კანდიდატები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, გაესაჩივრებინათ მოსამართლედ განწესებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, რითაც ირღვეოდა საქართველოს

კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სამართლიანი სასამართლოს უფლება.

წინამდებარე გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება მოსამართლის თანამდებობაზე განწესების კონსტიტუციურ სტანდარტებთან დაკავშირებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცული სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება მოიცავს სახელმწიფო თანამდებობაზე განწესების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მოთხოვნას. დასაბუთებულობის მოთხოვნით იზრდება თანამდებობაზე განწესებაზე უფლებამოსილი სუბიექტების ანგარიშვალდებულება და თავად პროცესის გამჭვირვალობა. ამასთან, ნაკლებია უფლებამოსილების თვითნებურად გამოყენების საფრთხე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართაც.

დასაბუთებულობის მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსამართლის თანამდებობაზე განწესების პროცესში შესაბამისი კრიტერიუმების თავისებურებების გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილება, ზოგადად, ემყარება რიგ ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებს. ობიექტურ კრიტერიუმთან შესაბამისობის დადგენა, ამ გადაწყვეტილების დასაბუთება და გადამოწმება სირთულეებს არ უკავშირდება და გადაწყვეტილების მართებულობის ობიექტური გადამოწმება შესაძლებელი ხდება. რიგ სუბიექტურ კრიტერიუმებთან შესაბამისობის საკითხის დასაბუთება და შემდგომში ამ დასაბუთების გადამოწმება კი რთულ ამოცანას წარმოადგენს. რთულია ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ობიექტური ახსნა, დასაბუთება, ამ დასაბუთების გადამოწმება, ასევე სწორი ან არასწორი გადაწყვეტის დადგენა/გადამოწმება. თუმცა, ობიექტურად გადამოწმებადია ის გზა, რა გზითაც გადაწყვეტილების მიმღები პირი მივიდა ამ გადაწყვეტამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასაბუთებულობა მოითხოვება მოსამართლის შერჩევის შესახებ ნებისმიერი ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას, თუმცა შესაძლებელია, ეს მოთხოვნა კრიტერიუმის ბუნების მიხედვით განსხვავებული ხარისხის იყოს.

სადავო ნორმების შინაარსის დადგენისას საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2017 წლის 8 თებერვალს მიღებული



საქართველოს ორგანული კანონის შედეგად ჩამოყალიბებული ნორმატიული რეალობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების მომწესრიგებელი ნორმები და მიუთითა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების ერთგვარი ფორმა კანდიდატების შეფასების ეტაპი, რომლის ფარგლებშიც საბჭოს თითოეული წევრი წინასწარგანსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით ავსებს შეფასების ფურცელს. შეფასების ფურცლის მეშვეობით ხდება კანდიდატის ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენა. კერძოდ, მოსამართლეობის კანდიდატი შეირჩევა ორი ძირითადი კრიტერიუმის - კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის საფუძველზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიმოიხილა გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედი საკანონმდებლო ნორმები და განმარტა, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს კეთილსინდისიერების კომპონენტის დაყოფას მახასიათებლებად და კეთილსინდისიერების კომპონენტის ფარგლებში თითოეული მახასიათებლის შეფასებისას გასათვალისწინებელ საკითხებს ადგენს ობიექტური კატეგორიების სახით. სადავო აქტი ითვალისწინებს თითოეული კომპონენტით შეფასების წესსაც. კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი კანდიდატს აფასებს შესაბამისი ქულებით, რომელთა მინიჭების სტანდარტები წინასწარ არის დადგენილი. კერძოდ, კანონმდებლობა განსაზღვრავს თითოეული მახასიათებლისთვის მაქსიმალურ ქულათა ოდენობას.

კანდიდატის შეფასების შემდეგი ეტაპია კენჭისყრა. აღნიშნული ეტაპი ფარული კენჭისყრის ფორმატით ხორციელდება და ამ ნაწილში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები არ მიუთითებენ იმ ფაქტობრივი წანამდღვრების შესახებ, რამაც მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ ითხოვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კენჭისყრის შედეგების დასაბუთებას, კონკურსის მთელი პროცესის გათვალისწინებით გასაგები ხდება, თუ როგორ მივიდა იუსტიციის უმაღლესი საბჭო საბოლოო გადაწყვეტილებამდე. დისკრიმინაციული და მიკერძოებული გადაწყვეტილებების გამორიცხვას კი მისი გასაჩივრების მექანიზმი უზრუნველყოფს. აღნიშნულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეთა მიერ სადავოდ გამხდარი ნორმები არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო თანამდებობის დაკავების მოთხოვნებს და კონსტიტუციური სარჩელი ამ ნაწილში არ დააკმაყოფილა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სამართლიანი

სასამართლოს უფლების მოთხოვნაა, ნებისმიერი უფლებაშემზღვეველი აქტის სასამართლოში გასაჩივრების უზრუნველყოფა კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად. კონსტიტუციის აღნიშნული მოთხოვნა, შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინებით, ვრცელდება მოსამართლედ განწესებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებაზეც.

მოსარჩელის პოზიციით, სასამართლო კონტროლის საგანს უნდა წარმოადგენდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების როგორც პროცედურული, ისე მატერიალური საკითხები, კერძოდ, კანდიდატთან მიმართებაში ხომ არ ჰქონია ადგილი დისკრიმინაციას, ხომ არ იყო სახეზე თვითნებობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან, გადაწყვეტილება ხომ არ დაეფუძნა იმ კრიტერიუმს, რომელიც არ არის წინასწარ დადგენილი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოქმედი რედაქციით გადაჭრილია ის პრობლემა, რომელსაც მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძვლად. კანონმდებლობა შეიცავს საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას იმ საფუძვლებით, რომლებიც მოსარჩელისათვის იყო პრობლემატური. შესაბამისად, სადავო ნორმები არ იქნა არაკონსტიტუციურად ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლეების მაია კოპალეიშვილის, ირინე იმერლიშვილისა და გიორგი კვერენჩხილადის განსხვავებული აზრი.

### **„საქართველოს მოქალაქე - ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N642)**

2017 წლის 10 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე - ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №642).

აღნიშნულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 77-ე მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტი სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლებას ანიჭებს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს იმ მოსამართლეებს, რომელთაც მოსამართლის უფლებამოსილება შეუწყდა უფლებამოსილების ვადის გასვლის ან საპენსიო ასაკის მიღწევის გამო. ხოლო ამავე კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლებით აგრეთვე სარგებლობენ მოსამართლეები, რომელთაც უფლებამოსილება შეუწყდათ 2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე პერიოდში პირადი განცხადების საფუძველზე.

მოსარჩელეს უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილება პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა 2010 წელს. შესაბამისად, იგი მიიჩნევა, რომ სადავო ნორმების საფუძველზე ექცეოდა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში, რაც არღვევდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას. ამავე დროს, საქმის არსებითად განხილვის სხდომაზე მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი ითხოვდა დიფერენცირების აღმოფხვრას მხოლოდ მისთვის კომპენსაციის უფლების მინიჭებით და არა ზემოთ ხსენებული პირებისათვის კომპენსაციის უფლების გაუქმების გზით.

მოპასუხის განმარტებით, სახელმწიფო კომპენსაციის უფლების მინიჭებაზე სახელმწიფოს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება და არა ვალდებულება. არსებული კომპენსაციის მიღება დაკავშირებულია ისეთ ობიექტურ საფუძველებთან, როგორც არის საპენსიო ასაკის მიღწევა ან უფლებამოსილების ვადის ამოწურვა, ხოლო ამგვარ გარემოებას არ წარმოადგენს პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილების შეწყვეტა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებული პირები არ წარმოადგენენ არსებითად თანასწორ პირებს და არ ხდება მათ მიმართ კანონის წინაშე თანასწორობის უფლების დარღვევა. იმავდროულად, მოპასუხე მხარემ ცნო კონსტიტუციური სარჩელი სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციით დადგენილი მანდატის, კომპეტენციის გაანალიზების საფუძველზე, სასამართლომ მიუთითა, რომ ის წარმოადგენს ნეგატიურ კანონმდებელს. მისი ამოცანა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება და არაკონსტიტუციური შინაარსის მქონე სადავო ნორმის ან/და მისი რომელიმე ნაწილის/ნორმატიული შინაარსის გაუქმებაა. საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შექმნას ახალი სამართლებრივი წესრიგი, დაადგინოს ახალი, თუნდაც კონსტიტუციური წესი,

გააფართოს სადავო ნორმის მოქმედება. აღნიშნული არ არის თავსებადი ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპთან.

სადავო ნორმები ადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზოგიერთი ყოფილი წევრისათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლებას. ისინი არ კრძალავენ კომპენსაციის გაცემას უზენაესი სასამართლოს სხვა რომელიმე წევრისათვის. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმას არ გააჩნია ისეთი ნორმატიული შინაარსი, რომლის გაუქმებაც მოსარჩლისათვის კომპენსაციის დანიშვნას გამოიწვევდა.

ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა მიემართებოდა არა სადავო ნორმის რომელიმე ნორმატიული შინაარსის გაუქმებას, არამედ ახალი ნორმატიული წესრიგის შექმნას, რომლის ფარგლებშიც მასაც ექნება სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება. ამდენად, შინაარსობრივად მოსარჩელე ითხოვდა, კანონმდებლობაში პოზიტიური ჩანაწერის გაკეთების იდენტურ ღონისძიებას, რომლის უფლებამოსილებაც საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია.

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა №642 კონსტიტუციური სარჩელი.

გადაწყვეტილებას თან ერთვის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების - გიორგი კვერენჩხილადის და მაია კოპალეიშვილის თანმხვედრი აზრები, აგრეთვე ლალი ფაფიაშვილის განსხვავებული აზრი.

### **შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და შპს „ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ**

2017 წლის 29 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და შპს „ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N679).

აღნიშნულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 55-ე მუხლების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან და 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს „ზნეობის ნორმების“ და „საჯარო წესრიგის“ საწინააღმდეგო გარიგებების ბათილობას, ეწინააღმდეგება საკუთრებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებებს.

მოსარჩელეთა მტკიცებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებული „საჯარო წესრიგი“ და „ზნეობის ნორმები“ სუბიექტური შინაარსის მქონე ტერმინებია და მოსამართლეს გაუმართლებლად ფართო დისკრეციას ანიჭებს, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში განსაზღვროს მათი შინაარსი. ამასთანავე, არაკონსტიტუციურია აღნიშნული სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადგენს გარიგების ბათილობას მარტოოდენ გარიგების ფასის შეუსაბამობის გამო. გარიგების მხარეებს სრულად უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, სახელმწიფოსაგან ყოველგვარი ჩარევის გარეშე განსაზღვრონ გარიგების ფასი.

მოსარჩელე მხარემ არსებითი განხილვის სხდომაზე მიუთითა, რომ მას არაკონსტიტუციურად მიაჩნია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის 2012 წლის 8 მაისამდე მოქმედი რედაქცია. მოსარჩელეთა აზრით, მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის რედაქცია 2012 წლის 8 მაისს შეიცვალა, თუმცა სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლთან ერთობლივი განმარტების შედეგად იგი მაინც შეიძლება ჩაითვალოს მოქმედ ნორმატიულ აქტად იმ გარიგებებთან მიმართებით, რომლებიც სადავო ნორმის ძველი რედაქციის მოქმედების პერიოდში დაიდო. მოსარჩელე მხარემ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის არაერთგვაროვან განმარტებაზე. მისი მტკიცებით, არსებული პრაქტიკის მიხედვით, ყურადღება ეთმობა მხოლოდ ფასის დისპროპორციას და მხედველობაში არ მიიღება აღნიშნული მუხლით დადგენილი მეორე კუმულაციური პირობა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და მეორე მხარის გულუბრყვილობით სარგებლობა.

მოპასუხე მხარის განმარტებით, ზნეობის ნორმების მსგავსი განუსაზღვრელი სამართლებრივი ტერმინების გამოყენებას სამოქალაქო სამართალში ობიექტური საფუძვლები გააჩნია. გარიგებით გათვალისწინებული ფასის დისპროპორციულობა სადავო ნორმების მიხედვით, არ არის გარიგების ბათილობის დამოუკიდებელი პირობა და საჭიროებს სხვა პირობების არსებობასაც. მოპასუხემ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის 2012 წლის 8 მაისამდე მოქმედი რედაქცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არსებითად განსახილველად არ ყოფილა მიღებული.

მოცემული დავის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, მოახდინა სასარჩელო მოთხოვნის იდენტიფიცირება და მიუთითა, რომ მოსარჩელე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა, მათ შორის, საკუთრების უფლების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრას ზოგადი ხასიათის ნორმების საფუძველზე და აპელირებდა მსგავსი ტიპის რეგულაციის შეუსაბამობაზე სამართლებრივი უსაფრთხოებისა და განსაზღვრულობის პრინციპებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სასამართლომ იმსჯელა და შეაფასა, რამდენად იძლევა კონსტიტუცია ზოგადი

ნორმების საფუძველზე, სახელშეკრულებო ურთიერთობის მოწესრიგების შესაძლებლობას. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების განსაზღვრულობის სტანდარტთან მიმართებით.

სადავო ნორმის განსაზღვრულობის საკითხზე მსჯელობისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნა პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების, საჯაროსამართლებრივი ნორმებისა და სამოქალაქო სამართლის მომწესრიგებელი ნორმების მიმართ წაყენებული განჭვრეტადობის სტანდარტები. სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლის განსაზღვრით სახელმწიფო არ ადგენს რაიმე ტიპის პასუხისმგებლობას ან აკრძალვას, რომლის დარღვევასაც სანქცია მოჰყვება. ამის საპირისპიროდ, ხელშეკრულების ბათილობის დამდგენი ნორმები განსაზღვრავს შემთხვევებს, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო უარს ამბობს კერძო პირებს შორის არსებულ ურთიერთობებში ჩარევაზე და ერთი პირის იძულებაზე, მეორის სასარგებლოდ განახორციელოს გარკვეული ქმედება. შესაბამისად, სამოქალაქო სამართლის მომწესრიგებელი ნორმებისადმი წაყენებული განჭვრეტადობის ხარისხის მოთხოვნა ვერ იქნება ისეთივე მკაცრი, როგორც სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმებისადმი წაყენებული კრიტერიუმებია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო სამართლის ნორმების მოქნილობის მნიშვნელობაზე და ამ დარგში ხისტი კანონმდებლობის დადგენიდან მომდინარე საფრთხეებზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სახელშეკრულებო სამართალი მოიცავს ურთიერთობათა ფართო სპექტრს, რომელთა ფარგლები და შინაარსიც მთლიანად დამოკიდებულია კერძო პირების ქმედებასა და ნებაზე. მუდმივად განვითარებადი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების კვალდაკვალ წინასწარ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა ხელშეკრულებას დადებენ მხარეები, ასევე შეუძლებელია იმ ხელშეკრულებების წინასწარ, ამომწურავად იდენტიფიცირება, რომელთა აღსრულებაც საჯარო ინტერესებს ეწინააღმდეგება. სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი ნორმების მიზანს წარმოადგენს, შეძლებისდაგვარად სრულყოფილად მოწესრიგდეს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები და ჩამოყალიბდეს სამოქალაქო ბრუნვის ფუმემდებლური პრინციპები, რომელთა მემშვეობითაც შესაძლებელი იქნება თითოეული სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივი გადაწყვეტა. რამდენადაც, გარკვეულ შემთხვევებში სახელშეკრულებო ურთიერთობის პირდაპირი, კონკრეტული მოწესრიგების გარეშე გადაწყვეტა გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ზოგადი ნორმების არარსებობის პირობებში აუცილებელი გახდებოდა ან ნებისმიერი სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მაქსიმალური დეტალურობით მოწესრიგება, რაც შეაფერხებდა დინამიკურად განვითარებადი სამოქალაქო ბრუნვის სრულყოფილად

ფუნქციონირებას ან აუცილებელი იქნებოდა კანონის ან/და სამართლის ანალოგის გამოყენება, რითაც კიდევ უფრო შემცირდებოდა სამართლებრივი განსაზღვრულობის ხარისხი. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ნორმის შინაარსის ზოგადი ხასიათი და ბუნდოვანება წარმოადგენდა მისი არაკონსტიტუციურად ცნობის თვითკმარ საფუძველს.

მოსარჩელე მხარე ასევე აპელირებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლში არსებულ ტერმინებზე: „საჯარო წესრიგი“ და „ზნეობა“, რომლებიც, მისი მოსაზრებით, წარმოადგენდა სუბიექტური შეფასების კატეგორიას და მათი შინაარსის დადგენა დამოკიდებული იყო მოსამართლის პირად შეხედულებებზე, რაც მას უკონტროლო დისკრეციას ანიჭებდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი წარმოადგენს გარიგების ბათილობის უზოგადეს საფუძველს, რომლის მიზანია მოუწესრიგებელი არ დატოვოს შემთხვევები, როდესაც გარიგების აღსრულება თავისი არსით ეწინააღმდეგება სახელმწიფოებო სამართლის ფუნდამენტურ მიზნებს, თუმცა არ ექცევა სხვა ნორმებით განსაზღვრულ ბათილობის შემთხვევებში.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა არგუმენტაცია, რომლის თანახმადაც, სადავო ნორმა მოსამართლეს უკონტროლო დისკრეციას ანიჭებს და მას შეუძლია სადავო ნორმას ნებისმიერი, მისთვის სასურველი შინაარსი შეიძლება შესძინოს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმის გამოყენებისას მოსამართლის შეფასების საზომი ვერ იქნება მისი პირადი შეხედულება ქცევის სისწორესთან დაკავშირებით ან/და ის, თუ როგორ მოიქცეოდა თავად მოსამართლე ამა თუ იმ შემთხვევაში. მოსამართლემ უნდა შეაფასოს თავად გარიგება, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, არის თუ არა მისაღები საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობისა და საჯარო წესრიგის ზოგად მოთხოვნებთან. სასამართლოს მითითებით, სადავო ნორმა განმარტებადია არა მოსამართლის სუბიექტური შეფასების მიხედვით, არამედ სისტემურად, სხვა ნორმებთან და სამართლებრივ პრინციპებთან კონტექსტში, ხოლო მოსამართლის მიერ გაკეთებული თითოეული განმარტების სისწორე ობიექტურად შეფასებადი და გადამოწმებადია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ. თითოეული განმარტების კონსტიტუციურობასთან შესაბამისობის საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ხელშეკრულების ბათილობის იმგვარი ზოგადი საფუძველები, როგორცაა „საჯარო წესრიგი“ და „ზნეობა“, არ არის უცხო სხვადასხვა სახელმწიფოების, მათ შორის, კონტინენტური ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობისათვის, რაც მიუთითებს ცივილიზებული სახელმწიფოების ფართო კონსენსუსზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.



მოსარჩელე მხარე უთითებდა იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურობაზე, რომელიც ადგენდა გარიგების ბათილობას მარტოოდენ გარიგების ფასის შეუსაბამობის გამო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, კერძოდ კი, მიუთითა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაზე (საქმე №ას-664-635-2016), რომლის თანახმადაც, მარტოოდენ გარიგების ფასი სადავო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი ვერ გახდება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა ინსტანციის სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათის მქონეა და არც ერთი ინსტანციის საერთო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დიდი პალატისგან განსხვავებულად განმარტოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი და მარტოოდენ გარიგების შეუსაბამო ფასი გამოიყენოს მისი ბათილობის საფუძველად. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მოსარჩელის მიერ მითითებული ნორმატიული შინაარსით გამოყენების კანონიერი შესაძლებლობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ №679 კონსტიტუციური სარჩელის, მასზე თანდართული სადავო ნორმატიული აქტის ტექსტისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/3/679 საოქმო ჩანაწერის ანალიზის მიხედვით დაადგინა, რომ აღნიშნული კონსტიტუციური სარჩელი სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლთან დაკავშირებით არსებითად განსახილველად მიღებულია სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის მოქმედი რედაქციის კონსტიტუციურობას და სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის დღეისათვის მოქმედი და არა 1997 წლის 25 ნოემბრიდან 2012 წლის 25 მაისამდე მოქმედი რედაქცია. შესაბამისად, განსახილველი საქმის ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეეფასებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის 1997 წლის 25 ნოემბრიდან 2012 წლის 8 მაისამდე მოქმედი რედაქციის კონსტიტუციურობის საკითხი. მოსარჩელის წარმომადგენელმა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მიუთითა, რომ ის პრობლემურად მიიჩნევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის 2012 წლის 8 მაისამდე მოქმედ რედაქციას და არ წარმოუდგენია არგუმენტაცია სადავოდ გამხდარ რედაქციაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა №679 კონსტიტუციური სარჩელი.

გადაწყვეტილებას თან ერთვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების - ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის, მათა კოპალეიშვილის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი.

### „საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N626)

2017 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N626).

აღნიშნულ საქმეზე სადავოდ იყო გამხდარი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის (2015 წლის 6 თებერვალს მოქმედი რედაქცია) სიტყვების „და თანამდებობიდან ათავისუფლებს“ და მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

მოსარჩელისთვის პრობლემური იყო სადავო ნორმებით დადგენილი წესი, რომელიც, ერთი მხრივ, გამგებელს/მერს ანიჭებდა გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების უფლებამოსილებას დასაბუთების ვალდებულების გარეშე, ხოლო, მეორე მხრივ, გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილება ავტომატურად წყდებოდა ახალი გამგებლის/მერის არჩევის (უფლებამოსილების დაწყების) მომენტიდან. მოსარჩელის განმარტებით, შესაძლებელია, თანამდებობიდან გათავისუფლების სტანდარტები განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, მოსამსახურე წარმოადგენს პოლიტიკურ თუ პროფესიულ მოხელეს. იმავდროულად, გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არის პროფესიული მოხელე, ხოლო გასაჩივრებული რეგულაცია ზღუდავს მის სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უფლებას.

მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის განმარტებით, გასაჩივრებული წესი ემსახურება ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი მმართველობის განხორციელების მიზანს. იმავდროულად, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ცალკეული ფუნქციები იწვევს მის მიმართ თანამდებობიდან გათავისუფლების განსხვავებული წესების მოქმედებას, ვიდრე ეს არის სხვა პროფესიული მოხელეების მიმართ. გარდა აღნიშნულისა, მოპასუხის პოზიციით,

ამგვარი რეგულაციის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო თანამდებობებზე ყოველი არჩევნების შემდგომ კადრების ჩანაცვლების შესაძლებლობის არსებობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო თანამდებობები განსხვავდება ერთმანეთისაგან მათი ბუნების გათვალისწინებით. შესაბამისად, განსხვავებული იქნება კონსტიტუციური სტანდარტებიც იმის მიხედვით, კონკრეტული თანამდებობა არის პოლიტიკური თუ პროფესიული ხასიათის. სასამართლომ შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი წარმოადგენს პროფესიულ მოხელეს. იმავდროულად, პროფესიული თანამდებობისთვის უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენს მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი, გამოცდილება, პიროვნული უნარები და სხვა. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მისი კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და მათი შენარჩუნება. ამდენად, წესი, რომელიც შესაბამისი თანამდებობის პირის კვალიფიკაციის, გამოცდილებისა თუ სხვა უნარების შემოწმების/შეფასების გარეშე ადგენს უფლებამოსილების ავტომატურად შეწყვეტას ახალი გამგებლის/მერის მიერ უფლებამოსილების დაწყების მომენტიდან, წარმოადგენს კონსტიტუციით გარანტირებულ სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობის განხორციელების უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის არგუმენტი კადრების ყოველი არჩევნების შემდგომ ჩანაცვლებადობის აუცილებლობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დემოკრატიის არსებობა, უპირველესად, ხალხის მმართველობას, ხალხის მიერ საჯარო ფუნქციების უშუალოდ ან არჩეული წარმომადგენლების საშუალებით განხორციელებას გულისხმობს. იმავდროულად, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა არ გულისხმობს ყოველი არჩევნების შემდგომ ყველა საჯარო მოსამსახურის ჩანაცვლებას ახალი კადრებითა და ახლად არჩეული თანამდებობის პირების პოლიტიკური გუნდის წევრებით. აღნიშნული არათუ დემოკრატიის მოთხოვნას არ წარმოადგენს, არამედ პრინციპულად ეწინააღმდეგება მას. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ პროფესიული კადრების ყოველი არჩევნების შემდგომ ჩანაცვლების რეალური შესაძლებლობის არსებობა არ წარმოადგენს კონსტიტუციის მოთხოვნას, ისევე როგორც ამ საფუძველით არ შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

სასამართლომ გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დაუსაბუთებელ გათავისუფლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესწავლის შედეგად არ გამოიკვეთა ამ შეზღუდვის საჯარო ლეგიტიმური მიზანი და არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა №626 კონსტიტუციური სარჩელი.

### **„საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N550)**

2017 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №550) და ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა.

№550 კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარე ითხოვდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლისა და 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

სადავო ნორმები ადგენდა საჯარო რეესტრში მესაკუთრედ არასწორად რეგისტრირებული პირის მიერ საკუთრების გასხვისებისას კეთილსინდისიერი შემძენის დამცავ წესებს. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ხოლო, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც რეესტრში მესაკუთრედ არასწორად რეგისტრირებული პირისაგან იძენს ქონებას, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა.

მოსარჩელე ითხოვდა არაკონსტიტუციურად ყოფილიყო მიჩნეული სადავო ნორმები, რამდენადაც ისინი გამორიცხავდნენ ნამდვილი მესაკუთრის უფლებას, დაებრუნებინა საკუთრების უფლება არამართლზომიერად გასხვისებულ უძრავ ქონებაზე. ამასთანავე, მოსარჩელე განმარტავდა, რომ არც საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა და არც კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ნამდვილი მესაკუთრის მიერ საკუთრების უფლების დაბრუნების შესაძლებლობას, დავის შემთხვევაში უპირატესობა ყოველთვის კეთილსინდისიერ შემძენს ენიჭება და

თავდაპირველი მესაკუთრის საკუთრების უფლება რჩება დაუცველი. მოსარჩელე მხარე აპელირებდა მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით არსებულ მოდელზე და მიუთითებდა, რომ უძრავი ნივთების შეძენის წესი მოძრავი ნივთების ანალოგიურად უნდა განისაზღვროს, კერძოდ, მოსარჩელე კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნევდა წესს, რომლის მიხედვითაც, კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ ნივთი თავდაპირველი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი მფლობელობიდან.

მოპასუხე მხარის განმარტებით, სადავო რეგულაცია წარმოადგენს კეთილსინდისიერი შემძენისა და თავდაპირველი მესაკუთრის ინტერესების სამართლიანი დაბალანსების მექანიზმს. იგი ემსახურება სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის, საჯარო რეესტრის ჩანაწერისადმი სანდოობის და საკუთრების შეძენის პროცესის სიმარტივისა და სიიფის უზრუნველყოფას. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რჩება კეთილსინდისიერ შემძენს, თავდაპირველ მესაკუთრეს შეუძლია, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს იმ პირისაგან, ვისმა ქმედებამაც საკუთრების უფლების დაკარგვა გამოიწვია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, მოახდინა სასარჩელო მოთხოვნის იდენტიფიცირება და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი შეეხება მხოლოდ უძრავ ნივთებზე საკუთრების განკარგვის შემთხვევებს, ხოლო 312-ე მუხლის რეგულირების სფერო უფრო ფართოა და, ზოგადად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებებს მიემართება. ამასთან, სადავო ნორმები ნებისმიერი სასყიდლიანი გარიგების დადებისას იცავს კეთილსინდისიერ შემძენს. თუმცა სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა სადავო ნორმების იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც კეთილსინდისიერ შემძენს იცავს უძრავ ქონებაზე საბაზრო გარიგებების დადებისას, ანუ ისეთი ტრანზაქციებისას, რომელიც დადებულია ბაზრის ორ დამოუკიდებელ მონაწილეს შორის და რომლის ფარგლებშიც ორივე მხარე მოქმედებს საკუთარი ინტერესების საუკეთესოდ უზრუნველსაყოფად, სარგებლის მისაღებად.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმების კონსტიტუციურობა შეაფასა თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით და მიუთითა, რომ სადავო ნორმები ემსახურება ღირებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, კერძოდ, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის, სიმარტივისა და სიიფის უზრუნველყოფას. თუმცა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სიმარტივის საჯარო ინტერესების გარდა, მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი კერძო პირის ინტერესი. უძრავ ქონებაზე თავდაპირველი მესაკუთრის საკუთრების უფლებას

უპირისპირდება კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესი. ამდენად, სადავო ქონებაზე სამართლებრივი პრეტენზია გააჩნია ორ კეთილსინდისიერ მხარეს. ამავე დროს, ნებისმიერი სამართლებრივი გადაწყვეტის პირობებში, ბუნებრივად, შეუძლებელია ორივე მხარის ინტერესის სრულყოფილად დაკმაყოფილება. შესაბამისად, ვინაიდან ინტერესების დაპირისპირება აუცდენელია, წარმოიშობა მათი ჰარმონიზაციის, სამართლიანი დაბალანსების აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ შეაფასა, რამდენად იყო დაცული ამგვარი ბალანსი შეზღუდულ უფლებასა და შეზღუდვის შედეგად დაცულ სამართლებრივ სიკეთეს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კეთილსინდისიერი შემძენის დავალდებულება, უძრავი ქონების შეძენისას გადაამოწმოს რეგისტრირებული მესაკუთრის უფლების გამომრიცხველი ყველა გარემოება, აზრს დაუკარგავდა როგორც საჯარო რეესტრის არსებობას, ასევე მნიშვნელოვან მსუსხავ ეფექტს იქონიებდა საკუთრების შეძენის პროცესზე. ამგვარი რეგულაციის არსებობის პირობებში საჭირო იქნება გარიგებების მთელი ჯაჭვისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოძიება და შესწავლა, რაც, დამატებით ხარჯებთან და დროსთან არის დაკავშირებული. სადავო ნორმებით დადგენილი კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის გარანტიების არარსებობა ასევე გაზრდიდა ხარჯებს და რამდენადმე გაართულებს უძრავ ქონებაზე გარიგებების დადებას. ამავე დროს, კეთილსინდისიერი შემძენის სრულად დაუცველობის პირობებში ქონების პირვანდელ მესაკუთრეს ნაკლებად ექნებოდა ინტერესი, მისი საკუთრების სხვა პირზე არასწორად რეგისტრაციის შემთხვევაში მოეთხოვა ჩანაწერის შესწორება და წარედგინა სათანადო საჩივარი, რაც გაართულებდა საჯარო რეესტრში არსებული არასწორი ჩანაწერების აღმოჩენასა და აღმოფხვრას. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, რეგულაცია, რომელიც კეთილსინდისიერ შემძენს ანიჭებს უპირატესობას ნივთის მესაკუთრესთან მიმართებით, არ არღვევს სამართლიან ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ რეგულირება არ უნდა უწყობდეს ხელს შემძენის მხრიდან საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას. კანონმდებელმა არ უნდა შექმნას ისეთი სისტემა, რომლის ფარგლებშიც შემძენს შეუძლია, უფლებებელყოს მისთვის ცნობილი ინფორმაცია რეესტრის ჩანაწერის სისწორის საეჭვოობასთან დაკავშირებით. სასამართლოს პოზიციით, იმ პირობებში, როდესაც შემძენი ინფორმირებულია საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორეზე დავის არსებობის თაობაზე, მან უნდა გადაამოწმოს გამსხვისებლის უფლების ნამდვილობის შესახებ ინფორმაცია ან ატაროს საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობიდან მომდინარე რისკი. საჯარო

რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის არსებობა მიუთითებს, რომ სადავო ქონების რეალურმა მესაკუთრემ მიიღო სათანადო ზომები საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის აღმოსაფხვრელად. სასამართლომ განმარტა, რომ კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის მიზანია ქონების ყიდვაზე ხელოვნური ბარიერების თავიდან აცილება, თუმცა კანონმდებლის მიერ შემოთავაზებულმა რეგულირებამ არ უნდა გამორიცხოს ის მინიმალური, გონივრული გადამოწმების ვალდებულება, რაც უძრავ ნივთებთან დაკავშირებით გარიგების დადებას ახლავს თან. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ შემძენის დაცვა და მისი კეთილსინდისიერად მიჩნევა უნდა გამოირიცხოს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საჩივარი და, ამავდროულად, შემძენმა იცის ამის შესახებ. სასამართლომ ასევე განმარტა, თუ რას გულისხმობს რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი და მიუთითა, რომ ეს შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციული დავა რეესტრის ჩანაწერის არასწორად განხორციელებაზე ან ბ) სამოქალაქო დავა უძრავი ქონების საკუთრების შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლით დადგენილი რეგულირება განსხვავდება 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესისაგან. სსკ-ის 185-ე მუხლი საკუთრების უფლების შემძენზე გადასვლის ერთადერთ დამაბრკოლებელ გარემოებად ადგენს შემძენის მიერ იმის ცოდნას, რომ გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე, აქედან გამომდინარე კი რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ საჩივრის არსებობის შესახებ ცოდნა არ აბრკოლებს შემძენის კეთილსინდისიერად მიჩნევას, შესაბამისად კი, მასზე საკუთრების უფლების გადასვლას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა 185-ე მუხლის დამოუკიდებლად გამოყენების შესაძლებლობა და პირის კეთილსინდისიერად მიჩნევის რისკი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მან იცოდა, რომ რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილი იყო საჩივარი. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, როდესაც შემძენი ინფორმირებულია რეესტრის ჩანაწერის სისწორის შესახებ დავის თაობაზე, მან უნდა გადაამოწმოს უფლების ნამდვილობის შესახებ ინფორმაცია და თავად ატაროს ჩანაწერის გაბათილებასთან დაკავშირებული რისკი.

სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი იმაზე მეტ შემთხვევაში იწვევდა მესაკუთრის მიერ საკუთრების უფლების დაკარგვას, ვიდრე ეს ობიექტურად აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა მისი იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურობა, რომლის თანახმადაც, „გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში“, მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც



რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილია საჩივარი და ეს ფაქტი მყიდველისათვის ცნობილია.

გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლეების - გიორგი კვერენჩილაძის, ირინე იმერლიშვილის და მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი.

### **„საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N659)**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 15 თებერვალს დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელი N659).

მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმა ითვალისწინებდა სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესებამდე პირის მოსამართლედ განწესებას 3 წლის ვადით. მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ იღებდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას მისი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ.

მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმა არაკონსტიტუციური იყო, ვინაიდან იმ პირებისთვის, რომელთაც ჰქონდათ მინიმუმ 3 წლიანი სამოსამართლო გამოცდილება, მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებისათვის არ უნდა ყოფილიყო დადგენილი გამოსაცდელი ვადა. მოპასუხის განმარტებით, კანონმდებლის ნება იყო, დაეწესებინა მაღალი სტანდარტები მოსამართლის უვადოდ თანამდებობაზე გამწესებისათვის, რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურებოდა დამოუკიდებელი და კვალიფიციური მართლმსაჯულების განხორციელებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მოსამართლის განსაზღვრული ვადით განწესება უკავშირდება პირის იმ მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებების გამოკვლევას, რომელთა შესწავლაც რთული იქნება მოსამართლის პრაქტიკული საქმიანობის გაანალიზების გარეშე, თუმცა არსებობენ ისეთი მოსამართლეობის კანდიდატები, რომელთაც უკვე აქვთ მოსამართლედ საქმიანობის 3 წლიანი გამოცდილება. შესაბამისად, შესაძლებელია შეფასდეს მათი წარსულში განხორციელებული სამოსამართლო საქმიანობა და ამ გზით დადგინდეს კანდიდატის შესაბამისობა მოსამართლის თანამდებობის მაღალ სტანდარტებთან. ამდენად, ისეთი პირების მიმართ, რომელთაც უკვე აქვთ 3 წლიანი სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება და ობიექტურად შესაძლებელია მათი საქმიანობის შესწავლა, სადავო ნორმით განსაზღვრული ვადის დამატებით დაწესება ზედმეტ, დაუსაბუთებელ ბარიერად იქნა მიჩნეული და არაკონსტიტუციურად გამოცხადდა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსამართლეთა თანამდებობაზე უვადოდ დანიშვნის მიზნებისთვის არანაკლებ 3 წლიანი

სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატები და ის კანდიდატები, რომელთაც ასეთი გამოცდილება არ გააჩნიათ, არსებითად უთანასწორო პირებს წარმოადგენენ. სადავო ნორმა განსაზღვრული ვადით მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის საერთო წესის დადგენით არსებითად უთანასწორო პირებს თანასწორად ეპყრობა ამის ობიექტური საჭიროების გარეშე და, ამდენად, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის უფლებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე იმ პირის განწესებას 3 წლის ვადით, რომელიც არის ყოფილი ან მოქმედი მოსამართლე და აქვს სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამოირიცხა, რომ, რიგ შემთხვევებში, თუ მოსამართლის საქმიანობის განხორციელებიდან ხანგრძლივი ვადაა გასული ან სხვა ობიექტური გარემოებები არსებობს, შეუძლებელი ან რთულად განხორციელებადი იყოს მისი წარსული საქმიანობის შეფასება. ამასთანავე, მოსამართლეობის კანდიდატის წარსული საქმიანობის შეფასების განხორციელება საჭიროებს სათანადო წესის საკანონმდებლო რეგლამენტაციას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონმდებელს უნდა მიეცეს გონივრული ვადა, რათა მან შეასრულოს მისი კონსტიტუციური ვალდებულება და შეიმუშაოს ისეთი საკანონმდებლო მოწესრიგება, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, დაცული იყოს პირის კონსტიტუციური უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, არ მოხდეს საჯარო ინტერესის დაზიანება, კერძოდ, გამოირიცხოს იმის რისკი, რომ მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესდნენ ამისთვის შეუსაბამო კანდიდატები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2017 წლის პირველი ივლისიდან.

## ii. პირველი კოლეგიის გადაწყვეტილებები

### **ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება იყო პირველი საქმე, სადაც სასამართლოს მოუწია, ემსჯელა ნარკოტიკული დანაშაულისთვის დაწესებული სასჯელის კონსტიტუციურობის თაობაზე. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილის სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა

სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის, პირადი მოხმარების მიზნით, შეძენისა და შენახვის გამო. საყურადღებოა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებიდან დღემდე საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა კიდევ 5 კონსტიტუციური სარჩელი და ხუთივე მათგანი დააკმაყოფილა. აღნიშნული გადაწყვეტილებები ხასიათდება როგორც საერთო სტრუქტურით და მსჯელობით, ასევე საკუთარი სპეციფიკური მახასიათებლებით. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ სხვა საქმეებისგან განსხვავებით, იმსჯელა არა ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედებისთვის დაწესებული სასჯელის კონსტიტუციურობის თაობაზე, არამედ შეაფასა კონკრეტული ქმედების - მარიხუანის მოხმარებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კონსტიტუციურობა. ასევე ცალკე აღნიშვნის ღირსია №725 კონსტიტუციურ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული ქმედებისთვის აშკარად არაპროპორციულ სასჯელს წარმოადგენდა არა სასჯელის სახე - თავისუფლების აღკვეთა, არამედ სასჯელის ზომა - თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსიდან თორმეტ წლამდე.

გარდა დასახელებული გადაწყვეტილებებისა, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო არაერთი განჩინება, რომელთა მეშვეობითაც მოხდა ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული ქმედებებისთვის დაწესებული იმ სასჯელების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლებიც წარმოადგენდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების დამძლევ ნორმებს. ქვემოთ მოცემული იქნება ის რამდენიმე მნიშვნელოვანი სტანდარტი, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ დასახელებულ გადაწყვეტილებებში დაადგინა.

სასამართლოს განმარტებით, „საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, შეაფასოს სასჯელთა პოლიტიკა იმ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც მისი შედეგი ადამიანის ამა თუ იმ უფლების დარღვევაა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34).

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ აშკარად არაპროპორციული სასჯელები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესს, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი სასჯელის გამოყენება. „აშკარად

არაპროპორციულ სასჯელებს, რომლებიც არ შეესაბამებიან დანაშაულის ხასიათს და სიმძიმეს, არა მარტო აქვთ მიმართება სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის კონსტიტუციურ აკრძალვასთან, არამედ არღვევენ კიდევ ამ კონსტიტუციურ დანაწესს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25).

საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, სასჯელის კონსტიტუციურობის შეფასება ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმებს: 1) მოწმდება აშკარა არაპროპორციულობა დანაშაულის სიმძიმესა და მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს შორის - კანონმდებლობით ამა თუ იმ ქმედებისთვის დაკისრებული სასჯელი გონივრულ და პროპორციულ დამოკიდებულებაში უნდა იყოს კონკრეტული დანაშაულით გამოწვევად ზიანთან, რომელიც ადგება/შეიძლება მიაღგეს პირებს/საზოგადოებას. სასჯელი ჩაითვლება აშკარად არაპროპორციულად და არაადამიანურ, სასტიკ სასჯელად, თუ მისი ხანგრძლივობა მკვეთრად, უხეშად დისპროპორციულია ქმედების უმართლობის ხარისხთან, გამოწვევად საფრთხეებთან. 2) კანონი უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, მოსამართლემ სასჯელის დაკისრებისას გაითვალისწინოს კონკრეტული საქმის გარემოებები, ქმედებით გამოწვეული ზიანი, დამნაშავის ბრალეულობის ხარისხი და სხვა, რათა ფაქტობრივად გამოირიცხოს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ყველა რელევანტური ფაქტორის/გარემოების გაუთვალისწინებლად არაპროპორციული სასჯელის შეფარდება (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38).

ნარკოტიკული დანაშაულის ბუნების შეფასებისას საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ „უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დაკისრება პირისთვის ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ მის ჯანმრთელობას შეიძლება აყენებდეს ზიანს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-84). „პიროვნების დასჯა მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო, წარმოადგენს სახელმწიფოსგან გამოვლენილი პატერნალიზმის ისეთ ფორმას, რომელიც არ არის თავსებადი თავისუფალ საზოგადოებასთან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე

„საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-50).

### 2017 წელს მიღებული გადაწყვეტილებები

2017 წლის 13 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №696). ამავე წლის 14 ივლისს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები: №701, №722, №725), ხოლო 30 ნოემბერს გამოცხადდა გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №732).

### „საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №696).

№696 კონსტიტუციურ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება - დეზომორფინის დიდი ოდენობით დამზადების, შეძენისა და შენახვის გამო.

№696 კონსტიტუციური სარჩელის მოთხოვნის განხილვის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაფასებელ მოცემულობას წარმოადგენდა, დაედგინა 0,00009 გრამი დეზომორფინის დამზადების, შეძენისა და შენახვისთვის დაწესებული სანქცია - თავისუფლების აღკვეთა ხუთიდან რვა წლამდე იყო თუ არა აშკარად არაპროპორციული სასჯელი და, შესაბამისად, არღვევდა თუ არა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს.

საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კანონმდებლობის ანალიზზე დაყრდნობით დაადგინა, რომ დეზომორფინს არ გააჩნია მცირე და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საწყისი ოდენობები, რის გამოც აღნიშნული ნარკოტიკული საშუალების ნებისმიერი ოდენობა, რომელიც არ

აღმატება ერთ გრამს, წარმოადგენს დიდ ოდენობას, განურჩევლად იმისა, გამოყენებადია თუ არა იგი მოსახმარად. სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის ჯანმრთელობისათვის დეზომორფინის საშიშროებას განაპირობებს მისი მოხმარების შესაძლებლობა. ამასთან აღინიშნა, რომ დასახელებულ სამართლებრივ სიკეთეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაემუქროს საფრთხე, როდესაც სახეზე იქნება დეზომორფინის ის ოდენობა, რომელიც წარმოშობს მისი მოხმარების ობიექტურ შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ 0,00009 გრამი დეზომორფინი, მისი ძალიან მცირე, მიკროსკოპული ოდენობიდან გამომდინარე, არ ქმნის მისი მოხმარების ან/და გასაღების საფრთხეს. მეტიც, სასამართლოს განმარტებით, 0,00009 გრამი დეზომორფინის დამზადება, მისი დამამზადებლის მხრიდან წარმოადგენს ალოგიკურ და უმიზნო ქმედებას. სასამართლოს თქმით, ზემოხსენებული ოდენობის დეზომორფინის კვალი ამა თუ იმ საგანზე შესაძლოა მიუთითებდეს პირის მიერ დასახელებული ნარკოტიკული საშუალების იმ ოდენობით დამზადების, შექმნის ან შენახვის ფაქტზე, რომელიც გამოსადეგია მოსახმარად, თუმცა ცალკე აღებული 0,00009 გრამი დეზომორფინის დამზადების, შექმნის ან/და შენახვის ფაქტი თავისთავად არ შეიცავს ისეთ საფრთხეებს, რომლებიც გაამართლებდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დაკისრებას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას 0,00009 გრამი ნარკოტიკული საშუალება - დეზომორფინის დამზადების, შექმნისა და შენახვისთვის საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

**„საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები: №701, №722, №725)**

№701 კონსტიტუციური სარჩელის ავტორი ითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც სასჯელის სახედ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება - კანაფის (მცენარე) დიდი ოდენობით უკანონოდ დათესვის, მოყვანის ან



კულტივირების გამო, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

№722 და №725 კონსტიტუციურ სარჩელებში მოსარჩელები ითხოვდნენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ნარკოტიკული საშუალება - კანაფის (მცენარე) უკანონოდ დათესვის ან მოყვანისთვის სასჯელის სახედ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ნარკოტიკული საშუალება - კანაფის (მცენარე) დიდი ოდენობით უკანონოდ დათესვის ან მოყვანისთვის სასჯელის სახით ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. №725 კონსტიტუციური სარჩელის ავტორი, ასევე ითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ნარკოტიკული საშუალება - კანაფის (მცენარე) განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონოდ დათესვის ან მოყვანისთვის სასჯელის სახით ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

№701, №722 და №725 კონსტიტუციური სარჩელების თანახმად, მოსარჩელებს აღმოაჩნდათ, შესაბამისად, 150,72 გრამი, 63,73 გრამი და 265,49 გრამი კანაფი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ საქმეში სასამართლომ შეაფასა სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთის გამოყენება დასახელებული ოდენობების კანაფის პირადი მოხმარების მიზნით დათესვის, მოყვანისა და კულტივირების გამო.

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა, ერთი მხრივ, საფრთხე, რომელიც გარკვეული ოდენობის კანაფის (მცენარე) დათესვით, მოყვანითა და კულტივირებით შეიძლება მიაღწეს აღნიშნული მცენარის მფლობელს და, მეორე მხრივ, საფრთხე, რომელიც აღნიშნულმა ქმედებამ შესაძლოა შეუქმნას სხვა პირებს. მოწმეთა და სპეციალისტთა ჩვენებების საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ კანაფის პროდუქტის მოხმარება, პოტენციურად, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის მატარებელია. ამასთან, დადგინდა, რომ საფრთხე, რომელიც კანაფის პროდუქტის მოხმარებამ შეიძლება შეუქმნას მოხმარებელს არის უფრო მსუბუქი სხვა ე.წ. მძიმე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შედეგად გამოწვეულ ზიანთან შედარებით. სასამართლომ კიდევ ერთხელ მიუთითა მის მიერვე უკვე დადგენილ სტანდარტზე და აღნიშნა, რომ უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების



აღკვეთის დაკისრება პირისთვის ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ მის ჯანმრთელობას შეიძლება აყენებდეს საფრთხეს.

სასამართლომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დაადგინა, რომ უტყუარად არ დასტურდება კავშირი კანაფის პროდუქტის მოხმარებასა და სხვა დანაშაულის ჩადენას შორის. სასამართლოს მითითებით, არც ის დადასტურდა, რომ კავშირი კანაფის პროდუქტის მოხმარებასა და სხვა დანაშაულის ჩადენას შორის უფრო ხშირი და გამოკვეთილია, ვიდრე, თუნდაც ალკოჰოლით თრობის პირობებში.

საკონსტიტუციო სასამართლომ ცალ-ცალკე შეაფასა კანაფის სადავოდ გამხდარი ოდენობებიდან მომდინარე მისი გავრცელების თავისთავადი საფრთხეები და დაადგინა, რომ 63,73 გრამი (კონსტიტუციური სარჩელი №722) და 150,72 გრამი (კონსტიტუციური სარჩელი №701) კანაფი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ოდენობად, რომელიც ქმნის მისი გავრცელების თავისთავად საფრთხეს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ისეთი ქმედების გამო, როგორცაა 63,73 გრამი კანაფის დათესვა და მოყვანა და 150,72 გრამი კანაფის დათესვა, მოყვანა და კულტივირება წარმოადგენდა აშკარად არაპროპორციულ სასჯელს და, შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს.

სასამართლომ მიუთითა, რომ 265,49 გრამი კანაფის დათესვა და მოყვანა აჩენს მისი გავრცელების მაღალ რისკებს. ვინაიდან აღნიშნული ოდენობის კანაფის მოყვანისათვის დაწესებული სასჯელი ემსახურება სხვა პირთა ჯანმრთელობის დაცვას, სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია დასახელებული ქმედებისთვის სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფრო მძიმე დანაშაულებისთვის დაწესებული სასჯელების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ 265,49 გრამი კანაფის მოყვანისთვის დაწესებული სასჯელის კონკრეტული ზომა - თავისუფლების აღკვეთა ექვსიდან თორმეტ წლამდე იყო აშკარად არაპროპორციული სასჯელი და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს.

**„საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“  
(კონსტიტუციური სარჩელი №732)**

№732 კონსტიტუციურ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსის 273-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის. აღნიშნულ საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაფასებელ მოცემულობას წარმოადგენდა, დაედგინა ისეთი ქმედების კრიმინალიზაციის კონსტიტუციურობა, როგორცაა ნარკოტიკული საშუალება - მარიხუანის მოხმარება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირის უფლება, თავად შეარჩიოს განტვირთვის მისთვის სასურველი სახე და განახორციელოს შესაბამისი აქტივობა, მათ შორის, მოიხმაროს მარიხუანა, წარმოადგენს პიროვნების პირადი ავტონომიით დაცულ სფეროს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა დადასტურებულ მეცნიერულ კვლევებზე ან ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაფუძნებული მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც სასამართლო დაასკვნა, რომ მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ ან აბსისტენციის მდგომარეობაში ყოფნა ქმნის პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან/და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მომეტებულ საფრთხეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მარიხუანის მოხმარების ინდივიდუალური შემთხვევების დასჯა ვერ იქნებოდა განხილული როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გამოსადეგი საშუალება. ასევე, მოპასუხე მხარემ ვერ შეძლო წარმოედგინა მეცნიერულ კვლევებზე დამყარებული მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მარიხუანა, თავისი ბიოლოგიური თუ ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე, იწვევს სხვა ნარკოტიკულ საშუალებაზე მოთხოვნილების ჩამოყალიბებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ცალკე აღებული მარიხუანის მოხმარების ფაქტი, აღნიშნული ქმედების ბუნებიდან გამომდინარე, საჯარო ინტერესისთვის ნაკლები საფრთხის შემცველია, რადგან ამ დროს არ არსებობს ნარკოტიკული საშუალების გავრცელების თეორიული შესაძლებლობაც კი. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას წინ უძღვის მისი შეძენა ან/და დამზადება, სასამართლომ მიიჩნია, რომ მარიხუანის მოხმარების აკრძალვა წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისკენ გადადგმულ ნაბიჯს, თუმცა სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაწესება იმ მიზნით, რომ პირმა არ დააზიანოს საკუთარი ჯანმრთელობა, წარმოადგენს სახელმწიფოსგან გამოვლენილი პატერნალიზმის ისეთ ფორმას, რომელიც არ არის თავსებადი თავისუფალ საზოგადოებასთან.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ბლანკეტურად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე აწესებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მარიხუანის განმეორებით მოხმარებისთვის, განურჩევლად მოხმარების ადგილის, ვითარების, სუბიექტისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის რეალურობისა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით განმტკიცებულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას.

### **„საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N622)**

2017 წლის 9 თებერვალს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N622).

ხსენებულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან და მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

მოსარჩელის მითითებით, სადავო ნორმით განსაზღვრული წესი, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში ელექტრონულ ფორმატში ჩანაწერების მუდმივად შენახვას, ეწინააღმდეგება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას. მოსარჩელის არგუმენტაციის მიხედვით, ნორმის ბლანკეტური ხასიათი, ასევე ის გარემოება, რომ ნორმა არ ითვალისწინებს სასამართლო ზედამხედველობას, ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვის გარანტიებს.

საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული წესი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული სამართალდარღვევის კონტექსტში მისი განმეორებით ჩადენის მიმართ შესაბამისი რეაგირების მიზნით, არამედ იგი ასევე ემსახურება საერთო საზოგადოებრივ ინტერესს - მოხდეს არსებულ მონაცემთა განზოგადება, სავარაუდო რისკებისა და საფრთხეების გამოკვეთა და ძირითადი კანონსაწინააღმდეგო

ტენდენციების გამოვლენა, რაზეც სახელმწიფომ უნდა დააფუძნოს რეაგირების სტრატეგია. ამასთან, მისი კონსტიტუციურობის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დაცულ ინფორმაციაზე წვდომის მკაცრად შეზღუდული ხასიათი.

საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ ყოვლისა, გამიჯნა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 და მე-16 მუხლებით დაცული პირადი ცხოვრების უფლების კომპონენტები და მიუთითა, რომ კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო ემსახურება ამავე მუხლში ჩამოთვლილი კონკრეტული კომპონენტების შინაარსობრივ დაცვას და „პირადი ცხოვრების“ ზოგადი ტერმინის არსებობა მხოლოდ აღნიშნული ნორმის გავრცობას ემსახურება ახალ, შინაარსობრივად ამ ნორმის სფეროში არსებულ შემთხვევებზე. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება იცავს ადამიანის პირად სივრცეს და კრძალავს აღნიშნულ სივრცეში შეღწევას, პირზე ინფორმაციის მოპოვებას სათანადო კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძვლის გარეშე. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმა არეგულირებს მხოლოდ მოპოვებული ინფორმაციის შენახვას და არა მის მოპოვებას. შესაბამისად, სადავო ნორმა არ ახდენს ჩარევას კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულ სფეროში და მისი კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით შეფასდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიცირებული ნებისმიერი ქმედება შეიცავს გარკვეულ სამომავლო საზოგადოებრივ საფრთხეს, რის შესახებ ლოგიკურად შეიძლება არსებობდეს ინფორმაციის აღრიცხვის საჭიროება სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ამავე დროს, მითითებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის პროცესში სახელწიფო ვალდებულია დაიცვას თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნები.

სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ინფორმაციის შენახვის მუდმივობა არ წარმოადგენს მითითებული ლეგიტიმური მიზნების შესრულებისთვის აუცილებელ და, შესაბამისად, თანაზომიერ საშუალებას, ვინაიდან სადავო რეგულირების საფუძველზე, სახელმწიფო ინახავს პირის შესახებ ინფორმაციას იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არსებობს მისი საჭიროება ადმინისტრაციული სახდელის აღსრულებისათვის ან/და ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენისას მის მიმართ განსხვავებული სანქციის გამოყენებისათვის. ასეთ პირობებში მონაცემების შენახვა მხოლოდ ქმნის მისი გავრცელების ან/და სხვა ფორმით ბოროტად

გამოყენების საფრთხეს და მითითებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შესაძლებელია ნაკლები ინტენსივობის საშუალების გამოყენებითაც.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სადავო ნორმით დადგენილი რეგულირება ატარებს ბლანკეტურ ხასიათს და არ ითვალისწინებს ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ინტენსივობასა და ხასიათს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ინფორმაციის შენახვის პროცესში, რაც ასევე ხაზს უსვამს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა N622 კონსტიტუციური სარჩელი და სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით.

**„საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე, დიმიტრი ლომიძე და ტარიელ ჩოჩიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები N650, N699)**

2016 წლის 28 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე, დიმიტრი ლომიძე და ტარიელ ჩოჩიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მითითებულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან და 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

მოსარჩელეთა მტკიცებით, რამდენადაც სადავო ნორმების მოქმედებით იზღუდება სისხლის სამართლის სასამართლო პროცესში დაცვის მხარის შესაძლებლობა, სასამართლოს მიმართოს კომპიუტერულ სისტემაში, ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში განთავსებული ინფორმაციის, ან დოკუმენტაციის გამოთხოვის შუამდგომლობით და აღნიშნული უფლება ენიჭება მხოლოდ ბრალდების მხარეს, იგი არღვევს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების მოქმედებას.

მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ იმ პირობებში, როდესაც დაცვის მხარეს სრულად შეზღუდული აქვს კონკრეტული სახის მტკიცებულებათა მოპოვება ბრალდების მხარის „კეთილი ნების“ გარეშე, მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე დაფუძნებული განაჩენი ვერ დააკმაყოფილებს

კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მიერ დადგენილ სტანდარტს მტკიცებულებათა საპროცესო ოპონენტის დასაბუთებული კრიტიკის გარეშე და ვერ იქნება დაფუძნებული უტყუარ მტკიცებულებებზე. მოსარჩელეთა განმარტებით, სადავო ნორმებით აგრეთვე იზღუდება დაცვის უფლების წვდომა ინფორმაციის ფართო სპექტრზე, რაც, შესაბამისად, აბრკოლებს დაცვის უფლების სათანადოდ გამოყენებას სადავო ნორმების რეგულირების ობიექტის - კომპიუტერული წესით შენახული მონაცემების მიმართ.

საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, ხაზი გაუსვა დაცვის მხარის რეალური და ადეკვატური შესაძლებლობის მინიჭების აუცილებლობას, შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში გააქარწყლოს ბრალდების არგუმენტაცია, რაც მოიცავს ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევისა და მათზე შედავების უფლებას, ასევე მტკიცებულებების მოპოვების უფლებას. სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პროცესი წარმართება შეჯიბრებითი მოდელის შესაბამისად, მხარეს საშუალება უნდა ჰქონდეს, ზეგავლენა მოახდინოს პროცესზე - გონივრული შესაძლებლობა იმისა, რომ მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები და დაიცვას საკუთარი ინტერესები. შესაბამისად, კანონმდებლობა მას არ უნდა აყენებდეს მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში და უნდა აძლევდეს საშუალებას, ეფექტურად განახორციელოს დაცვის უფლება.

სასამართლომ მიუთითა თანამედროვე ტექნოლოგიის სწრაფ განვითარებასა და ნებისმიერი ინფორმაციის (წერილობითი დოკუმენტაცია, ვიდეო ან აუდიო ჩანაწერები, საჯარო ან საიდუმლო ინფორმაცია) ელექტრონულ არქივებში შენახვის ზრდად ტენდენციაზე საჯარო დაწესებულებების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ და განსაზღვრა, რომ სადავო ნორმა დაცვის მხარეს უზღუდავს წვდომას სისხლის სამართლის პროცესისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ფართო სპექტრზე, მესამე მხარეთა და კონსტიტუციური ინტერესების მიმართ არსებული საფრთხეების გათვალისწინების გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმების მზლუდავ ხასიათთან მიმართებით მსჯელობისას განმარტა, რომ სადავო ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას, ქმნის საკანონმდებლო რეალობას, სადაც სამართალწარმოების ფარგლებში კომპიუტერული წესით დაცული ინფორმაცია ხელმისაწვდომია



მხოლოდ ბრალდების მხარისათვის და მის „კეთილ ნებაზე“ დამოკიდებული პროცესის ფარგლებში დაცვის მხარის მიერ დაცვის უფლების განხორციელება.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ კონკრეტული სახის მტკიცებულებებზე დაცვის მხარის წვდომის გამორიცხვა სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითი მოდელის პირობებში იწვევს ბრალდების მხარის არგუმენტების უტყუარობის შემოწმების შეუძლებლობას მათი დაცვის მხარის კონტრარგუმენტებთან შეჯერების მეშვეობით და იქმნება მდგომარეობა, როდესაც შესაძლებელია, საბოლოო განაჩენი დაფუძნებული იყოს მხოლოდ ბრალდების მხარის არგუმენტაციაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელები N650,N699 და არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავდა დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან, 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

### **„საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N851)**

2017 წლის 11 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N851).

მოსარჩელე საქართველოს კონსტიტუციით დაცულ შრომის თავისუფლებასთან მიმართებით სადავოდ ხდიდა საქმიანობის უფლების ჩამორთმევის დამატებით სასჯელად დანიშვნის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი სასჯელი გათვალისწინებული არ არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრებული რეგულაცია ემსახურება სასჯელის ინდივიდუალიზაციის მიზნებს და წარმოადგენს მისი მიღწევის ეფექტურ საშუალებას. იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს აშკარად არაგონივრულ და არაპროპორციულ სასჯელის ზომად. სადავო ნორმის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში მოქცევა კი წარმოადგენს საკანონმდებლო ტექნიკას. შესაბამისად, სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისათვის საქმიანობის



უფლების ჩამორთმევა, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც ხსენებული სასჯელი არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ნორმით, წარმოადგენს მართლმსაჯულების და არა საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა №851 კონსტიტუციური სარჩელი.

### **„საქართველოს მოქალაქე ზაქარია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N781)**

2017 წლის 29 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზაქარია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N781).

მოსარჩელე საკუთრების კონსტიტუციური უფლების საწინააღმდეგოდ მიიჩნევდა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ დებულებას, რომელიც საქართველოს სასამართლოს ანიჭებდა კომპეტენციას, უცხო ქვეყნის სასამართლოში მიმდინარე დავაზე გამოეყენებინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მაშინ, როდესაც უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ არაკონსტიტუციურია არა ზოგადად სადავო ნორმით დადგენილი ინსტიტუტი, არამედ სასამართლოსათვის ხსენებული კომპეტენციის მინიჭება სათანადო საპროცესო გარანტიების განსაზღვრის გარეშე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის პრობლემა მიემართება არა სადავო ნორმას, რომელიც არის საერთო სასამართლოებისთვის განსჯადობის დამდგენი, არამედ საპროცესო ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. სადავო ნორმის მოწესრიგების საგანს არ წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განხილვის პროცედურა. ხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა №781 კონსტიტუციური სარჩელი.

**„საქართველოს მოქალაქეები - როინ გავაშლიშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები N629, N652)**

2017 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - როინ გავაშლიშვილი და ვალერიანე მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები N629, N652).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა როინ გავაშლიშვილის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის N629) და არაკონსტიტუციურად ცნო „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ის ნორმა, რომელიც 2013 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით კერძო სადაზღვევო სქემებში ჩართულ პირებს უზღუდავდა აღნიშნული პროგრამით სრულად სარგებლობის უფლებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმის მიხედვით, უთანასწორო მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით სრულად მოსარგებლე პირები და, პირები, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის გამო აღარ არიან ჩართული კერძო სადაზღვევო სქემებში. სასამართლომ მიიჩნია, რომ უთანასწორო მდგომარეობა არ იყო გამართლებული და, შესაბამისად, სადავოდ გამხდარი ნორმა არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის უფლებასთან მიმართებით.

**„საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N703)**

2017 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქის გიორგი ქართველიშვილის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის №703) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მოსარჩელე სადავოდ ხდიდა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი არაერთგზის დაუმორჩილებლობისთვის რვიდან ათ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან (აღამიანის ღირსების უფლება)

მიმართებით. მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმა აწესებდა შეუსაბამოდ მაღალ პასუხისმგებლობას და ლახავდა საქართველოს კონსტიტუციით დაცულ ადამიანის ღირსების უფლებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის არგუმენტაცია და ქმედებიდან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით, სადავო სასჯელი არაპროპორციულად მიიჩნია. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმატიული შინაარსი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

### **„საქართველოს მოქალაქე შოთა ჯიბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N666)**

2017 წლის 22 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქის შოთა ჯიბლაძის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის N666) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მოსარჩელე ასაჩივრებდა ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მიზნობრივი დანიშნულების შეცვლისთვის მესაკუთრე ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ სახელმწიფოს სასარგებლოდ საკომპენსაციო თანხის გადახდის ვალდებულებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოარკვია, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არსებობა ქალაქების მუნიციპალურ საზღვრებში წარმოადგენს ქალაქების ურბანული ტერიტორიების ექსპანსიის შემაკავებელ ფაქტორს და ამცირებს კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში გარემოზე მავნე ზემოქმედების ზრდის რისკს. შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო ზონის არსებობა დიდი ქალაქების მუნიციპალურ საზღვრებში მათ ფუნქციურ, აგრარულ დატვირთვასა და ქალაქგანვითარების კონტროლთან ერთად, ასევე უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანსაღ გარემოში ცხოვრებას, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და გარემოზე ანთროპოგენული ზემოქმედების კონტროლს. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა წარმოადგენს შეზღუდულ რესურსს, ხოლო მისი სამშენებლო მიზნებით გამოყენება იწვევს ამ რესურსის შემცირებას. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კანონმდებლის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრიობის ცვლილების განსახორციელებლად, მესაკუთრის მიერ საკუთრების თავისუფლად განკარგვასა და ზემოთ ჩამოთვლილ საჯარო ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის

უზრუნველსაყოფად, სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა წარმოადგენს მიზნის მიღწევის თანაზომიერ საშუალებას და არ ირღვევა საკუთრების კონსტიტუციური უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

### **„საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N826)**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 21 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის N826). მოსარჩელე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ წესს, რომელიც კრძალავს თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციას იმ სავაჭრო ობიექტებში, რომლებიც განლაგებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების მიმდებარე ტერიტორიებზე 50 მეტრის რადიუსში. მოსარჩელის მითითებით ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით განმტკიცებულ თავისუფალი მეწარმეობის უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველი დავის ფარგლებში, სახელმწიფოს ფართო დისკრეციას სადავო ნორმით რეგულირებული სფეროს და დასაცავ სუბიექტთა წრის სპეციფიკურობა განაპირობებს. სასამართლოს განმარტებით, თამბაქოს პროდუქციის მოხმარება უარყოფითად ზემოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების მომსახურების მიმღები პირები არასრულწლოვნები არიან. არასრულწლოვნებში კი თამბაქოს ნაწარმის ხელმისაწვდომობისა და პოპულარიზაციის შეზღუდვის მომეტებული ინტერესი არსებობს.

სასამართლომ მიუთითა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან/სკოლიდან 50 მეტრის რადიუსი არის არეალი, სადაც რეგულარულად იკრიბება/გადაადგილდება არასრულწლოვანთა დიდი რაოდენობა. ამ რადიუსში არსებული ნებისმიერი თამბაქოს სარეალიზაციო ობიექტი მომეტებულად მოექცევა არასრულწლოვანთა თვალთახედვის არეში. რის გამოც, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ემსახურება ღირებულ ლეგიტიმურ მიზანს და წარმოადგენს ამ მიზნის მიღწევის თანაზომიერ საშუალებას. შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილებას თან ერთვის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - მაია კოპალეიშვილისა და გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი.

**„საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N757)**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 27 მარტს დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილის №757 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ და არაკონსტიტუციურად ცნო ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში წარდგენილი პროექტების შემფასებელ დამოუკიდებელ ექსპერტთა ვინაობის კონფიდენციალურობა, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ ინფორმაციის თავისუფლებასთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ექსპერტის ვინაობის შესახებ ინფორმაცია უკავშირდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მისი მონაწილეობის საკითხს. კერძოდ, ექსპერტი მონაწილეობს სამეცნიერო ფონდის მიერ გადაწყვეტილების მიღებაში, მისი შეფასებები ხელს უწყობს ფონდს გრანტების გაცემის საკითხის გადაწყვეტაში. ამგვარად, დამოუკიდებელი ექსპერტის ვინაობა წარმოადგენს საჯარო (სახელმწიფო) დაწესებულებაში არსებულ საჯარო ინფორმაციას. ექსპერტის ვინაობის გაუმჟღავნებლობა კი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვას.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ სადავო რეგულირება განსაზღვრულია არა კანონით, არამედ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით - მთავრობის №84 დადგენილებით და სახეზე არ არის პარლამენტის მიერ აღნიშნული საკითხის მოწესრიგების თაობაზე უფლებამოსილების მთავრობისთვის კანონით დადგენილი წესით დელეგირება. ამრიგად, ვინაიდან სადავო ნორმა ვერ აკმაყოფილებს ფორმალურ კრიტერიუმს უფლების შეზღუდვის კანონით დადგენის აუცილებლობის თაობაზე, იგი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, რომლითაც დაცულია სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება.



**„საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N638)**

2017 წლის 14 თებერვალს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქის ლევან ალაფიშვილის კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის ნომერი №638).

საკონსტიტუციო სასამართლომ სამართლიანი სასამართლოსა (კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი) და დაცვის უფლების (კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი) საწინააღმდეგოდ მიიჩნია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის სასამართლოში განხილვისას მოსამართლეს არ აქვს შესაძლებლობა, ინდივიდუალური გარემოებების შესწავლის საფუძველზე გადაწყვიტოს შუამდგომლობის განხილვაში იმ პირის მონაწილეობის საკითხი, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო. ამასთან, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსიც, რომელიც პირის სამართალწარმოებიდან გამორიცხვის შემთხვევაში არ ითვალისწინებდა მისთვის შეტყობინების ვალდებულებას მას შემდეგ, რაც გაქარწყლდებოდა შეტყობინებასთან დაკავშირებული საფრთხეები.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე იმსჯელა ამგვარ შუამდგომლობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე და ამ ნაწილშიც დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის მოთხოვნა. კერძოდ, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს იმ პირის შესაძლებლობას, რომლის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, შეიტანოს საჩივარი მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე.

iii. მეორე კოლეგიის გადაწყვეტილებები

**„სს „ტელენეტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N667)**

2017 წლის 28 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ტელენეტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N667).

აღნიშნულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის იმ დანაწესის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც საგადასახადო ორგანოს ანიჭებდა დისკრეციას, ქონების გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ვალდებულება განესაზღვრა დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასის მიხედვით. მოსარჩელის მითითებით, სადავო ნორმით განსაზღვრული საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილება განუჭვრეტელს ხდის საგადასახადო ტვირთს, ვინაიდან კანონმდებელი ყოველგვარი კრიტერიუმებისა და წინაპირობების მითითების გარეშე განსაზღვრავს გადასახადის გამოთვლის ორ განსხვავებულ წესს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის პოზიციით, სადავო რეგულაცია ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს, ზღუდავს საკუთრების უფლებას და აბრკოლებს მეწარმეობის თავისუფლებასა და ბაზარზე კონკურენციის არსებობას.

მოპასუხე მხარის პოზიციით, სადავო ნორმა გადასახადის გადამხდელს არ აკისრებს მოულოდნელ საგადასახადო ტვირთს და წარმოადგენს სახელმწიფოს კომპეტენციის ნაწილს - ჩარჩოში მოაქციოს საგადასახადოსამართლებრივი ურთიერთობები. ამასთან, წესი ემსახურება საგადასახადო ტვირთის ქონების რეალური ფასის შესაბამისად განსაზღვრას და არ ადგენს დიფერენცირებას გადასახადის გადამხდელთა შორის, ვინაიდან იგი თანაბრად ეხება მის ადრესატებს მას შემდეგ, რაც განხორციელდება საგადასახადო შემოწმება. აქედან გამომდინარე, მოპასუხემ მიუთითა, რომ სადავო ნორმას არ გააჩნია კონსტიტუციურობის პრობლემა.

საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ საგადასახადო პოლიტიკის სფეროში სახელმწიფოს ფართო მიხედულების ზღვარი გააჩნია. ამასთანავე, ამ პოლიტიკის ფარგლებსა და დასაშვებ ზღვრებს აყალიბებს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი საკუთრების უფლება. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით მსჯელობისას სასამართლომ განმარტა ქონების საბალანსო და საბაზრო ფასების ურთიერთმიმართება და აღნიშნა, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული სისტემა მიმართულია ქონების რეალური ფასის განსაზღვრისაკენ და არ აწესებს არაგონივრულად შეუსაბამო საგადასახადო ტვირთს. ამასთან, ვინაიდან გადასახადის გადამხდელს გააჩნია არჩევანი, გადაფასების მეთოდის გამოყენებით თავი აარიდოს ქონების დასაბეგრი ღირებულების საბაზრო



ფასის შესაბამისად გამოთვლას, იგი ნაკლებად მზლუდველ რეგულირებად უნდა ჩაითვალოს და შეესაბამება საკუთრების უფლების მოთხოვნებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ, სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას მიუთითა, რომ ქონების გადასახადის საბაზრო ფასის მიხედვით განსაზღვრა საგადასახადო ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ნაწილია. საგადასახადო შემოწმების შედეგად შესაძლებელია, საგადასახადო ორგანომ ზოგიერთი გადასახადის გადამხდელის მიმართ გამოიყენოს სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირება და ქონების გადასახადი საბაზრო ფასის მიხედვით განუსაზღვროს, ზოგის მიმართ კი დატოვოს საბალანსო ღირებულების მიხედვით დათვლილი საგადასახადო ვალდებულება. შესაბამისად, სადავო ნორმა იძლევა გადასახადის გადამხდელს შორის დიფერენცირების შესაძლებლობას. ამავე დროს, სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში დიფერენცირებას არ გააჩნია გონივრული გამართლება. შესაბამისად, ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული კანონის წინაშე თანასწორობის უფლება.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლთან მიმართებით მსჯელობისას სასამართლომ ხაზი გაუსვა მოსარჩელის არგუმენტაციის მიმართებას მხოლოდ სადავო ნორმით დადგენილ დიფერენცირებასა და საკუთრების უფლების შეზღუდვაზე. გამომდინარე იქიდან, რომ არ გამოიკვეთა მეწარმეობის თავისუფლებისა და კონკურენციის თავისუფლების შემზღუდავი გარემოებები, სასამართლომ ამ ნაწილში სარჩელი არ დააკმაყოფილა.

### **„საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N658)**

2017 წლის 16 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N658).

კონსტიტუციური სარჩელით მოსარჩელე ითხოვდა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლთან მიმართებით.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების წესი უნდა მოწესრიგდეს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით. მოსამართლეთა

დისციპლინურ პასუხისმგებლობას შედეგად შესაძლოა მოჰყვეს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება, ხოლო დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია ჩვეულებრივი კანონის სამართლებრივი ფორმით, ის ვერ აკმაყოფილებს კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს.

მოპასუხის პოზიციით, სადავო კანონი აწესრიგებს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურულ საკითხებს, თუმცა უშუალოდ თანამდებობიდან გათავისუფლების წესსა და საფუძვლებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ადგენს. შესაბამისად, დაცულია საქართველოს კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნები.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსამართლის თანამდებობის დაკავებისა და მისი განხორციელების პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მოთხოვნებს. აღნიშნული გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, თანამდებობის განხორციელების უფლების შეზღუდვისას დაიცვას არა მხოლოდ თანაზომიერების პრინციპი, არამედ ყველა ის ფორმალური მოთხოვნა, რაც თავად კონსტიტუციით არის გათვალისწინებული.

სასამართლომ კონსტიტუციის სისტემური ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების წესი გულისხმობს იმ პროცედურული ნორმების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება ხსენებული გადაწყვეტილების მიღებისას. დასახელებული კონსტიტუციური დებულება კი ითვალისწინებს ფორმალურ მოთხოვნას, ამგვარი პროცედურული საკითხები სწორედ ორგანული კანონით იქნეს დარეგულირებული.

სასამართლომ, სადავო აქტის რელევანტური ნორმების ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ დისციპლინური სამართალწარმოება შესაძლოა დასრულდეს ნებისმიერი შედეგით, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებით. შესაბამისად, სადავო კანონით განსაზღვრული ნებისმიერი პროცედურა, რომელიც უკავშირდება დისციპლინურ სამართალწარმოებას, წარმოადგენს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებისთვის დადგენილ წესს და მათი კანონის ფორმით მოწესრიგება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურების

დამდგენი სადავო კანონის II, III და V თავები. სასამართლომ მიიჩნია, რომ ხსენებული ნორმები ფორმალური თვალსაზრისით არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლს.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ სადავო ნორმების საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში შეუძლებელი გახდებოდა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური საქმისწარმოება, რაც არ წარმოადგენდა არც მოსარჩელის მოთხოვნას და არც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მიზანს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონმდებელს უნდა მიეცეს გონივრული ვადა, რათა მან კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად მოაწესრიგოს მოსამართლეთა სამსახურიდან გათავისუფლების წესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმები ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2018 წლის 1 მაისიდან.

**„საქართველოს მოქალაქეები - მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N735).**

2017 წლის 21 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N735).

საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით.

სადავო რეგულირება საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ მოხელეს ართმევდა შესაძლებლობას, მიეღო განაცდური ხელფასის ანაზღაურება ამავე კანონის 112-ე მუხლით დადგენილი წესით, თუ დაწესებულება მას სამსახურში არ აღადგენდა. მოსარჩელე მხარის მითითებით, სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით დაცულ სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზარალის ანაზღაურების უფლებას.

მოსარჩელეთა განმარტებით, ზიანის, მათ შორის, განაცდურის ანაზღაურების საკითხი არ უნდა იყოს დაკავშირებული მოხელის სამსახურში აღდგენის ფაქტთან, რადგან, მიუხედავად იმისა, აღდგება თუ არა მოხელე სამსახურში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონო აქტის გამოცემით მიყენებული ზიანი უკვე არსებობს და, შესაბამისად, მისი ანაზღაურების ვალდებულებაც დამდგარია. ამასთან, შესაძლოა, არსებობდეს შემთხვევები, როდესაც სასამართლოს დავალებით, საკითხის გადასაწყვეტად ჩატარებული გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ დადგინდება, რომ მოხელე გათავისუფლდა უკანონოდ და ის უნდა აღდგეს სამსახურში, თუმცა ობიექტური მიზეზების გამო ეს შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში პირი საერთოდ კარგავს ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას.

მოპასუხის განმარტებით, სადავო ნორმით კომპენსაციის მიღების უფლების გადავადება გამართლებულია, რადგან დეტალების საფუძვლიანი გამოკვლევის შემთხვევაში შეიძლება დადასტურდეს, რომ პირი მართლაც ვერ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და გათავისუფლებულია მატერიალურად გამართული გარემოებების გამო, შესაბამისად, არც იმსახურებს კომპენსაციას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურების უფლება რამდენიმე წინაპირობის კუმულაციურად არსებობას უკავშირდება: 1. უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2. ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3. პირისათვის მიყენებული ზარალი გამოწვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმა აწესრიგებს ისეთ შემთხვევას, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებით დგინდება, რომ პირის გათავისუფლების შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (შემდგომში ინდ. აქტი) უკანონოა, რადგან ის მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. შესაბამისად, სახეზეა 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტის მიერ ჩადენილი უკანონო ქმედება. ამასთან, პირის თანამდებობიდან

გათავისუფლების შესახებ მიღებული აქტის უკანონობა დგინდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული სუბიექტების უკანონო ქმედება დადგენილია სათანადო წესით.

რაც შეეხება ზარალის ფაქტს, სასამართლო დაეყრდნო არსებულ პრაქტიკას და აღნიშნა, რომ საჯარო მოხელეს სამსახურში დანიშვნისას წარმოემოხა გონივრული მოლოდინი, რომ გარანტირებულად მიიღებს თანამდებობრივ სარგოს, გარდა მისი მართლზომიერად, კანონიერ საფუძველზე გათავისუფლების შემთხვევისა. შესაბამისად, ის ანაზღაურება, რომელსაც მოხელე ვერ იღებს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო, წარმოადგენს ზარალს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიზნებისთვის. სადავო ნორმა გამორიცხავს მოხელისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურებას, თუკი ის არ იქნა აღდგენილი სამსახურში. აღნიშნულის გათვალისწინებით, დადასტურდა ზარალის არსებობაც.

უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობასთან მიმართებით სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლო ინდ. აქტს ბათილად ცნობს სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, კერძოდ, არ ხდება იმის დადგენა, არსებობდა თუ არა პირის გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველები. შესაბამისად, საქმის ამ ეტაპზე, დამატებითი გამოკვლევის ჩატარების გარეშე, შეუძლებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა დამდგარ ზარალსა და შესაბამისი სუბიექტის ქმედებას შორის. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო (დაწესებულება) საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად დაასკვნის, რომ პირის გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი არსებობდა და პირი არ უნდა აღდგეს სამსახურში, მოხელისათვის მიყენებული ზიანი არ არის გამოწვეული ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით, ვინაიდან პირის სამსახურიდან გათავისუფლება საქმისთვის ყველა მნიშვნელოვანი გარემოების შესწავლის პირობებშიც მოხდებოდა.

ამასთანავე, გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ, როდესაც საქმის ხელახალი, სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად დადგინდება, რომ მოხელის გათავისუფლება მოხდა მატერიალურსამართლებრივი საფუძველის გარეშე, თუმცა სამსახურში აღდგენა შეუძლებელია ობიექტური მიზეზების გამო (მაგალითად, თუ აღარ არსებობს მისი თანამდებობა ან/და სტრუქტურული ერთეული, რომელშიც ეს პირი

მუშაობდა), ასეთ შემთხვევაში არსებობს მიზეზობრივი კავშირი დაწესებულების უკანონო აქტსა და მიყენებულ ზარალს - იძულებით განაცდურს შორის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო რეგულირება და დაადგინა, რომ, როდესაც დაწესებულების მიერ საქმის სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად დადგინდება, რომ არ არსებობდა პირის გათავისუფლების კანონიერი საფუძველი, ამ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ყველა წინაპირობა და განაცდური ხელფასი უნდა ანაზღაურდეს სრული მოცულობით, მიუხედავად იმისა, აღდგება თუ არა მოხელე სამსახურში.

### **„საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N598)**

2017 წლის 21 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (რეგისტრაციის №598).

მოსარჩელის მიერ სადავოდ იყო გამხდარი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმად, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ საჩივრდება მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოში. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლო საკასაციო სასამართლოა, რაც გამორიცხავს ამ ორგანოს მიერ პირველი ინსტანციით საქმის განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობას. მოსარჩელის არგუმენტაციით, კანონი არ განსაზღვრავს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის პროცედურას. ამასთანავე, უზენაესი სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით გადაწყვეტილების მიღება გამორიცხავს მისი გასაჩივრების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დაცულ მისი სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის პოზიციით, მართალია, საქართველოს კონსტიტუციით უზენაეს სასამართლოს ექსპლიციტურად აქვს მინიჭებული საკასაციო ფუნქციის განხორციელების ვალდებულება, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს ამ ორგანოს მიერ სხვა ფუნქციების შესრულების უფლებამოსილებას. რაც შეეხება საქმისწარმოების პროცედურებს, მოპასუხის

განმარტებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული იყო ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების განხილვის ცალსახა პრაქტიკა, რასაც მოსარჩელისთვის განჭვრეტადობის პრობლემა არ უნდა შეექმნა. გასაჩივრების ნაწილთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, სადავო ნორმით უზრუნველყოფილია საქმეების განხილვა უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ, რაც, ერთი მხრივ, პირის დაცვის კიდევ უფრო მეტ სტანდარტს ადგენს და, მეორე მხრივ, კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფს საკითხის მაღალკვალიფიციურ დონეზე განხილვას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს საქმე, რომელიც არ არის დაკავშირებული კასაციის ფუნქციის განხორციელებასთან, თუმცა მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს ხელს არ შეუშლის სხვა საქმეებზე მისთვის კონსტიტუციით პირდაპირ მინიჭებული კომპეტენციის - კასაციის განხორციელებას. ამასთანავე, იმის მიუხედავად, რომ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ადვოკატთა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და საქმის განხილვის პროცედურა, 2008 წლიდან არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ადვოკატთა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების ერთგვაროვანი პრაქტიკა. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადვოკატთა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გადასინჯვისთვის, კანონის ანალოგიის საფუძველზე, იყენებს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პროცედურას, რომლის კონსტიტუციურობა მოსარჩელეს ეჭვქვეშ არ დაუყენებია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ამ უკანასკნელს შეზღუდული აქვს გასაჩივრების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში პირის დისციპლინური გადაცდომის საქმის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ხდება ადვოკატთა ეთიკის კომისიის მიერ, ხოლო სადავო ნორმა მოსარჩელეს ანიჭებს უფლებას, ამ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში. შესაბამისად, მას არ აქვს წართმეული შესაძლებლობა, წარდგეს ობიექტური სასამართლოს წინაშე, წარადგინოს არგუმენტაცია და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, საქმის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, სამართლიანი სასამართლოს უფლების სრულყოფილი რეალიზებისთვის აუცილებელი იყოს, პირს ჰქონდეს შესაძლებლობა, მის მიმართ მიღებული უფლებაშემზღუდველი ღონისძიება გაასაჩივროს ერთზე მეტ სასამართლო



ინსტანციაში. თუმცა განსახილველ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასეთი აუცილებლობა ვერ დაინახა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებს.

#### **„შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N745)**

2017 წლის 28 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ არ დააკმაყოფილა „შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (რეგისტრაციის N745).

სადავო ნორმა განსაზღვრავდა სხვადასხვა სუბიექტების, მათ შორის, ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლების მიერ ელექტროენერჯის გარანტირებული სიმძლავრის შესყიდვისა და მისი საფასურის გადახდის ვალდებულებას. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ გარანტირებული სიმძლავრის საფასურის გადახდა მას მძიმე ტვირთად აწევდა და ხსენებული საფასურის გადახდა არ უნდა მომხდარიყო მოხმარებული ელექტროენერჯის პროპორციულად.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ გარანტირებული სიმძლავრის შენახვის საფასური როგორც გამართული ელექტროენერჯეტიკის სისტემის არსებობისათვის აუცილებელი ხარჯი მოხმარებული ელექტროენერჯის ფასის ნაწილია. ხსენებულ საფასურს ელექტროენერჯის ზოგიერთი მომხმარებელი ელექტროენერჯის ტარიფში ასახული ფორმით იხდის, ზოგი კი განცალკევებულად. ამდენად, სასამართლომ არ მიიჩნია არაგონივრულად ხსენებული საფასურის მოხმარებული ელექტროენერჯის პროპორციულად გადახდა. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერჯის რომელიმე მომხმარებელი ხსენებულ საფასურს არ გადაიხდის, აუცილებელი გახდება მისი წილი გადასახადის სხვა მომხმარებლებზე გადანაწილება, რაც უსამართლოდ გაზრდიდა მათ ვალდებულებას.

#### **„ააიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N734)**

2017 წლის 28 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ დააკმაყოფილა ააიპ „ფრემას“ კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის №734) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა

ნორმას, რომელიც განსაზღვრავდა სასამართლოს შესაძლებლობას, საგადასახადო ორგანოს მიერ დადებული ყადაღის დადასტურების შესახებ გადაწყვეტილება მიეღო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ზემოთ ხსენებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება მოსამართლისაგან მოითხოვს ყადაღის დადებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევასა და შეფასებას, რის გამოც, არსებობს პირის მომეტებული ინტერესი ზეპირი მოსმენის ჩატარების თაობაზე. სასამართლომ სადავო ნორმა მიიჩნია სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის არაპროპორციულ საშუალებად და არაკონსტიტუციურად ცნო იგი.

მოსარჩელე ასევე მოითხოვდა იმ წესის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ადგენდა საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილებას, გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმების დაწყებისას საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა დაადოს გადასახადის გადამხდელის მთელ ქონებას. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმის საფუძველზე, შესაძლოა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა დაედოს იმაზე მეტი მოცულობის ქონებას, ვიდრე საჭიროა პოტენციური საგადასახადო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, სასამართლომ სადავო ნორმით დადგენილი წესი საკუთრების უფლების არაპროპორციულ შეზღუდვად მიჩნია და არაკონსტიტუციურად ცნო იგი.

### **„შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N746)**

2017 წლის პირველ დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №746) და ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა.

N746 კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ გამხდარი ნორმის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოფის მოთხოვნის მომთხოვნ მხარეს დააკისროს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა. მოსალოდნელი ზარალის უზრუნველსაყოფად კი პროცესის მხარეს ეძლევა 7-დღიანი ვადა. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ხსენებული ვადა იყო არაგონივრულად მცირე, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების გარანტია დიდი ოდენობის თანხის მობილიზებას გულისხმობს, რისთვისაც ობიექტურად საჭიროა 7 დღეზე მეტი დრო.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია და მიიჩნია, რომ, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი თანხის შესაგროვებლად ობიექტურად საჭირო იყოს 7 დღეზე მეტი ვადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (სამართლიანი სასამართლოს უფლება) მიმართებით.

**„სს „სილქ როუდ ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“  
(კონსტიტუციური სარჩელი N656)**

2017 წლის 21 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სს „სილქ როუდ ბანკის“ კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის №656) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ნორმას, რომელიც განსაზღვრავს პირის გარდაცვალების შემთხვევაში კრედიტორების მიერ მემკვიდრისათვის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ექვსთვიან ვადას. ვადის დენა იწყება კრედიტორის მიერ სამკვიდროს გახსნის (პირის გარდაცვალების) ფაქტის შეტყობის მომენტიდან. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ, შესაძლებელია, კრედიტორმა იცოდეს სამკვიდროს გახსნის ფაქტი, თუმცა მისთვის არ იყოს ცნობილი მემკვიდრის ვინაობა, რომელსაც უნდა წარედგინოს მოთხოვნა. შესაბამისად, კრედიტორმა შესაძლოა, ვერ მოახერხოს მოთხოვნის წარდგენა კანონით დადგენილ ვადაში და დაკარგოს მოთხოვნის უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება სადავო ნორმასთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული ხანდაზმულობის 6-თვიანი ვადა მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორისთვის ამ დროის განმავლობაში გახდება ცნობილი იმ მემკვიდრის ვინაობა, რომელსაც უნდა წარედგინოს მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქმედებს მოთხოვნის წარდგენის გონივრული ვადა. ხსენებულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს.

## „შპს იუ-სი-ჯი გრინ ფაუერი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N680)

2017 წლის 21 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა „შპს იუ-სი-ჯი გრინ ფაუერის“ კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის N680) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მოსარჩელე სადავოდ ხდიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმას, რომლის მიხედვითაც, სისხლის სამართლის საქმეზე ქონების დაყადაღებისას, აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია ქონებით სარგებლობის აკრძალვაც.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ყადაღის გამოყენების მიზნები, რიგ შემთხვევებში, მიუღწეველი/განუხორციელებელი დარჩება ქონების სარგებლობის აკრძალვის გარეშე. სარგებლობის აკრძალვის საჭიროება შესაძლებელია წარმოშვას სხვადასხვა გარემოებამ, მათ შორის, დასაყადაღებელი ქონების როლმა და დანიშნულებამ დანაშაულის ჩადენის/მომზადების პროცესში. სასამართლოს განმარტებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ქონებით სარგებლობის აკრძალვა აუცილებელია მძიმე დანაშაულის პრევენციისათვის, საკუთრების უფლების ამ ფორმით შეზღუდვა არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მოთხოვნებს.

### IV. საქმის შეწყვეტა

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „მოსარჩელეს უფლება აქვს შეამციროს მოთხოვნის მოცულობა, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე. სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა, აგრეთვე საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კი, „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ, სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, თუ საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად“.

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმე წყდება, თუ ა) მოსარჩელე მხარე შეამცირებს, უარს იტყვის სასარჩელო მოთხოვნაზე; ბ) საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო აქტი გაუქმდა ან ძალადაკარგულად გამოცხადდა; გ) საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, საქმის შეწყვეტას ასევე განაპირობებს მოსარჩელე მხარის გარდაცვალება.

#### i. საქმის შეწყვეტა სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძვლით

მოსარჩელე მხარეს უფლება აქვს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, რაც ავტომატურად გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას. მხოლოდ საერთო სასამართლო ან /და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი, უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა<sup>32</sup>.

მოსარჩელე მხარის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა, გარკვეულ შემთხვევებში, განპირობებულია კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით. სხვაგვარად, სადავო აქტის მიმღები ორგანო ხედავს რა აქტში არსებულ პრობლემას, ახორციელებს მასში ცვლილებას და ამგვარად გადაჭრის მოსარჩელის პრობლემას.

მიმდინარე წელს მოსარჩელე მხარის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის მოტივით საქმე შეწყდა 4 კონსტიტუციურ სარჩელზე, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე შეწყვიტა N604, N695, N850 და N852 კონსტიტუციურ სარჩელებზე.

#### ii. საქმის შეწყვეტა სადავო აქტის გაუქმების ან ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძვლით

სადავო აქტში ცვლილებების განხორციელება, სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმისაგან განსხვავებით, თავისთავად არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში

<sup>32</sup> „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი.

საქმის შეწყვეტას. იგი დაკავშირებულია, ერთი მხრივ, იმ გარემოებაზე, თუ სამართალწარმოების რომელ ეტაპზეა საქმე, ხოლო, მეორე მხრივ, კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისათვის საქმის გადაწყვეტის მნიშვნელობაზე. კონკრეტულად კი, იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად არ არის მიღებული, სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა ავტომატურად იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას. თუ სადავო აქტმა ცვლილებები განიცადა საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ, მაგრამ ამ ეტაპის დასრულებამდე, საქმის წარმოება გაგრძელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად. ხოლო არსებითი განხილვის დასრულების შემდგომ სადავო აქტის ძალადაკარგულობა არ წარმოადგენს საქმის შეწყვეტის საფუძველს.

აღსანიშნავია, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვების „საქმის განხილვის მომენტისთვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, სადავოდ არის გამხდარი N635 კონსტიტუციურ სარჩელზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის №3/7/635 საოქმო ჩანაწერით საქმეზე „„შპს გამომცემლობა ინტელექტი“, „შპს გამომცემლობა არტანუჯი“, „შპს ლოგოს პრესი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ კონსტიტუციური სარჩელი მიღებულია არსებითად განსახილველად. შესაბამისად, სადავო აქტში ცვლილების განხორციელების საფუძველით საქმის შეწყვეტის კონსტიტუციურობაზე საკონსტიტუციო სასამართლო იმსჯელებს აღნიშნული საქმის ფარგლებში.

2017 წელს საქმის არსებითად განსახილველად მიღებამდე სადავო აქტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად საქმე ავტომატურად შეწყდა რამდენიმე კონსტიტუციურ წარდგინებასა და კონსტიტუციურ სარჩელზე.

კერძოდ, №774, №778, №796, №797, №799, №800, №802, №804, №806, №807, №816, №818, №819, №856, №865 და №869 კონსტიტუციურ წარდგინებებზე 2017 წლის 17 მაისის №3/3/774,778,796,797,799,800,802,804,806,807,816,818,819,856,865,869 განჩინებით საქმე შეწყდა, ვინაიდან სადავო ნორმამ საქმის არსებითად განსახილველად მიღებამდე დაკარგა ძალა. წინამდებარე კონსტიტუციურ



წარდგინებებზე დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პარიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება ნედლი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შექმენასა და შენახვისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/855 განჩინებით სადავო ნორმატიული შინაარსი უკვე ცნობილია ძალადაკარგულად. №3/1/855 განჩინებით ძალადაკარგულად გამოცხადებული ნორმა №774, №778, №796, №797, №799, №800, №802, №804, №806, №807, №816, №818, №819, №856, №865 და №869 კონსტიტუციურ წარდგინებებში სადავოდ გამხდარი ნორმის იდენტურია, რის გამოც მათზე საქმე შეწყდა<sup>33</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საქმე შეწყდა ასევე N772, N773, N784, N785, N789, N805, N866 კონსტიტუციურ წარდგინებებზე. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის N1221-რს კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა რიგი ცვლილებები, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის შენიშვნას დაემატა მე-6 ნაწილი, რომლის თანახმადაც, 260-ე მუხლის (გარდა შენიშვნის პირველი და მე-2 ნაწილებისა) მოქმედება არ ვრცელდება „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის №2 დანართის ცხრილით გათვალისწინებული ჩამონათვალის „ნარკოტიკული საშუალებები“ 73-ე და 92-ე გრაფებით განსაზღვრულ ნარკოტიკულ საშუალებებზე - მცენარე კანაფსა და მარიხუანაზე. აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 273<sup>1</sup> მუხლი,

<sup>33</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/774,778,796,797,799,800,802,804,806,807,816,818,819,856,865,869 განჩინება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება „ნედლი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნით შექმენისა და შენახვის გამო“.



რომლითაც სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად განისაზღვრა მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება და დაწესდა შესაბამისი სასჯელი. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის N1221-რს კანონით განხორციელებული ცვლილებების შედეგად ასევე შეიცვალა სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ვინაიდან სადავო ნორმების ცვლილება მოხდა კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტამდე, N772, N773, N784, N785, N789, N805, N866 კონსტიტუციურ წარდგინებებზე საქმე შეწყდა.

მიმდინარე წელს საქმის არსებითად განსახილველად მიღებამდე სადავო აქტში ცვლილებების განხორციელების მიზეზით, შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში საქმე ავტომატურად შეწყდა აგრეთვე N628, N694, N749, N753, N861 და N880 კონსტიტუციურ სარჩელებზე.

საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდგომ საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების საფუძველით კი მიმდინარე წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე შეწყვიტა ერთ კონსტიტუციურ სარჩელზე, კერძოდ, 2017 წლის 12 ოქტომბრის №1/2/864 განჩინებით საქმე შეწყდა საქართველოს მოქალაქის ს.გ-ის კონსტიტუციურ სარჩელზე. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შეიცვალა მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმების შინაარსი. მიუხედავად ამისა, შექმნილი ნორმატიული მოცემულობა გარკვეულწილად იმეორებდა სადავო ნორმების შინაარსს და კვლავ შეიცავდა მოსარჩელის მიერ იდენტიფიცირებულ რისკებს.

თუმცა მოსარჩელე მხარემ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე კვლავ წარადგინა კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის №1257). საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, №1257 კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ არის გამხდარი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედი რედაქციის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით. მოსარჩელეს №1257 კონსტიტუციურ სარჩელში იდენტიფიცირებული აქვს იგივე სამართლებრივი პრობლემა - შემაკავებელი ორდერის გამოცემის თაობაზე პოლიციელის დისკრეციული უფლებამოსილების კონსტიტუციურობა. ამდენად,

მოსარჩელის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემის შეფასება შესაძლებელია მოქმედი ნორმის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის ფარგლებშიც და არ დგას ძალადაკარგული ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის გადაწყვეტის აუცილებლობა. შესაბამისად, N864 კონსტიტუციურ სარჩელზე საქმე შეწყდა<sup>34</sup>.

### iii. საქმის შეწყვეტა მოსარჩელის გარდაცვალების გამო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა არ არსებობს კონკრეტული სუბიექტის გარეშე, შესაბამისად, მოსარჩელის გარდაცვალებით საფუძველი ეცლება მისი სასარჩელო მოთხოვნის განხილვას, რაც იწვევს საქმეზე საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტას<sup>35</sup>.

მიმდინარე წელს, 2017 წლის 2 ივნისის №1/1/657 განჩინებით, განისაზღვრა მნიშვნელოვანი სტანდარტი მოსარჩელე მხარის გარდაცვალების საფუძველით საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო სამართალურთიერთობის არსისა და სასარჩელო მოთხოვნის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოსარჩელის გარდაცვალებამ შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევებში არ გამოაცალოს არსი სასარჩელო მოთხოვნას და არ ჩაითვალოს საქმის შეწყვეტის საფუძველად, როდესაც საქმის გაგრძელება ემსახურება უშუალოდ გარდაცვლილი პირის უფლებებისა და მათი დაცვის კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტების დადგენას. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ შესაძლებელია, არ შეწყვიტოს სამართალწარმოება, თუ სამართალურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საქმის შეწყვეტა თავად კონსტიტუციური დავის მიზნებთან მოვა წინააღმდეგობაში. ვინაიდან მოცემული

<sup>34</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 12 ოქტომბრის №1/2/864 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ს.გ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>35</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის N1/1/437 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ ხუნდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის N2/5/584 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზაალ გველესიანი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.

დავის ფარგლებში არ იკვეთებოდა ამგვარი გამონაკლისი შემთხვევა, N657 კონსტიტუციურ სარჩელზე საქმე შეწყდა<sup>36</sup>.

---

<sup>36</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 2 ივნისის №1/1/657 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ფუტყარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

## 2. საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა აქტივობები

2017 წლის განმავლობაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აქტიურად საქმიანობდა საერთაშორისო ასპარეზზე და განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები.

### i. ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენცია

2014 წლის მაისში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 3 წლის ვადით ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის (CECC) თავმჯდომარედ აირჩიეს. აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგად 2014-2017 წლების განმავლობაში ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის ფარგლებში დაგეგმილ ყველა მაღალი რანგის ღონისძიებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უმასპინძლა ქ. ბათუმში.

2017 წლის 29 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით, ქ. ბათუმში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების XVII კონგრესს უმასპინძლა. კონგრესს დაესწრო 40-ზე მეტი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს ან კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი სხვა ინსტიტუტის დელეგატი. უცხოელი მონაწილეების გარდა მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს საკანონმდებლო, სასამართლო აღმასრულებელი ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

კონგრესზე მისასალმებელი სიტყვით წარდგნენ ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის პრეზიდენტი ჯანი ბუკიკიო, კონსტიტუციური მართლმსაჯულების მსოფლიო კონფერენციის რეგიონული და ლინგვისტური ჯგუფების ხელმძღვანელები. XVII კონგრესის მთავარი მომხსენებელი (General Rapporteur) იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ლალი ფაფიაშვილი, რომელმაც წარმოადგინა ძირითადი ანგარიში კონგრესის თემაზე - „საკონსტიტუციო სასამართლოების როლი კონსტიტუციური პრინციპების დაცვასა და გამოყენებაში“.

XVII კონგრესი 30 ივნისს დასკვნითი სესიით დასრულდა. ამავე დღეს გაიმართა ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის თავმჯდომარეთა შეხვედრა, სადაც კენჭისყრის შედეგად გადაწყდა, რომ XVIII კონგრესს 2017-2020 წლებში უმასპინძლებს ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო, ხოლო

2020-2023 წლებში XIX კონგრესის თავმჯდომარეობას გადაიბარებს მოლდოვას რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონგრესის თავმჯდომარედ არჩევის ფაქტი და კონგრესის საქართველოში ჩატარება წარმოადგენს საქართველოში კონსტიტუციური მართლმსაჯულების სფეროში მიღწეული პროგრესის აღიარებას, ასევე ქმნის ჩვენს ქვეყანაში ევროპული სასამართლო სტანდარტების დამკვიდრების და დემოკრატიული მმართველობის განმტკიცების მნიშვნელოვან წინაპირობას.

## ii. კონსტიტუციური მართლმსაჯულების მსოფლიო კონფერენცია

2017 წლის 11-14 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დელეგაციამ ზაზა თავაძის თავმჯდომარეობით მონაწილეობა მიიღო კონსტიტუციური მართლმსაჯულების მსოფლიო კონფერენციის (WCCJ) IV კონგრესში, რომელსაც ქ. ვილნიუსში ლიტვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ უმასპინძლა. კონგრესის ძირითადი თემა იყო „კანონის უზენაესობა და კონსტიტუციური მართლმსაჯულება თანამედროვე მსოფლიოში“. კონგრესი ოფიციალურად გახსნეს ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა ჯანი ბუკიკიომ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტმა ლინოს-ალექსანდრე სიცილიანოსმა. კონგრესის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოს დელეგაციამ ორმხრივი შეხვედრები გამართა ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეებთან და წევრებთან.

კონსტიტუციური მართლმსაჯულების მსოფლიო კონფერენცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან ერთად აერთიანებს 110 ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოებს და რელევანტურ ინსტიტუტებს ევროპის, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკის, აზიის და აფრიკის კონტინენტებიდან.

ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მხარდაჭერით, მსოფლიო კონფერენცია ჩამოყალიბდა როგორც მუდმივი ორგანო, რომლის მიზანია კონსტიტუციური მართლმსაჯულების და ადამიანის უფლებების განვითარების ხელშეწყობა, საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეებს შორის სამართლებრივი დიალოგის გაღრმავება.

## iii. ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაცია

2017 წლის 2-14 თებერვალს ქ. კიევში ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის (BBCJ) თავმჯდომარეობის ფარგლებში უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლომ გამართა აღნიშნული ასოციაციის კონგრესის მოსამზადებელი შეხვედრა, რომელსაც დაესწრო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე.

2017 წლის 1-2 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დელეგაცია, სასამართლოს თავმჯდომარის ზაზა თავაძის ხელმძღვანელობით, იმყოფებოდა ქ. ხარკოვში, სადაც მონაწილეობა მიიღო ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის II კონგრესში, რომელსაც მასპინძლობდა უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლო. კონგრესის მონაწილეებს ზაზა თავაძემ სიტყვით მიმართა და ისაუბრა საერთაშორისო სამართლის სტანდარტების გამოყენებაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში.

აღსანიშნავია, რომ ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაცია 2015 წელს დაარსდა და ის აერთიანებს საქართველოს, უკრაინის, მოლდოვას რესპუბლიკის და ლიტვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოებს.

ასოციაციის მიზანია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ხელშეწყობა, საკონსტიტუციო სასამართლოების დამოუკიდებლობის მხარდაჭერა, კანონის უზენაესობის პრინციპების იმპლემენტაცია და ასოციაციის წევრებს შორის გამოცდილების გაცვლის გაღრმავება.

მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ ასოციაციის II კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილებით, 2018 წლის იანვრიდან ბალტიისპირეთის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის თავმჯდომარეობას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გაუწევს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობის ფარგლებში ასოციაციის III კონგრესი გაიმართება 2018 წლის მაისში ქალაქ თბილისში.

#### **iv. 2017 წელს განხორციელებული შეხვედრები და ვიზიტები**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საერთაშორისო კონფერენციების, ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრების ფარგლებში მჭიდროდ თანამშრომლობს უცხო ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოებთან და საერთაშორისო ინსტიტუტებთან.

#### **2017 წლის განმავლობაში აღსანიშნავია შემდეგი ვიზიტები:**

• **27 იანვარი** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე სამუშაო ვიზიტით სტრასბურგში იმყოფებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამუშაო წლის გახსნასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ვიზიტის ფარგლებში ზაზა თავაძე შეხვდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტს გუიდო რაიმონდის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს შესთავაზა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ეგიდით შექმნილ უმაღლესი სასამართლოების კავშირში (Superior Court's Network, SCN) გაწევრიანება. აღნიშნული გაერთიანება ითვალისწინებს წევრ სასამართლოებს შორის პრაქტიკისა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლას. პირისპირ შეხვედრისას მხარეებმა საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსა და სასამართლოსადმი მიმართვიანობის ზრდასთან დაკავშირებით ისაუბრეს.

• **2-3 მარტი** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე და სასამართლოს წევრი გიორგი კვერენჩილაძე ქ. კიშინიოვში დაესწრნენ საერთაშორისო კონფერენციას „კონსტიტუციური კონტროლის ევოლუცია ევროპაში: მიღებული გამოცდილება და ახალი გამოწვევები“. შეხვედრაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ზაზა თავაძემ ისაუბრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის არსებულ ინსტიტუციურ დიალოგზე. მან ყურადღება გაამახვილა იმ საქმეებზე, რომლებშიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოხდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითება და პირიქით.

• **6 მარტი** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე იმყოფებოდა ქ. ბრიუსელში, სადაც ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების მე-17 კონგრესის თავმჯდომარის სტატუსით სამუშაო შეხვედრა გამართა ევროკომისიის პირველ ვიცე-პრეზიდენტთან ფრანს ტიმერმანთან. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები კონფერენციის მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით.

• **3-4 აპრილი** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძემ ვენეციის კომისიის მიწვევით, კვიპროსში მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „საკონსტიტუციო სასამართლოების, რელევანტური იურისდიქციის მქონე ინსტიტუტებისა და საერთო სასამართლოების ურთიერთობა“. აღნიშნულ შეხვედრაზე ზაზა თავაძე მოხსენებით გამოვიდა და ისაუბრა საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის ურთიერთობის პრაქტიკაზე. კონფერენციის ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე შეხვდა ვენეციის კომისიის პრეზიდენტ ჯანი ბუკიკიოს.



• **23-26 აპრილი** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე და სასამართლოს წევრი თამაზ ცაბუტაშვილი სამხრეთ აფრიკაში დაესწრნენ აფრიკის კონსტიტუციური მართლმსაჯულების კონგრესს თემაზე „სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა“. კონგრესზე, როგორც ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის თავმჯდომარე, მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ზაზა თავაძე და ისაუბრა სასამართლო ხელისუფლების განხორციელების პროცესში მოსამართლეთა იმ პასუხისმგებლობაზე, რაც თითოეულ მათგანს აკისრია საკუთარ ქვეყანაში დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

• **25-26 აპრილი** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დელეგაცია, თავმჯდომარის ზაზა თავაძის ხელმძღვანელობით, თურქეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 55 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციას დაესწრო. ზაზა თავაძემ ორმხრივი შეხვედრა გამართა თურქეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან, ზუჰთუ არსლანთან. შეხვედრის ფარგლებში ორ სასამართლოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

• **27-28 აპრილი** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე თეიმურაზ ტულუში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ბელარუსის რესპუბლიკაში და მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „კონსტიტუციური კონტროლის ორგანოების როლი კანონშემოქმედებით და კანონდასრულების პროცესში კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის კუთხით“.

• **6 ოქტომბერი** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე თეიმურაზ ტულუშმა მოლდოვას რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მიწვევით მონაწილეობა მიიღო მოლდოვას რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ამოქმედების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

• **18-21 ოქტომბერი** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა გიორგი კვერენჩილაძემ მონაწილეობა მიიღო ერევნის XXII საერთაშორისო კონფერენციაში „საკონსტიტუციო სასამართლოების როლი კონსტიტუციური კონფლიქტის გადალახვაში“.

• **24-25 ოქტომბერი** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძემ და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა ირინე იმერლიშვილმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ვილნიუსში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში „საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკის, ლიტვის რესპუბლიკის და უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოების როლი კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვაში: რეგიონალური გამოწვევები“ .

## v. თანამშრომლობა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აგრეთვე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან. მათ შორის აღსანიშნავია ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტი, რომლის ფარგლებშიც სასამართლო წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა დონის დიპლომატიურ ინსტიტუციური გაძლიერების და კონსტიტუციური მართლმსაჯულების ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობის კუთხით.

### 2017 წლის განმავლობაში ზემოთ ხსენებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- 23-26 თებერვალს სასტუმრო „ლოპოტა რეზორტში“ გაიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გასვლითი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის პირველი სესია სასამართლოს ინსტიტუციური განვითარების გეგმის განხილვას დაეთმო, გაიმართა სასამართლოს კომუნიკაციის სტრატეგიის პრეზენტაცია. მეორე სესიას არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური წრეების და საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ჯგუფის წევრები შეუერთდნენ. მეორე სესიაზე იმსჯელეს როგორც სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის საკითხებზე, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსა და მიმდინარე აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე

- 7-9 აპრილს ევროკავშირის „სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მედიის წარმომადგენლებს სასტუმრო „ჰილტონ ბათუმი“ უმასპინძლა. სამუშაო სემინარის მონაწილეები გაეცნენ მედიასთან თანამშრომლობის პრიორიტეტებს და ხედვებს, რომლებიც მიზანშეწონილია, აისახოს სასამართლოს კომუნიკაციის სტრატეგიის გეგმაში. მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გახსნა სასამართლოს თავმჯდომარემ და ისაუბრა სასამართლოსა და მედიის ურთიერთობის მნიშვნელობაზე.

- 6-7 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრა „ეფექტიანი წარმომადგენლობა საკონსტიტუციო სასამართლოში“ გაიმართა ბორჯომში, სასტუმრო „Crowne Plaza“-ში. შეხვედრის მიზანი იყო საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის წარმომადგენლობის ფუნქციის ეფექტიანობის გაზრდის უზრუნველყოფა და საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მხარეთა წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და პრაქტიკული პრობლემების განხილვა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრები, საქართველოს მთავრობის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, აგრეთვე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს - როგორც მოპასუხე მხარის წარმომადგენლები.

• 10 ოქტომბერი - სასტუმრო „Rooms Hotel Tbilisi“-ში გაიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური განვითარების და კომუნიკაციის სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია. აღნიშნული სამოქმედო გეგმა შემუშავდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტების მხარდაჭერის ფარგლებში. ღონისძიება გახსნეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძემ და ევროკავშირის ელჩმა საქართველოში იანოშ ჰერმანმა. სასამართლოს ეფექტიანობის და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდა, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება და სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება - ეს ის ძირითადი პრიორიტეტებია, რომლებზეც საკონსტიტუციო სასამართლო 2017-2019 წლების განმავლობაში იმუშავებს. ამასთან, მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის შემუშავება და დანერგვა, რაც სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდას გამოიწვევს. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები და აპარატის თანამშრომლები, ასევე სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

## vi. საზაფხულო სკოლა კონსტიტუციურ და ადამიანის უფლებათა სამართალში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თავისი უშუალო საქმიანობის პარალელურად, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების პროცესში. ამ მხრივ აღსანიშნავია კონსტიტუციური და ადამიანის უფლებათა სამართლის საზაფხულო სკოლა, რომელიც პირველად 2008 წელს ჩატარდა. მას შემდეგ სკოლა იურიდიული პროფესიის ლიდერებს ამზადებს. 2017 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საზაფხულო სკოლის სტუდენტების მეთე, საიუბილეო ნაკადს უმასპინძლა.

2017 წლის საზაფხულო სკოლა ბათუმში, საკონსტიტუციო სასამართლოში 24 ივლისიდან 3 აგვისტომდე ჩატარდა. სკოლის მსმენელებმა ორი კვირის

განმავლობაში მოისმინეს ლექციები შემდეგ თემებზე: სასამართლო კონტროლის სხვადასხვა მოდელები; სისხლის სამართლის პროცესში მოქმედი კონსტიტუციური სტანდარტები და საერთაშორისო ნორმები; რელიგიის და გამოხატვის თავისუფლება.

ლექციებს უძღვებოდნენ როგორც ქართველი ასევე უცხოელი ლექტორები, მათ შორის: რიჩარდ ვოგლერი, სასექსის უნივერსიტეტის პროფესორი ბრიჯიტ არიმონდი, ნორსვესტერნის უნივერსიტეტის პროფესორი ნათან სეილსი, სირაკუზის უნივერსიტეტის სამართლის კოლეჯის პროფესორი ჯეიმს პ. კელი, ამერიკის სამართლისა და მართლმსაჯულების სოლიდარობის ცენტრის პრეზიდენტი (ატლანტა, ჯორჯიის შტატი), ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლები და საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების პროფესორები.

საზაფხულო სკოლის მიზანია მომავალი იურისტების პროფესიული ცოდნის ამაღლება კონსტიტუციურ და ადამიანის უფლებათა სამართალში. საზაფხულო სკოლაში მონაწილეობისთვის, კონკურსის შედეგად, შეირჩა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის 27 საუკეთესო სტუდენტი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ სკოლის გამორჩეულ მონაწილეებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი საქმიანობა განაგრძონ სასამართლოში, სტაჟირების და შემდგომში დასაქმების გზით. საზაფხულო სკოლის წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ საზაფხულო სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა წამყვან თანამდებობებს იკავებენ, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.

### 3. კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი მიმართულებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, წინამდებარე დოკუმენტში გამოიკვეთოს სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მიღწევები და გამოწვევები, რომლებიც გარკვეულწილად გავლენას ახდენს კონსტიტუციური კანონიერების დაცვაზე. მათი იდენტიფიცირება და გააზრება კონსტიტუციის უზენაესობის დაცვის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

#### i. საზოგადოების ინტერესი სასამართლოს საქმიანობისადმი

კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელება და მისი შედეგები დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალ ასპექტზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მნიშვნელოვანია, ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერების დონე სასამართლოს საქმიანობის შესახებ. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში საზოგადოების ჩართულობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი, რომელიც ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს საშუალებას აძლევს, სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. გასული წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოში დარეგისტრირებული სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები მიუთითებს საზოგადოების დაინტერესებაზე, მონაწილეობა მიიღონ კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელებაში. საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლების კუთხით ასევე აღსანიშნავია მედია საშუალებების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე საქმეების აქტიურად გაშუქების ტენდენციაც. წლის განმავლობაში სხვადასხვა მედია საშუალებები საზოგადოებას აწვდიდნენ ინფორმაციას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მიმდინარე საქმეების შესახებ. ყოველივე აღნიშნული მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოების ინფორმირებულობასა და მათ ჩართულობას მიმდინარე სამართლებრივ პროცესებში.

## ii. თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს თანამშრომლობას სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ორგანიზაციებთან, საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფლებასთან. მსგავსი ტიპის თანამშრომლობა მოიცავს სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებების ერთობლივად განხორციელებას, სამუშაო შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზებასა და გამართვას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად გამოხატავდნენ მზაობას, ეთანამშრომლათ საკონსტიტუციო სასამართლოსთან და ხელი შეეწყობთ სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებაში. ამ კუთხით აღსანიშნავია ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების XVII კონგრესი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 40-ზე მეტი ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს დელეგატი და რომლის ორგანიზებასა და საქმიანობაში საკონსტიტუციო სასამართლოსთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულნი საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და სხვა სახელმწიფო უწყებები. ასევე ხაზი უნდა გაესვას ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების სურვილს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკონსტიტუციო სამართალწარმოების აქტუალური საკითხების განხილვასა და სასამართლოს წინაშე არსებული გამოწვევების ეფექტურად დაძლევის გზების დასახვაში. საკონსტიტუციო სასამართლო აქტიურად უჭერს მხარს სახელმწიფო ორგანოებთან ნებისმიერი ფორმით თანამშრომლობას, რაც ხელს შეუწყობს კოორდინირებულ და შეთანხმებულ მუშაობას კონსტიტუციის უზენაესობის დაცვისა და კონსტიტუციური მართლმსაჯულების პოპულარიზაციის საკითხებში.

## iii. საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების ურთიერთთანამშრომლობა.

საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კონსტიტუციური ღირებულებებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების სათანადოდ დაცვისა და რეალიზებისათვის. საერთო სასამართლო ახორციელებს მართლმსაჯულებას და უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტების იმპლემენტაციას ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით. ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო

ახდენს არაკონსტიტუციური კანონების გაუქმებას, რითაც უზრუნველყოფს კონსტიტუციის შესაბამის საკანონმდებლო სივრცეს და, შესაბამისად, საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების კონსტიტუციის შესაბამისად განხორციელების შესაძლებლობას.

საერთო სასამართლოები მიერ მართლმსაჯულების კონსტიტუციის შესაბამისად განხორციელების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს გარანტიას ქმნის კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი. კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტი საერთო სასამართლოს მოსამართლეს საშუალებას აძლევს, თავიდან აიცილოს სავარაუდოდ არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოყენება. ბოლო წლებში აშკარად გაიზარდა საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წარდგინებებით მომართვის სიხშირე, რაც ასევე გაგრძელდა 2017 წელს.

ასევე აღსანიშნავია საერთო სასამართლოების მიერ კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში დადგენილი სტანდარტებისა და განმარტებების გამოყენება. საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების პროცესში უშუალოდ ხდება კანონის ნორმების განმარტება, შესაბამისად, აუცილებელია, ამა თუ იმ ნორმის განმარტება და გამოყენება შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ წესრიგს. ამ კუთხით აღსანიშნავია საქართველოს უზენაესი სასამართლოს რიგი გადაწყვეტილებები, რომლებში განვითარებული მსჯელობა და სამართლებრივი დასკვნა ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2017 წლის 23 ივნისის №ას-475-443-2017 განჩინებაში დაეყრდნო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/1/531 გადაწყვეტილებაში<sup>37</sup> დადგენილ სტანდარტებს და მის საფუძველზე განმარტა სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზაციის დროში მოქმედების ფარგლები. მსგავსი ტენდენციის მაგალითია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის №ას-871-838-2016 განჩინება, რომლის ფარგლებშიც უზენაესმა სასამართლომ საკუთრების უფლებით სარგებლობის ფარგლების დადგენისას გამოიყენა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/1/370,382,390,402,405 გადაწყვეტილებით<sup>38</sup> განმარტებული საკუთრების უფლების სოციალური

<sup>37</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>38</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1/370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.



მნიშვნელობა და აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მოცემული სტანდარტების გათვალისწინებით მიიღო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება. წინამდებარე დოკუმენტის დანიშნულებიდან გამომდინარე, არ არსებობს საჭიროება, ამომწურავად იქნეს მიმოხილული საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების პრაქტიკა, თუმცა განხილული მაგალითებიც ცხადყოფს, რომ საერთო სასამართლოები აქტიურად იყენებენ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებს და ცდილობენ გამოსაყენებელი ნორმები შეუსაბამონ კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტებს.

#### iv. საკონსტიტუციო სასამართლოს ურთიერთობა საქართველოს პარლამენტთან

გასულ წელს განხილულ და გადაწყვეტილ საქმეთა უმეტესობაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა საქართველოს საკანონმდებლო ორგანო - პარლამენტი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ავალდებულებს ხელისუფლების ყველა შტოს, საკუთარი ქმედებები დაუქვემდებარონ კონსტიტუციის მოთხოვნებს, სამართალშემოქმედებითი პროცესის ბუნებიდან და მასშტაბიდან გამომდინარე ვერ გამოირიცხება კანონის მოქმედების შედეგად ძირითადი უფლებების დარღვევის რისკი. სწორედ ამ რისკის დაბალანსების ქმედით მექანიზმს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება.

#### ა. კონსტიტუციური სარჩელის ცნობა

ნორმატიული აქტი საკუთარი მოქმედებით შეიძლება წარმოშობდეს იმგვარ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც არ გამომდინარეობს ან არ შეესაბამება მისი გამომცემი ორგანოს ნებას და აქტის მიღებისას არსებულ მიზნებსა და ამოცანებს. ნორმატიული აქტის მოქმედების სრული დიაპაზონის შეცნობა მხოლოდ მისი პრაქტიკაში მოქმედებითაა შესაძლებელი, ამასთანავე, რიგ შემთხვევებში ნორმის შინაარსზე გავლენას ახდენს ნორმათშემდგარდების მიერ მისი გამოყენების პრაქტიკა ან სხვა ფაქტორები.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც საქართველოს პარლამენტი საქმის საკონსტიტუციო სასამართლოში განხილვის სხდომაზე ცნობს კონსტიტუციურ სარჩელს, მიიჩნევს, რომ ნორმა ნამდვილად წარმოშობს იმგვარ სამართლებრივ პრობლემებს, რომლებიც მიუღებელია დადგენილი კონსტიტუციური წესრიგისათვის, თუმცა არ შეინიშნება, რომ

საკანონმდებლო ორგანო ახორციელებს აქტიურ ქმედებებს ამ პრობლემის საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტისათვის, არ აუქმებს, მისი აზრით, არაკონსტიტუციურ ნორმებს. მსგავსი ფაქტი 2017 წელსაც მოხდა, მაგალითად, N863 კონსტიტუციური სარჩელით მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა იმ რეგულაციებს, რომლებიც გამორიცხავს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე 70 წლის ასაკს გადაცილებული პირის არჩევის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა მიუთითა სადავო რეგულაციის ხარვეზებზე და ცნო კონსტიტუციური სარჩელი, არ იკვეთება საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული აქტიური ქმედებები, რათა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მოეგვარებინა, მათი აზრით, კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმიდან მომდინარე პრობლემები.

#### **ბ. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების იმპლემენტაცია კანონმდებლობაში**

კანონმდებლის მიერ ამა თუ იმ სფეროს მოწესრიგება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს. კონსტიტუციის განმარტება და კონსტიტუციური სტანდარტების დადგენა ხდება სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების გათვალისწინება კანონშემოქმედებით პროცესში მნიშვნელოვნად განაპირობებს კონსტიტუციის უზენაესობის დაცვას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც კანონმდებელი არ/ვერ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს ამა თუ იმ ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის შემუშავებისას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენა შენახვისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, საქართველოს პარლამენტი გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების კანონმდებლობაში ასახვის კუთხით არ გამოირჩეოდა სათანადო ოპერატიულობით. ხსენებულის გამო საკონსტიტუციო სასამართლოში შემოვიდა რამდენიმე ათეული სარჩელი და წარდგინება, რომლებიც სხვადასხვა ოდენობით,

მარიხუანას შექმნა შენახვისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების კონსტიტუციურობას ეხებოდა. შესაბამისად, საჭირო გახდა, საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთი კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში, ინდივიდუალურად ემსჯელა სხვადასხვა, 70 გრამ გამომშრალ მარიხუანაზე ნაკლები ოდენობით, პირადი მოხმარების მიზნით, შექმნისა და შენახვისათვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენებაზე და საქმის არსებითი განხილვის გარეშე, არაკონსტიტუციურად ეცნო სადავო ნორმები. იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტები ცხადად მიაწინებებს ამა თუ იმ ნორმის არაკონსტიტუციურობაზე, მიზანშეწონილია, ნორმის გასწორება კანონმდებელმა თავად მოახდინოს და არ დაელოდოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმების არსებითი განხილვის გარეშე, განჩინებით გაუქმებას.

2017 წელს განხილული მსგავსი შემთხვევები არ იყო დაკავშირებული მხოლოდ მარიხუანას შექმნა-შენახვასთან. 2017 წელს სასამართლომ მიიღო 6 განჩინება, რომელშიც საქმის არსებითი განხილვის გარეშე ცნო სადავო ნორმა ძალადაკარგულად. თითოეული ხსენებული შემთხვევა უკავშირდება არა კანონმდებლის მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსის მქონე რეგულირების სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ პერიოდში მიღებას, არამედ ისეთ შემთხვევებს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსის შემცველი რეგულაციები კვლავ რჩება მოქმედ კანონმდებლობაში და შესაბამისი ორგანო არ იღებს სათანადო ზომებს ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მაგალითად, შეიძლება განხილულ იქნეს N1218 კონსტიტუციური სარჩელი. ხსენებული სარჩელით სადავოდ იყო გამხდარი რეგულაცია, რომლის თანახმადაც, სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილ/გათავისუფლებულ მოსამსახურეს იძულებით გაცდენილი პერიოდისათვის ხელფასი მიეცემოდა არაუმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ სადავო ნორმა შეიცავდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ N2/3/630 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსს შინაარსს და მოითხოვდნენ მის არაკონსტიტუციურად ცნობას გამარტივებული წესით, საქმის არსებითი განხილვის გარეშე. აღნიშნული საქმის განმწესრიგებელ სხდომაზე საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ სადავო ნორმა ნამდვილად შეიცავდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე არაკონსტიტუციურად მიჩნეული ნორმის მსგავს შინაარსს, თუმცა დამატებით აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს პარლამენტის პოზიციით, სადავო ნორმას გააჩნდა ლეგიტიმური მიზნები და არ უნდა მომხდარიყო მისი არაკონსტიტუციურად ცნობა. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კანონმდებელი,

ისე ნებისმიერი სხვა სუბიექტი უპირობოდ არის ვალდებული პატივი სცეს და ხელი შეუწყოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სათანადო იმპლემენტაციას.

ასევე აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სტანდარტების კანონმდებლობაში ასახვის თვალსაზრისით, ვითარება მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ გადაწყვეტილებებთან მიმართებით, რომელთა აღსრულების გადავადებაც მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მისი გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება ხდება მაშინ, როდესაც სადავო ნორმის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი კერძო და საჯარო ინტერესების დაზიანება. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი გადაწყვეტილების გადავადება მიზნად ისახავს რეგულაციის გარეშე არ დარჩეს ისეთი სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მუდმივად საჭიროებს სამართლებრივ მოწესრიგებას და სასამართლო გარკვეულ დროს აძლევს მოპასუხე მხარეს, რათა მან ამ დროის განმავლობაში შეძლოს და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად დაარეგულიროს სამართლებრივი ურთიერთობა. ამ კუთხით აღსანიშნავია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N659 კონსტიტუციურ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება<sup>39</sup>, რომლითაც გადავადდა სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობა და საქართველოს პარლამენტმა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში შეიმუშავა ახალი რეგულაცია. N659 კონსტიტუციური სარჩელით მოსარჩელე სადავოდ ხდიდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის იმ დებულებას, რომლის თანახმადაც, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეები თანამდებობაზე განწესდებოდნენ 3 წლის ვადით, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მსჯელობდა მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ყველა მოსამართლის გამოსაცდელი ვადით გამწესება, მისი მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის ხანგრძლივობის გაუთვალისწინებლად, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ისეთი პირების მიმართ, რომელთაც უკვე აქვთ 3 წლიანი სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება და ობიექტურად შესაძლებელია მათი საქმიანობის შესწავლა, სადავო ნორმით განსაზღვრული ვადის დამატებით დაწესება ზედმეტ, დაუსაბუთებელ ბარიერს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სადავო

<sup>39</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ნორმა მიჩნეულ იქნა არაკონსტიტუციურად, საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსამართლეობის კანდიდატის წარსული საქმიანობის შეფასების განხორციელება საჭიროებს სათანადო წესის საკანონმდებლო რეგლამენტაციას, რისთვისაც კანონმდებელს უნდა მიეცეს გონივრული ვადა, რათა მან შეძლოს შეიმუშაოს კონსტიტუციის შესაბამისი მოწესრიგება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულება გადაავადა 2017 წლის პირველ ივლისამდე. აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2017 წლის 16 ივნისს საქართველოს პარლამენტმა შეიტანა რიგი ცვლილებები, მათ შორის, იმ მიზნით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში დადგენილი სტანდარტის გათვალისწინებით მოეწესრიგებინა სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მოსამართლეთა გამწესების წესი.

გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების შემდეგ საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილებები წარსულშიც მრავალჯერ განხორციელდა. მათ შორის, თვისობრივად შეიცვალა ქმედუნარობის ინსტიტუტის მომწესრიგებელი კანონმდებლობა. საკანონმდებლო ორგანოს მიერ კანონმდებლობის შემუშავების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივ აქტებში დადგენილი სტანდარტების გათვალისწინება ნამდვილად დადებითად აისახება კონსტიტუციური კანონიერების დაცვაზე და ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტურად რეალიზებისათვის. კანონმდებელი ვალდებულია ყოველი კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგოს კონსტიტუციის შესაბამისად, გაითვალისწინოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები და აღასრულოს მისი გადაწყვეტილებები. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გააზრებისა და შესაბამისი ორგანოების მიერ მათი სწორად აღქმისათვის კი უმნიშვნელოვანესია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გარშემო ფართო დისკუსიის არსებობა და აღნიშნულში სახელმწიფოსა თუ საზოგადოების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობა.

#### v. მოპასუხე მხარის მიერ სადავო ნორმებში არსებული ხარვეზების გასწორება

უნდა აღინიშნოს ისეთი შემთხვევები, როდესაც მოპასუხე მხარემ გაითვალისწინა კონსტიტუციურ სარჩელში წარმოდგენილი პოზიცია და შეცვალა ის სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოშობდა მოსარჩლე მხარის მიერ მითითებულ პრობლემას. ამის მაგალითს წარმოადგენს N861 კონსტიტუციური სარჩელი, რომლის

თანახმადაც, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა იმ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავდა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამოქალაქო სექტორში გადაყვანის მიზნით პაციენტისათვის სამედიცინო პროგრამაში რიგითი ნომრის მინიჭებისა და მინიჭებული ნორმის მიხედვით მის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის წესს. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ გეგმიური რიგი ქალ პატიმრებს გაცილებით გვიან უწევდათ, ვიდრე მამაკაცებს, რაც არღვევდა ქალი პატიმრების უფლებას, დროულად იქნენ გადაყვანილნი სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში. მოპასუხე მხარე სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე მიუთითებდა, რომ არსებობდა სარჩელში აღნიშნული რიგი საკითხების საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების პრობლემა, რაზეც მიდიოდა მუდმივი მუშაობა. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის N49 ბრძანებით N861 კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარ აქტში შევიდა რიგი ცვლილებები და ახლებურად მოწესრიგდა რიგითი ნომრის მინიჭებისა და პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის საკითხი.

მოპასუხე ორგანოს მიერ სადავო საკითხის ახლებურად მოწესრიგების მცდელობა, იმ შემთხვევაში თუ იგი წარდგენილ კონსტიტუციურ სარჩელს/წარდგინებას საფუძვლიანად მიიჩნევს, წარმოადგენს იმ გზას, რომლის საშუალებითაც ეფექტურად და დროულად ხდება მოსარჩელის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება.

#### vi. სარჩელების დასაბუთებულობის პრობლემა

კონსტიტუციური სარჩელისა თუ წარდგინების კანონით დადგენილ წინაპირობას წარმოადგენს მისი დასაბუთებულობა. კონსტიტუციურ სარჩელში/წარდგინებაში გამოკვეთილი უნდა იყოს მოსარჩელის პრობლემა და არსებობდეს სწორი მიმართებები სადავო ნორმასა და კონსტიტუციის დებულებებს შორის. სარჩელში წარმოდგენილი დასაბუთება წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელების მნიშვნელოვან კომპონენტს, რამდენადაც მოსარჩელის არგუმენტაციიდან გამომდინარე უნდა მოხდეს მოსარჩელის პრობლემის ზუსტად და მკაფიოდ იდენტიფიცირება და სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება. სარჩელში წარმოდგენილი დასაბუთების ნაკლებობა, ერთი მხრივ, ვერ უზრუნველყოფს მოსარჩელის უფლებების დარღვევის ფაქტების სათანადოდ წარმოჩენას, ხოლო, მეორე მხრივ, განაპირობებს საკონსტიტუციო სასამართლოს შეზღუდული რესურსების არაეფექტურად ხარჯვას.



ამ კუთხით, უნდა აღინიშნოს მოსარჩელეთა მხრიდან სრული კანონის გასაჩივრების შემთხვევები ისე, რომ სარჩელში/წარდგინებაში არ არის მოცემული სრულყოფილი დასაბუთება, თუ რა კონკრეტულ სამართლებრივ პრობლემას ქმნის კანონში მოცემული ესა თუ ის ნორმა და მოსარჩელე მხარე შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი არგუმენტაციის წარმოდგენით, რაც, რიგ შემთხვევებში, არ არის საკმარისი კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის. აღნიშნული ტენდენცია და მისი უარყოფითი შედეგები, ისევე როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს რელევანტური პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით, წინამდებარე დოკუმენტში უფრო დეტალურად იქნა განხილული, რამდენადაც კონსტიტუციური მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, მოსარჩელემ სწორად, საკმარისი სიცხადით მოახდინოს იმ ნორმების იდენტიფიცირება, რომლებიც, მისი აზრით, იწვევს არაკონსტიტუციურ სამართლებრივ შედეგებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა კონსტიტუციური სარჩელების რაოდენობა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მან შეძლოს და განახორციელოს დროული, სწრაფი და ეფექტური კონსტიტუციური კონტროლი. კონსტიტუციური სარჩელების რაოდენობის ზრდის ფონზე, მნიშვნელოვნად მოიმატა იმ სარჩელების რაოდენობამაც, რომელთაც დასაბუთების პრობლემა გააჩნია. შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე კანონის სრული ტექსტის გასაჩივრების პრაქტიკა წარმოადგენს ეფექტური კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებას, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლოს შეზღუდული რესურსების ხარჯვა ხდება იმგვარი სარჩელების განხილვაზე, რომელთაც მოსარჩელის უფლებათა დაცვის პერსპექტივა არ გააჩნიათ. თუ ამგვარი ტენდენცია შენარჩუნდა ან გაიზარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვა დაუსაბუთებელი და უპერსპექტივო სარჩელებისაგან მნიშვნელოვნად გააუარესებს კონსტიტუციური კანონიერების დაცვას და უარყოფით გავლენას მოახდენს ადამიანის უფლებათა ეფექტურ დაცვაზე.

კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა მრავალმხრივი პროცესია, რომელშიც მუდმივად უნდა მონაწილეობდეს ხელისუფლების თითოეული შტო. მათი აქტიური და სწორი ჩართულობა მნიშვნელოვნად გაამარტივებს კონსტიტუციური წესრიგისა და კონსტიტუციით განმტკიცებული ღირებულებების დაცვას. წინამდებარე დოკუმენტში დასახელებული შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერების



ეფექტური დაცვის უზრუნველყოფას. ვფიქრობთ, ხსენებული გამოწვევების შესახებ ხელისუფლების შტოებისა და საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენს უპირველეს წინაპირობას, რათა მოხდეს მათი გააზრება და აღმოფხვრის გზების დასახვა, საბოლოოდ კი, შესაძლებელი იყოს კიდევ უფრო ეფექტური კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელება.

#### 4. სასამართლოს საქმიანობის სტატისტიკური მიმოხილვა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ძირითად მახასიათებლებისა და ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა სტატისტიკური ინფორმაცია. ქვემოთ გრაფიკული ფორმით არის წარმოდგენილი საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის სტატისტიკის შემაჯამებელი მონაცემები, რომლებიც ასახავს სასამართლოს მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. ამასთან, მონაცემების აღქმადობის სიმარტივისა და მეტი სიზუსტისთვის გვსურს, გავაკეთოთ რამდენიმე განმარტება.


**„საქმე“ და „სარჩელი“** - სტატისტიკის გარკვეული ნაწილი შეეხება დასრულებულ სარჩელებს და დასრულებულ საქმეებს. საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას სხვადასხვა კონსტიტუციური სარჩელი შეიძლება გაერთიანდეს ერთ საქმედ. სხვაგვარად, „საქმე“ შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე კონსტიტუციური სარჩელისგან. მაგალითად: 2017 წლის 27 იანვარის N1/1/650,699 გადაწყვეტილებით სასამართლო წარმოება დასრულდა ორ კონსტიტუციურ სარჩელზე, 2017 წლის 14 ივლისის N1/9/701,722,725 გადაწყვეტილებით წარმოება დასრულდა 3 კონსტიტუციურ სარჩელზე და ა.შ.

**კომპეტენციები** - N6 გრაფიკული გამოსახულება ასახავს მონაცემებს დასრულებული საქმეების შესახებ კომპეტენციების მიხედვით. სასამართლოს კომპეტენციებს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა. გრაფიკულ გამოსახულებაზე კომპეტენციის იდენტიფიცირების ფორმად გამოყენებულია „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლი. მაგალითად, გრაფიკულ გამოსახულებაზე მითითებული კომპეტენცია 19.1.ე. გულისხმობს დასახელებული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპეტენციას.

**დამძლევი** - N7 და N11 გრაფიკულ გამოსახულებაზე ცალკე არის გამოყოფილი „დამძლევი“ ნორმები. ეს გულისხმობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას. კერძოდ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგინა, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავდა იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად და გამოიტანა განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

N1. რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების რაოდენობა 2017 წელს


სულ 423 კონსტიტუციური სარჩელი და წარდგინება



■ კონსტიტუციური სარჩელი ■ კონსტიტუციური წარდგინება


N1. რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების რაოდენობა 2016 წელს

სულ 158 კონსტიტუციური სარჩელი და წარდგინება




■ კონსტიტუციური სარჩელი ■ კონსტიტუციური წარდგინება


N3. კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების რაოდენობა წლების მიხედვით




N4. სარჩელები, რომლებზეც სამართალწარმოება დასრულდა 2017 წელს




N5. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წელს დასრულებული საქმეები




N6. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წელს დასრულებული საქმეები კომპეტენციების მიხედვით




N7. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წელს დასრულებულ საქმეთა შემაჯამებელი აქტები




N8. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წელს საქმეთა დასრულების საფუძველი



N9. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები შედეგების მიხედვით




N10. სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგები საქმის განმხილველი კოლეგიის/პლენუმის მიხედვით





N11.საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წელს მიღებული საოქმო ჩანაწერების

სულ 35



■ პარლამენტი ■ პირველი კოლეგია ■ მეორე კოლეგია